სოციალური მეწარმეობის
განვითარების ტენდენციები
საქართველოში

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

R. Gvelesiani, G. Erkomaishvili, I. Gogorisvili
E. Lekashvili, N. Paresashvili, L. Khurcia

Social Enterprise Development Trends In Georgia

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რ. გველესიანი, გ. ერქომაიშვილი,
ი. გოგორიშვილი, ე. ლეკაშვილი, ნ. ფარესაშვილი,
ლ. ხურცია

სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

The work is performed at the Department of Economic Politics of the Economics and Business Faculty at Ivane Javakhishvili Tbilisi State University through the targeted research project „Social entreprise development trends in Georgia“. It sets out the development trends of social entreprise in Georgia. It discusses social responsibility - a necessary precondition for launching social entrepreneurship, strengthening the trend from business entrepreneurship to social entrepreneurship - a prerequisite of being in harmony with the public values, European experience of social entrepreneurship, the challenges of social entrepreneurship in the Visegrad countries, current conditions of social entrepreneurship and its development opportunities in Georgia.

It is developed for the students of higher education institutions specialized in Economics and Business and for the wide range readers in this field.

Editor Revaz Gvelesiani
TSU Professor

Reviewer Gulnaz Erkomaishvili
TSU Aassociate Professor

Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

© Ivane Javakhishvili Tbilis State University Press, 2017

ISBN 978-9941-13-641-2

ნაშრომში, რომელიც შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე განხორციელებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ ფარგლებში, გადმოცემულია სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში. მასში განხილულია სოციალური პასუხისმგებლობა – სოციალური მეწარმეობის დაწყების აუცილებელი წანამძღვარი, ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ ტენდენციის გაძლიერება – საზოგადოებრივ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნის წინაპირობა, სოციალური მეწარმეობის ევროპული გამოცდილება, სოციალური მეწარმეობის გამოწვევები ვიშეგრადის ქვეყნებში, სოციალური მეწარმეობის მდგომარეობა და განვითარების რეალური შესაძლებლობები საქართველოში.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი რევაზ გველესიანი
თსუ პროფესორი

რეცენზენტი გულნაზ ერქომაიშვილი
თსუ ასოცირებული პროფესორი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017

ISBN 978-9941-13-641-2

ვუძღვნით ჩვენი კოლეგის,
პროფესორ შ ა ლ ვ ა გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი ს,
ნათელ ხსოვნას

The work is dedicated to the memory
of our colleague,
Professor S h a l v a G o g i a s h v i l i

C o n t e n t

Introduction 11

Chapter I. Social entrepreneurship orientation - the new descriptor to overcome the social inequality…… 13
1.1. Social Responsibility - the necessary precondition for starting the social entrepreneurship 13
1.2. Strengthening the trend from business entrepreneurship to social entrepreneurship – a prerequisite of being in harmony with the public values.....38

Chapter II. Features of the development of social enterprises in the Visegrad countries……...57
2.1. European experience of social entrepreneurship.....57
2.2. Social enterprise challenges in the Visegrad countries.....57
2.3. The Strasbourg Declaration of social enterprise potential 77

Chapter **III. The real possibilities of Social Entrepreneurship development and the ways of their implementation in Georgia…97**
3.1. Current conditions of social enterprise in Georgia.....97
3.2. Potential of social entrepreneurship development in Georgia.....104

Social Enterprise Development Trends In Georgia (Summary in English) 128

About the Authors.....130

შინაარსი

შესავალი. 11

თავი I. სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტაცია – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის ახალი მოცემულობა 13

1.1. სოციალური პასუხისმგებლობა – სოციალური მეწარმეობის დაწყების აუცილებელი წანამძღვარი..... 13

1.2. ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ ტენდენციის გაძლიერება - საზოგადოებრივ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნის წინაპირობა 38

თავი II. სოციალური მეწარმეობის განვითარების თავისებურებები ვიშეგრადის ქვეყნებში 57

2.1. სოციალური მეწარმეობის ევროპული გამოცდილება 57

2.2. სოციალური მეწარმეობის გამოწვევები ვიშეგრადის ქვეყნებში 65

2.3. სოციალური საწარმოს პოტენციალის სტრასბურგის დეკლარაცია..... 88

თავი III. სოციალური მეწარმეობის განვითარების რეალური შესაძლებლობები და მათი განხორციელების გზები საქართველოში..... 97

3.1. სოციალური მეწარმეობის მდგომარეობა საქართველოში 97

3.2. სოციალური მეწარმეობის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები საქართველოში..... 118

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)..... 128

ავტორები 130

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სოციალური მეწარმეობა, როგორც ახალი დადებითი მოცემულობა, სულ უფრო მეტად შემოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. იგი გვიჩვენებს ადამიანის მორალური მახასიათებლების გაუმჯობესების პოტენციალს. საზოგადოებას სჭირდება სოციალური მეწარმეები, რომლებიც ინოვაციური მიდგომებით და სამეწარმეო სტრატეგიებით აგვარებენ საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს. სოციალური საწარმოების მოქმედების არეალი მრავალგვარია და მათი სოციალური მისია სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მაგრამ სოციალური მეწარმეობის უმთავრესი მიზანი მაინც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისათვის საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაა.

სოციალურ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნა წარმატების წინაპირობაა. მეწარმეობის იდეა ყოველთვის, და განსაკუთრებით დღეს, დაკავშირებული უნდა იყოს სოციალურ ღირებულებებთან და პრობლემებთან, ამასთან, სოციალური პრობლემების მიმართ ინდიფერენტულობა აშინებს ხალხს, საფრთხეს უქმნის მათ ნდობას და თითქმის ყოველთვის უარყოფითი შედეგებით სრულდება, სულ მცირე, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც. მეწარმეობის კონცეფციის გაფართოებამ სოციალურ არენაზე შესაძლოა გამოიწვიოს ის შედეგი, რომ ბიზნესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოება გახდეს უფრო ღია მეწარმეობის, როგორც აქტივობის, მიმართ. ეს კი უფრო

შემოქმედებითი და კონგენიალურია, ვიდრე მსხვილი, ანონიმური კომპანიებისა და მულტიმილიონერების ბიზნესი.

დღეს საქართველოში არაა შემუშავებული სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, ამ კუთხით ნაკლებადაა შესწავლილი განვითარების არსებული პოტენციალი და არაა განსაზღვრული შესაძლო პერსპექტივები. იკვეთება სოციალური მეწარმეობის განვითარების სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი უდავოდ აქტუალურია.

ნაშრომის უმნიშვნელოვანესი მიზანია სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და ინიციატივების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სოციალური მეწარმოების კულტურის დამკვიდრება, როგორც ინსტიტუციური მდგრადობისა და სამიზნე ჯგუფების პრობლემების ინოვაციური გზებით გადაჭრის შესაძლებლობა, სოციალური მეწარმეობის განვითარების მსოფლიო ტენდენციების ანალიზი და ინფორმაციის გაცვლა არსებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საერთაშორისო გამოცდილების კვლევის შედეგების საქართველოში დანერგვის შესაძლებლობების გამოვლენას და, ამ მიზნიდან გამომდინარე, სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას.

თ ა ვ ი I

სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტაცია – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის ახალი მოცემულობა

1.1. სოციალური პასუხისმგებლობა – სოციალური მეწარმეობის დაწყების აუცილებელი წანამძღვარი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონ-ცეფცია შედარებით მოგვიანებით (დაახლოებით 20 წლის წინ) წარმოიშვა, ვიდრე ამ შინაარსის მქონე საქმიანობა. მოცემულ პერიოდამდე იყო განსხვავებული სტანდარტები კორპორაციული მართვის სხვადასხვა სფეროში. როგორც წესი, ეს ეხებოდა: პოლიტიკას თანამშრომლებთან ურთი-ერთობებში, კორპორაციულ ეთიკას, გარემოს დაცვასა და სხვა აქტივობას. სანამ კომპანიების სოციალური პოლიტი-კის სფეროში სტანდარტები და წესები არ იქნა შემუშავე-ბული, დომინირებდა „შემთხვევითი“ მიდგომა: მომუშავე-თა მომართვების, ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნი-სა ან პროფესიული კავშირის მოთხოვნათა მიმართ.

თუმცა, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლო პერიო-დიდან აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წამყვანმა კომპანიებ-მა დაიწყეს სოციალური პოლიტიკის ცალკეული ელემენ-ტების გაერთიანება. ისინი უკავშირდებოდნენ გარემოს დაცვის საჭიროებას, საზოგადოებასთან ურთიერთობის

მიმართ ჰოლისტიკური მიდგომების შემუშავებას, მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრებასა და სხვა გადაწყვეტილებებს. ასეთი პოლიტიკა, ერთი მხრივ, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კომპანიის ფილოსოფიასთან, მის მარკეტინგულ სტრატეგიასთან, მეორე მხრივ, უპასუხებდა საზოგადოებაში არსებულ მოლოდინს.

იმ მიზეზებს შორის, რომლებიც აიძულებდნენ კომპანიებს, მეტი ყურადღება მიექციათ საზოგადოებასთან ურთიერთობებისთვის, შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი:

- დიდი ბრიტანეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდა ზეწოლა საზოგადოების მიერ წამოყენებული სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით. სტანდარტები ძირითადად ეხებოდა შრომის სამართალსა და გარემოს დაცვის სფეროს. აშშ-ის მთავრობის როლი გაცილებით მცირე იყო, თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სტანდარტები, ისევე როგორც შრომის კოდექსი, თანდათან გამკაცრდა, გართულდა და დაიხვეწა.
- განსაკუთრებით გაიზარდა პროფესიული კავშირების გავლენა შრომის დაცვისა და და სოციალური პოლიტიკის სფეროზე;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა ურთიერთკავშირი საზოგადოებრივ აზრსა და გაყიდვების დონეს შორის. დამოკიდებულება კონკრეტული პროდუქტის ან ბრენდის მიმართ განისაზღვრება არა მხოლოდ პროდუქტის ხარისხით ან ეფექტური რეკლამით, არამედ სამომხმარებლო ქცევაზე გავლენას ახდენს კომპანიის საერთო სახე („იმიჯი“), მათ შორის მისი პასუხისმგებლობა პარტნიორებთან, გარემოს დაცვის მუშაკებთან და, საერთოდ, მთელ საზოგა-

დოებასთან. საზოგადოებაში ცუდი რეპუტაციის გამო გაყიდვების კატასტროფული შემცირების კლასიკური მაგალითია კორპორაცია „Nestle“, რომელმაც 1980 წლის დასასრულს დანაკარგები განიცადა განვითარებად ქვეყნებში ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტთა რეალიზაციის ცუდად გააზრებული პოლიტიკის შედეგად. უარყოფითმა საზოგადოებრივმა აზრმა გამოიწვია „Nestle“-ს პროდუქციის მთელი ხაზის დე ფაქტო ბოიკოტი დასავლეთ ევროპაში და სერიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა მას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია დაიბადა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც დაიწყო მოძრაობა მშრომელთა უფლებების დასაცავად, რაც, თავის მხრივ, ადამიანური დანახარჯების მორალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე სამრეწველო რევოლუციის ფიქრის შედეგად გაჩნდა. ეს ინიციატივა წამოვიდა მრეწველობაში დასაქმებული საშუალო კლასის მხრიდან. ორგანიზებული მუშათა მოძრაობა წარმოიშვა მოგვიანებით, როდესაც ზოგ ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნა დაბრკოლებები, რომლებიც გაერთიანებაში მონაწილეობის თავისუფლების უფლებას ზღუდავდა. აღნიშნულ იდეათა ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო უტოპისტ-სოციალისტი, ინგლისელი მრეწველი-ფაბრიკანტი, რობერტ ოუენი. იგი არა მარტო ცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებინა თავისი იდეები, არამედ ქმნიდა რადიკალურ თეორიულ პროგრამებსაც კაპიტალისტური საზოგადოების გარდასაქმნელად.

თუ რ. ოუენის პრაქტიკული ინიციატივები (საცდელი კომუნისტური კოლონიების ორგანიზაცია აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში) დამარცხდა და ვერ განხორციელდა, მის მიერ შემოთავაზებულმა იდეებმა და პროექტებმა მოახდინეს

დამქირავებელთა ორიენტირება მშრომელთა წინაშე სოციალურ პასუხისმგებლობაზე. ამ იდეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც მუშათა მიერ თავიანთი უფლებების გაცნობიერებაში, ისე დამქირავებელთა მიერ მათი უფლებების აღიარების თვალსაზრისით. აღიარებულ იქნა აგრეთვე სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე რეგულირების საჭიროება. 1818 წელს ექს-ლა-შაპელში „წმინდა ალიანსის კონგრესის მსვლელობის პროცესში ოუენმა მოითხოვა მუშების დასაცავად ზომების მიღება და ამ მიზნით სპეციალური კომისიის შექმნა. მისი იდეები მეწარმეთა სოციალური პასუხისმგებლობის სახელმწიფო რეგლამენტირების აუცილებლობის შესახებ შემდგომში გაიზიარა და განავითარა ფრანგმა მრეწველმა, დანიელ ლეგრანმა. იგი ცნობილ ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან და ეკონომისტებთან ერთად არაერთხელ მიმართავდა წინადადებებით ევროპის სახელმწიფოთა ხელისუფლებებს, მიეღოთ საერთაშორისო კანონები შრომითი პირობების შესახებ ქარხნებში, ფაბრიკებში, საბადოებსა და მაღაროებში. შრომის საერთაშორისო სტანდარტების მიღების სასარგებლოდ სამი არგუმენტი იქნა წამოყენებული:

პირველი ეხებოდა ჰუმანიტარულ გეგმას. აღინიშნა, რომ საჭიროა შემსუბუქდეს მძიმე სამუშაოთა წილი.

მეორე არგუმენტი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. აქ ხაზი გაესვა განვითარებულ ქვეყნებში სოციალური მშვიდობის გაძლიერებას სოციალური არასტაბილურობის ასაცილებლად. ამ დროს უკვე არსებობდა მუშებს შორის რეფორმისტული მისწრაფებების მხარდაჭერის საჭიროება, რათა ევროპაში გავრცელებული კომუნისტური პროპაგანდა არ გავრცელებულიყო და შეზღუდულიყო.

მესამე არგუმენტი ეკონომიკური ხასიათისა იყო. აღინიშნა, რომ შრომის საერთაშორისო რეგულირება მშრომელთა დაცვის კანონმდებლობით დაეხმარება ქვეყანას, თავიდან აიცილოს დანაკარგები (გაფიცვებისა და სხვა ტიპის წინააღმდეგობათა შედეგად) საგარეო ვაჭრობიდან. სხვა სიტყვებით, ასეთი რეგულირება გაათანაბრებდა ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული არგუმენტები მოყვანილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პრეამბულაში, რომელიც მიიღეს 1919 წელს. იგი იწყება სიტყვებით იმის შესახებ, რომ საყოველთაო და მყარი მშვიდობა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საფუძველზე. შემდგომში ეს სიტყვები დაზუსტდა 1944 წლის ფილადელფიის დეკლარაციაში, რომელიც დღესაც აქტუალურია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტს წარმოადგენს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერების შემდგომი ისტორიული ეტაპია **კაპიტალისტური ქველმოქმედების დოქტრინის ჩასახვა.**

ამ კონცეფციის მიხედვით, მომგებიანმა ორგანიზაციებმა თავიანთი სახსრების ნაწილი უნდა გაიღონ საზოგადოების კეთილდღეობისთვის (საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაფინანსება).

მოცემული კონცეფცია განიხილა ე. კარნეგიმ თავის ნაშრომში „აყვავების ევანგელიე“, რომელიც 1900 წელს გამოაქვეყნა. იმ პერიოდში აშშ-ის მსხვილი ბიზნესის ზოგიერთმა წარმომადგენელმა საქვეყნოდ აღიარა, რომ კორპორაციათა ვალდებულებას წარმოადგენს რესურსების გამოყენება ისე, რომ საზოგადოება მოგებული დარჩეს. კარნეგიმ თვითონ 350 მილიონი დოლარით დააფინანსა სოცია-

ლური პროგრამები და 200-ზე მეტი საზოგადოებრივი ბიბ-ლიოთეკა ააშენა. ჯონ როკფელერმა 550 მილიონი დოლა-რი შესწირა და დააფუძნა როკფელერის ფონდი. 1905 წელს აშშ-ში ჩაისახა მოძრაობა „როტარი“ (Rotary). მოძრაობის წევრები მიიჩნევდნენ, რომ მატერიალურად უზრუნველყო-ფილმა და წარმატებულმა ადამიანებმა უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი სოციალური სიტუაციის გაუმჯობესე-ბაში არა მარტო მათ პროფესიულ სფეროებში, არამედ სა-კუთარ საცხოვრებელ არეალშიც. ამავე დროს კორპორა-ციული სოციალური პასუხისმგებლობის პირველი პროპა-განდისტი და მომხრე იყო ე. კარნეგი, რომელმაც დააარსა კორპორაცია U.S. Steel. იგი აგრეთვე ცნობილია, როგორც საზოგადოებრივი პროექტების მსხვილი დამფინანსებელი. მან პირველმა ჩამოაყალიბა ტერმინი „სოციალური პასუ-ხისმგებლობა და პრინციპები, რომლებიც სავალდებულოდ გამოაცხადა ყველა საკუთარი თავის პატივისმცემელი კა-პიტალისტისთვის. კარნეგი თვლიდა, რომ მდიდრები ღა-რიბების სუბსიდირებას უნდა ეწეოდნენ საქველმოქმედო ფონდებიდან და საკუთარ თავს მიიჩნევდნენ არა კაპიტა-ლის მფლობელებად, არამედ მთელი საზოგადოების კე-თილდღეობაზე მომუშავე კაპიტალის მმართველებად. გან-ხილული კონცეფციის კიდევ ერთ წარმომადგენლად გვევ-ლინება რობერტ ე. ვუდი, ფირმა „სირსის“ მფლობელი.

1936 წლის წლიურ ანგარიშში ე. ვუდი აღნიშნავდა, რომ „ფართო სოციალურ ვალდებულებებს, რომლებსაც ვერ გამოვხატავთ მათემატიკურად, მაგრამ შეიძლება დავ-თვალოთ, სინამდვილეში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“. ვუდი გულისხმობდა საზოგადოების ძლიერ არაპირ-დაპირ გავლენას ორგანიზაციაზე, რომელიც მოცემულ სა-

ზოგადოებაში ფუნქციონირებს. იგი ამტკიცებდა, რომ არ არის ადვილი, გამოიანგარიშო რაოდენობრივად და განმარტო ეკონომიკურად ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით გამოწვეული ხარჯები და სარგებელი საზოგადოებისთვის. ვუდი პირველი იყო საქმიან წამოწყებათა ლიდერებს შორის, ვინც აღიარა „საზოგადოების მრავალშრიულობა“ (მან გამოაცალკევა მომხმარებლები, ადგილობრივი თემები, აქციების მფლობელები, მუშაკები და სხვა ჯგუფები). ვუდი ასევე მომხრე იყო, რომ სოციალური პრობლემების გადაწყვეტა მომხდარიყო არა სახელმწიფოს მიერ, არამედ მენეჯერთა მხრიდან.

ისტორიულად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იდეა ევროპასა და აშშ-ში XIX საუკუნეში, პროფკავშირული მოძრაობიდან აღმოცენდა. აშშ-ში ბიზნესსა და საზოგადოებას შორის გარდამტეხ მომენტად დიდი დეპრესია იქცა 1930-იან წლებში. ამ პერიოდში აშშ-ის პრეზიდენტ თ. რუზველტის ადმინისტრაციაში შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა „პატიოსანი კონკურენციის კოდექსის“ შექმნის პროცესს. აღნიშნული კოდექსი გულისხმობდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასა და მუშათა მიერ საკუთარი ორგანიზაციების შექმნის უფლებათა გარანტიებს. ამავე დროს კოდექსი ითვალისწინებდა მუშათა მონაწილეობას კოლექტიური შეთანხმებების დადებაში. ამ კონცეფციის მომხრეთათვის დამახასიათებელი იყო კომპანია „ჯონს მენვილის“ დირექტორის, ლ. ბრაუნის, პოზიცია. იგი ამბობდა, რომ „დღეს, რთული ინდუსტრიული საზოგადოების ევოლუციის შედეგად, მენეჯერთა სოციალური პასუხისმგებლობა შესაბამისად გაფართოვდა. მენეჯერები

აღარ წარმოადგენენ მხოლოდ მესაკუთრეთა ინტერესებს, როგორც ეს ადრეულ პერიოდში იყო. ...დღეს ნებისმიერი ბიზნესის მმართველი ანგარიშს აბარებს არა მარტო აქციონერებს, არამედ მისი ორგანიზაციის ყველა წევრს, კლიენტებსა და მთელ საზოგადოებას“.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ის შრომითი ურთიერთობების საერთო სტანდარტებს დაემატა შავკანიანი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემა, რომლის გადაწყვეტა სახელმწიფო მოხელეებმა მნიშვნელოვანწილად ბიზნესს (დამქირავებელთა) მიანდეს. იმავე პერიოდში მომუშავეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ანალოგიური ნაბიჯები გადადგა ევროპულმა ქვეყნებმაც.

XX საუკუნის 50-70-იან წლებში, მასობრივი გაფიცვების ფონზე, კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობა პრაქტიკულად ყველგან იქნა მიღებული. მუშაკებისთვის შეიქმნა კანონიერი საფუძვლები და ინსტრუმენტები საკუთარი ინტერესების დასაცავად. დამქირავებელთა დათმობების მასშტაბები თანამშრომლებისათვის და მათი სოციალური უზრუნველყოფისთვის გაწეული შენატანები დღემდე კომპანიებსა და პროფკავშირებს შორის მიმდინარე მოლაპარაკების (ვაჭრობის) საგანია.

მოცემულმა კონცეფციამ შემდგომი განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში პოვა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ამერიკელი ეკონომისტის, გ. ბოუენის, წიგნი: „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“. ამ წიგნში სოციალური პასუხისმგებლობა განსაზღვრულია, როგორც „ბიზნესმენთა ვალდებულება, თავიანთ საქმიანობაში მიიღონ ის გადაწყვეტილებები და იმოქმედონ იმ მიმარ-

თულებით, რაც სასურველია საზოგადოებრივი მიზნებისა და ღირებულებების თვალსაზრისით“. ამ წიგნში ხაზგასმულია მოსაზრება, რომ ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. ამდენად, მათ უნდა მიმართონ თავიანთი რესურსების ნაწილი და ძალისხმევა სოციალური საჭიროებისთვის. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ სფეროებზე, როგორიცაა: გარემოს, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ა. შ. სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის მნიშვნელობას ადასტურებს ის ენთუზიაზმი, რომლითაც მისი მოწინააღმდეგენი ცდილობენ ძირითადი დებულებების გაბათილებას. მოწინააღმდეგეთა ჯგუფს მეთაურობდა მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი, მონეტარული სკოლის წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმენი. მან სოციალური პასუხისმგებლობა დაახასიათა, როგორც „ფუნდამენტური, ძირგამომთხრელი დოქტრინა, რომლის ფართოდ გამოყენება დაანგრევს თავისუფალ საზოგადოებას“. იგი ამტკიცებდა, რომ თავისუფალ ეკონომიკაში ბიზნესს აქვს მხოლოდ ერთი პასუხისმგებლობა, მან უნდა განახორციელოს ყველანაირი ძალისხმევა მოგების ზრდის უზრუნველყოფისთვის მანამდე, სანამ ყველაფერი მიმდინარეობს თამაშის წესებით, ანუ მოქმედებს თავისუფალ კონკურენციაში მოტყუებისა და თაღლითობის გარეშე. ფრიდმენი ამ მოსაზრებას განსაკუთრებული სიმტკიცით იცავდა სტატიაში „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მოგების ზრდაა“. იგი წერდა, რომ „სოციალური პასუხისმგებლობის მხოლოდ სიტყვით აღიარებაც კი ამტკიცებს რწმენას იმის შესახებ, რომ მოგებისკენ ლტოლვა

ცუდია, ამორალურია და უნდა შეიზღუდოს გარე ძალებით“. „როგორც კი ასეთი მსჯელობა აღიარებული იქნება, – აგრძელებდა იგი, – საბაზრო გამჩანაგებელი ძალების შეკავება სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მმართველთა საქმე კი არ იქნება, არამედ სახელმწიფო ბიუროკრატების რკინის მუშტით განხორციელდება“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ფრიდმენის ეს მოსაზრება აშშ-ის ეკონომიკური განვითარების კომიტეტმა იმავე პერიოდში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ გამოქვეყნებული ოფიციალური მიდგომით, ფაქტობრივად, უგულებელყო.

მ. ფრიდმენის მიდგომას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ დაერქვა „კორპორაციული ეგოიზმის თეორია“, ხოლო ეკონომიკური განვითარების კომიტეტის პოზიციას „კორპორაციული ალტრუიზმის თეორია“. მესამე მოსაზრება ყველაზე ძლიერი ცენტრისტული თეორიაა. იგი ცნობილია, როგორც „გონიერი ეგოიზმი“ (enlightened self-interest), რომელშიც ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ეს უბრალოდ კარგი ბიზნესია, რადგან გრძელვადიან პერიოდში ამცირებს მოგების დანაკარგებს.

ეკონომიკური განვითარების კომიტეტის განცხადებათა ავტორები ამოდიოდნენ „გონიერი ეგოიზმის“ კონცეფციიდან, რომელიც ბიზნესსა და საზოგადოებას შორის არსებულ ღრმა ურთიერთდამოკიდებულების აღიარებას ეფუძნებოდა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „დღეს ფართოდ აღიარებულია კორპორაციათა ინტერესების მჭიდრო კავშირი საზოგადოების კეთილდღეობასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ბიზნესი. იზრდება

იმის აღქმა, რომ კორპორაცია საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის ურთიერთობებზეა დამოკიდებული, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ან, პირიქით, ძირი გამოუთხარონ კომპანიის არსებობას ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი ზეწოლის გზით. ამის გამო განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ „განათლებული სარგებლის“ პოზიციებიდან ადასტურებდნენ, რომ ბიზნესისთვის მომგებიანია მყიდველებისა და მომუშავეთა სახით ჰყავდეთ უფრო მეტად განათლებული და უკეთეს პირობებში მცხოვრები ხალხი, ვიდრე ღატაკი და უმეცარი. ამიტომ ბიზნესმა უნდა აიღოს თავის თავზე სოციალური მდგომარეობის „პასუხისმგებლობის სამართლიანი წილი“ იმისთვის, რომ კორპორაციის ინტერესებს საშიშროება არ დაემუქროს.

განცხადებაში შეეცადნენ ბიზნესის ვალდებულებათა სისტემატიზებას ათი ძირითადი მიმართულებით, რომელთაგან თითოეული ფარავს პრობლემათა განსაზღვრულ რაოდენობას, ისეთებს, როგორიცაა: განათლება, დასაქმება და სამუშაო ძალის მომზადება, სამოქალაქო უფლებები და თანაბარი შესაძლებლობები, ქალაქების განახლება და განვითარება, გარემოს დაბინძურების შემცირება, ბუნებრივი რესურსების შენახვა და დასვენება, კულტურა და ხელოვნება, სამედიცინო დახმარება, ხელისუფლების საქმიანობის სრულყოფა.

შეიქმნა კონცეფციები, რომლებსაც შუალედური პოზიცია ჰქონდათ. ნაკლებად რადიკალური ეკონომისტები, რომლებიც ფრიდმენს ემხრობოდნენ, ცდილობდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ადგილის მოხაზვას მისი თეორიის საზღვრებში. მაგალითად, დ. ული ამტკიცებდა, რომ ფრიდმენის კონცეფცია უშვებს

კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას აქციონერთა ინტერესების შეზღუდვის გარეშე, რის საფუძველზეც სთავაზობდნენ კორპორაციის ხელმძღვანელობას აქციონერებთან მოგების მაქსიმიზაციასთან დაკავშირებით სპეციალური შეთანხმების გაფორმებას. ნეოკლასიკური ეკონომიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები ტ. დონალდსონი და ნ. ბოუი ამბობდნენ, რომ კორპორაციები უნდა იყვნენ მომგებიანი და ამავე დროს პატივს სცემდნენ მორალურ ფასეულობებს, იცავდნენ ადამიანთა უფლებებს, ანუ დებდნენ გარკვეულ შეთანხმებას ბიზნესსა და საზოგადოებას შორის. აღნიშნულ მოსაზრებათა საფუძველზე საბოლოოდ უმრავლეს ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებული გახდა „გონიერი ეგოიზმის“ კონცეფცია, როდესაც სოციალური პროგრამების დაფინანსება ითვლება ბიზნესის სტაბილურობის ერთ-ერთ ფაქტორად. ფულადი სახსრების ნაწილის გამოყენება ფილანტროპიული და სოციალური პროგრამებისთვის, ცხადია, ამცირებს კორპორაციების მოგებას მიმდინარე პერიოდში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში იქმნება კეთილმოსურნე სოციალური გარემოცვა, რაც უზრუნველყოფს მოგების ზრდას. კომპანიები უნდა ცდილობდნენ, უკეთ შეისწავლონ სოციუმზე მათი ზემოქმედების შედეგები და გამოიყენონ ისინი გადაწყვეტილებათა მიღებისათვის.

1972 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ცნობილი წიგნი „ზრდის საზღვრები“. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ სამრეწველო განვითარება, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, აუცილებლად გამოიწვევდა ღრმა კრიზისსა და რესურსების გამოლევას. ერთი წლის შემდეგ არაბულმა ქვეყ-

ნებმა ნავთობზე ემბარგო დააწესეს, რაც ენერგეტიკულ კრიზისში გადაიზარდა.

1985 წელს ვენაში ხელი მოაწერეს ატმოსფერული პროცესების კვლევის კონვენციას, ხოლო 1987 წელს მონრეალში – ოქმს, რომელშიც დეკლარირებულია, რომ კაცობრიობა, უფრო სწორად, ბიზნესი უნდა შეეგუოს მრავალმილიარდიან დანახარჯებს, რათა შეინარჩუნოს სიცოცხლე დედამიწაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მითითებით, ჩატარდა კვლევები გარემოზე ადამიანების ზემოქმედების პრობლემებთან დაკავშირებით და პირველად გამოიყენეს ტერმინი „მდგრადი განვითარება“. იგი გულისხმობს რესურსების მიმდინარე გამოყენებას მომავალში მათი აუცილებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ძალიან მალე ამ ტერმინმა კორპორაციებისთვის გარემომცველ სამყაროსთან ჰარმონიაში ყოფნის მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც გულისხმობდა აქციონერებს, მომუშავეებს, ბუნებასა და მთელ საზოგადოებას.

1995 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გლობალური დათბობა გამოაცხადა „მეცნიერულ ფაქტად“. ორი წლის შემდეგ კი ხელი მოაწერეს ცნობილ კიოტოს პროტოკოლს ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირების შესახებ.

2000 წელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა. 2001 წლის ივლისში ევროკომისიამ გამოაქვეყნა „მწვანე წიგნი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ“, ხოლო 2005 წელი სოციალური პასუხისმგებლობის წლად გამოცხადდა ევროკავშირში. ამ პერიოდში შემუშავდა სოციალური პასუხისმგებლობის საორიენტაციო სტანდარტები ISO26000, რომლებიც ჯერჯერობით აუცი-

ლებლად შესასრულებელი არ არის, მაგრამ ახლო მომავალში სხვა სტანდარტების ტოლფასი იქნება. დღეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა განვითარებული ქვეყნების წამყვანი კომპანიების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ არსებობს ოთხი მიდგომა, რომლებიც მოდელებად შეიძლება განვიხილოთ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია შემდეგი მოდელები:

1. მანიპულაციური მოდელი. კომპანიის კომერციული მიზნების მისაღწევად საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება (დამუშავება გარკვეული მიმართულებით). საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საწყის ეტაპზე ასეთი მიდგომისათვის გვერდის ავლა ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა. საზოგადოებრივი საკუთრების დანაწილება მიმდინარეობდა ძარცვით, ძალადობრივი მითვისებით, თაღლითობითა და სხვა სპეცოპერაციებით. თუმცა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით, ეკონომიკის სტაბილიზაციითა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციით გამოჩნდა აღნიშნული მიდგომის შეზღუდულობა. მისი გამოყენება არა მარტო არაეფექტიანია, არამედ საშიშიცაა კომპანიის გრძელვადიანი ინტერესებისა და მიზნებისათვის.

2. ინფორმირების მოდელი. ამ მოდელისთვის დამახასიათებელია პროპაგანდისტულ-სარეკლამო ზემოქმედებიდან გადასვლა საზოგადოების ინფორმირებაზე კომპანიის მიზნების, გადაწყვეტილებებისა და შესაძლებლობების შესახებ. ასეთი მიდგომის მიზანია, კომპანიის სოციალური

გარემო სწორად და ადეკვატურად რეაგირებდეს კომპანიის საქმიანობაზე, მის მიმართ დადებითად იყოს განწყობილი და მხარს უჭერდეს.

3. ურთიერთგაგების მოდელი. ამ მოდელით კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ მათი ესმოდეთ და უგებდნენ, არამედ ისიც, რომ სხვათა ინტერესებიც გაიგონ და გაითვალისწინონ.

4. სოციალური პარტნიორობის მოდელი. ეს არის განვითარებული მოდელი, რომელიც ორიენტირებულია სოციალური სფეროსა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლაზე, ანალიზსა და გაცნობიერებაზე. ამავე დროს ჩამოყალიბებულია პარტნიორებთან პასუხისმგებლური ურთიერთობები კომპანიის საბაზრო და სოციალურ გარემოში. ასეთ ურთიერთობებს ამკვიდრებენ: სახელისუფლებო ორგანოებთან, მასმედიასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, არაორგანიზებულ საზოგადოებასთან და კომპანიის პერსონალთან.

განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებიდან და ისტორიული წინაპირობებიდან გამომდინარე, გამოყოფენ სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის 5 მოდელს. მათ შორის:

1. ევროპული მოდელი;
2. ბრიტანული მოდელი;
3. ამერიკული მოდელი;
4. კანადური მოდელი;
5. იაპონური მოდელი.

ევროპული მოდელი

აღმოცენდა და ვითარდება ევროკავშირის ჩრდილოეთის ქვეყნებში. ამ მოდელის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ კომპანიების ქცევა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან (კსპ) დაკავშირებით არ არის თავისუფალი არჩევანი. როგორც წესი, იგი რეგულირდება შესაბამისი სახელმწიფოების მიერ მიღებული ნორმებით, სტანდარტებითა და კანონებით.

ბრიტანული მოდელი

კსპ-ის ბრიტანული მოდელი დამახასიათებელია გაერთიანებული სამეფოსთვის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის – საფრანგეთისთვის, ავსტრიასა და გერმანიისთვის.

ამ მოდელის მახასიათებლებია:

1. კსპ-ის სფეროში დამოუკიდებელი კონსალტინგის სექტორის ფართო განვითარება;
2. კსპ-ის პროექტების მიმართ საფინანსო სექტორის ყურადღების გამახვილება;
3. მსს (მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა) მზარდი ინტერესი;
4. სისტემა: ბიზნესი – განათლება;
5. მთავრობის მონაწილეობა კსპ-ის განვითარებაში;
6. ბიზნესის მხრიდან მკაფიოდ გამოხატული ინტერესი კსპ-ის სფეროში პროექტების განხორციელებაში (ნებაყოფლობითობის პრინციპი).

ბრიტანული მთავრობის აქტიური როლი გამოიხატება:

- იმ კომპანიების მხარდაჭერის პოლიტიკაში, რომლებიც აშუქებენ თავიანთ საქმიანობას სოციალურ და ბუნებისდაცვით სფეროებში;
- პერსონალთან ურთიერთობებში.

ამერიკული მოდელი

გავრცელებულია აშშ-ში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, აფრიკის ინგლისურენოვან ქვეყნებში. კსპ-ს ამერიკული მოდელის მთავარი ასპექტია ადამიანის პოტენციალის განვითარებაზე ორიენტაცია როგორც კომპანიის საზღვრებში, ასევე მთელი სოციუმისთვის.

სოციალური დაცვის კორპორაციული ფონდებიდან განხორციელებული გადახდები და მომსახურება მომუშავეებში მომავალი დღის რწმენას ბადებს, რომ ისინი სოციალურად დაცული იქნებიან გარემოებათა ნებისმიერი ცვლილების პირობებში და ცხოვრების დონე არ გაუარესდება (ამას არ დაუშვებენ). ამის საფუძველზე მუშაკები ხდებიან უფრო დაინტერესებული და კეთილსინდისიერი თავიანთი შრომითი მოვალეობების შესრულებაში. მტკიცდება შრომის დისციპლინა, მუშაკები უფრო უფრთხილდებიან საწარმოს საკუთრებას, იზრდება პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა, მუშაკების დაინტერესება საწარმოსა და, საბოლოოდ, კორპორაციის წარმატებებსა და განვითარებაში.

სახელმწიფო სტიმულირების ფორმები აშშ-ში.

- ამოქმედდება მოგების გადასახადებზე შეღავათები;
- დასაბეგრ შემოსავალს აკლდება საქველმოქმედო ღონისძიებათა და შენატანთა თანხები და სხვა.

რეალობაში გამოდის, რომ კორპორაციის შენატანი სოციალურ სფეროში არის სოციალური სფეროს ნაწილობრივი, არაპირდაპირი დაფინანსება. შეღავათიანი დაბეგვრის პირობებში მესაკუთრეები კარგავენ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე მათი ნომინალური შენატანებია. სწორედ ეს არის კომპანიის პოზიტიური იმიჯის შექმნა, რაც საფინანსო რესურსების ხარჯვის ჩვეულებრივი გზით კი არ მიმდინარეობს, არამედ საზოგადოების თვალში კომპანიის რეპუტაციის გაუმჯობესებითა და ამაღლებით ხორციელდება. ეკონომიკური სტიმულების საფუძველზე წარმოქმნილი სახელმწიფო რეგულირება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკული მოდელის საფუძველს წარმოადგენს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავის თავს სრულიად ამართლებს.

სოციალური პასუხისმგებლობის კანადური მოდელი

კანადაში ბევრი ორგანიზაცია ნაყოფიერად თანამშრომლობს ხარისხის ნაციონალურ ინსტიტუტთან, რომელიც ნერგავს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სპეციალურ კანადურ სტანდარტს. ეს არის ხარისხის სრულყოფისა და ჯანმრთელი სამუშაო ადგილების მოდელი.

ხარისხის სრულყოფისა და ჯანმრთელი სამუშაო ადგილების მოდელის პოზიციები:

- ახლად აყვანილი მუშაკების ადაპტირება კომპანიაში არსებულ კორპორაციულ ღირებულებებთან;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპთა რეალიზება. სამუშაო ადგილი – კომპანიის პორტრეტია;

- ღირებულების შექმნა და გაზრდა მუშაკთა ინიციატივით;
- ახალ ეკონომიკაზე გადასვლა. შრომითი საქმიანობის უსაფრთხოებისა და მუშაკთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები კომპანიის (ორგანიზაციის) საერთო მდგომარეობის შეფასების საზომია.

იაპონური მოდელი

იაპონელები არ ცნობენ ევროპულ სტანდარტებს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროებში ისინი თავიანთი ეთიკური კოდექსებით ხელმძღვანელობენ. მხოლოდ 2010 წლიდან მათ ნაწილობრივ აღიარეს ISO 26000.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იაპონური მოდელის მახასიათებლები:

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
- ვოლონტიორობის განვითარება – მოქალაქეთა აღჭურვა პასუხისმგებლობით საკუთარი ქვეყნის წინაშე;
- გარემოს სისუფთავის მხარდასაჭერი პროგრამები;
- კეთილსინდისიერი პარტნიორობის უზრუნველყოფა (დარგობრივი ჯგუფების შექმნა).

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულთა განმავლობაში საერთაშორისო ბიზნესმა გაიარა რთული გზა საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარებაში ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა: სუფთა გარემოს შენარჩუნება, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ადგილობრივი თემების ცხოვრების ხარისხის ამაღლება, ადამიანის უფლებათა დაცვა, კორუფციის უარყოფა და სხვა, რომელთა მნიშვნელობა საზოგადოების მიერ აღიარე-

ბულია. მსოფლიო ეკონომიკაში ეს პროცესი მიმდინარეობ-და იმისდა მიუხედავად, თუ რა მიდგომა არსებობდა სხვა-დასხვა ქვეყანაში კსპ-ს სისტემის შემადგენელთა მიმართ. დღეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზ-ნესის ახალ ფილოსოფიად გადაიქცევა. ამ ფილოსოფიის თანახმად, კომპანიები თავის საქმიანობაში ორიენტირე-ბულნი არიან არა მარტო მოგების მიღებაზე, არამედ ისინი არანაკლებად იღვწიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები გან-საზღვრავს კომპანიის ძირითად მიდგომებს, რომლებიც გამოხატავენ თავიანთი საქმიანობის არსსა და ბუნებას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეალი-ზაციისთვის. რომელიმე პრინციპის გაუთვალისწინებლობა სოციალური პასუხისმგებლობის არსს ამახინჯებს. საზო-გადოებაში ყალიბდება წარმოდგენა, რომ სოციალური პო-ლიტიკა აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს მოქალა-ქეებისთვის. ამ სფეროში შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი პრინციპები:

- **ღიაობა** – გულისხმობს კომპანიის საქმიანობის შე-სახებ ინფორმაციის თავისუფალ მიწოდებას საზოგადოე-ბისთვის. ამავე დროს ყველაფერი, რაც მის საქმიანობას ეხება, გასაგები, საიმედო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამასთან გულისხმობდეს უკუკავშირსაც დაინტერესებულ მხარეებთან და პირებთან;
- **სისტემურობა** – სოციალური პროგრამები რეგუ-ლარულ ხასიათს უნდა ატარებდნენ. ეს გულისხმობს სო-ციალური პროგრამების თანმიმდევრულ და რეგულარულ ორიენტირებას საჭირო სფეროებში;

- **აქტუალობა** – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პროგრამები სრულდებოდეს იმ სფეროებში, რომლებიც საზოგადოებას მოცემულ მომენტში ესაჭიროება. აქტუალობა განსახორციელებელი პროგრამების ეფექტიანობითა და მასშტაბურობით განისაზღვრება;
- **კონფლიქტების პრევენცია და მოხსნა** – სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემას და რელიგიას. ამ პრინციპების საფუძველზე კომპანიები თავიანთ სტრატეგიაში რთავენ ადამიანის უფლებათა დაცვას, ხოლო ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტებზე მისი საქმიანობის ზემოქმედების შეფასებით შეიმუშავებენ და იღებენ ზომებს კონფლიქტთა დაზღვევისა და მოხსნისთვის.

სოციალური პასუხისმგებლობა კორპორაციული მართვის განუყოფელი ნაწილია და არა რეკლამის კომპონენტი. კომპანიის საქმიანობა აისახება მდგრადი განვითარების ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლების სისტემაში. იგი ხორციელდება საზოგადოებასთან რეგულარული დიალოგით და კომპანიების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია. სოციალური პასუხისმგებლობა განპირობებულია ვალდებულებათა კომპლექსით, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს იმ საზოგადოების განსამტკიცებლად, სადაც იგი ფუნქციონირებს. კომპანიები ასე მოქმედებენ მიკრო- და მაკროგარემოსა და საზოგადოების განვითარებისათვის.

კომპანიის შიგა მიკროგარემო განისაზღვრება ადამიანებითა და იმ კომპანიებით, რომლებიც მოცემული კომპანიის ზემოქმედებას განიცდიან და იმ ორგანიზაციებით,

რომლებიც დაინტერესებულნი არიან კომპანიის მაჩვენებლებით. მათ შორის არიან: მყიდველები, კრედიტორები, მიმწოდებლები, მოსამსახურეები, მფლობელები, ინვესტორები, მთავრობა და ა. შ. იმისთვის, რომ სოციალური პასუხისმგებლობა შენარჩუნდეს ინვესტორთა წინაშე, საჭიროა, საფინანსო სფეროს მმართველები ასრულებდნენ აღრიცხვის შესაბამის პროცედურებს, უზრუნველყოფდნენ კომპანიის მონაწილეებს ინფორმაციით, საფინანსო მაჩვენებლებით და ხელმძღვანელობდნენ კომპანიას აქციების მფლობელთა ინტერესებისა და უფლებების სასარგებლოდ. სავაჭრო ოპერაციები, რომლებსაც ატარებენ კონფიდენციალური ინფორმაციის მფლობელი ადამიანები, აქციებით არაკანონიერი მანიპულირება და საფინანსო ინფორმაციის დამალვა მენეჯერთა არაეთიკული ქცევის მაგალითებია, რომლებმაც გააღრმავა და გაახანგრძლივა გლობალური კრიზისი.

XXI საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ბუნებრივ გარემოს. ამ სფეროში განიხილება შემდეგი საკითხები:

- იმ ღონისძიებათა შემუშავება და მათი გატარების შესაძლებლობათა წარმოჩენა, რომლებიც თავიდან აგვაშორებს გლობალურ დათბობასა და მჟავა წვიმებს;
- გაბინძურებული წყლების, საშიში და უსაფრთხო ნარჩენების გადამუშავების ალტერნატიული მეთოდების დამუშავება და ძიება;
- უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ბუნებრივი გარემოსთვის პოტენციურად კატასტროფული შედეგების მქონე ავარიების შესაძლებლობას მოხსნის;

• კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმათა შემუშავება;

• გადამუშავებული ნედლეულის გამოყენება კონტეინერებისა და შესაფუთი მასალების საწარმოებლად;

• საქველმოქმედო, არაკომერციულ ფონდებსა და ასოციაციებში სახსრების დაბანდება;

• მუზეუმების, სიმფონიური ორკესტრების, საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის მხარდაჭერა;

• აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში;

• საქმიანობა, რომელიც მიმართულია მსოფლიოში პოლიტიკური უთანასწორობის დაძლევისთვის და არა მეამბოხეთა ან მათ მოწინააღმდეგეთა მხარდაჭერა საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

სრულიად განსხვავებული მიდგომა გულისხმობს სოციალური პასუხისმგებლობის ორი მიმართულების გამოყოფას – შიგა და გარე მიმართულებები. შიგა მიმართულება ორიენტირებულია კომპანიის პერსონალზე და ხორციელდება შრომის უსაფრთხოების გაძლიერებით, სოციალური დაზღვევით, პერსონალის განვითარების უზრუნველყოფითა და სხვა აქტივობით. მეორე – გარე მიმართულება ორიენტირებულია პროდუქტების მომხმარებელ ორგანიზაციებზე, მყიდველებზე, პარტნიორებზე, სახელმწიფოზე, ადგილობრივ თემებზე, ტერიტორიის მოსახლეობაზე და სხვა გარე შემადგენლებზე.

მსოფლიოში უკვე არსებობს ორგანიზაცია (Fairtrade Labelling Organization International, FLO), რომელიც, კომპანიების წახალისებისა და მოტივირების მიზნით, ეწევა კერძო ვაჭრობის მარკირებას. იგი გასცემს მარკებსა და ეტი-

კეტებს (International Fairtrade Certification Mark) განვითარებადი ქვეყნების საქონელზე, რათა მის წარმოებაში დაცული იყოს სპეციალური კრიტერიუმები და კორპორაციული სოციალური ვალდებულებანი.

პატიოსანი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (World Fair Trade Organization,WFTO) მეორე ცნობილი ორგანიზაციაა, რომელიც აწარმოებს კომპანიების და არა საქონლის მარკირებას. სერტიფიცირება და მარკირება ხორციელდება იმ კომპანიებისა, რომლებიც საქონელს აწარმოებენ განვითარებადი ქვეყნების ნედლეულის საფუძველზე სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების (ISO 26000) დაცვით.

იმ ორგანიზაციების გარდა, რომლებიც გარემომცველი ბუნებისა და ეკოლოგიის სტანდარტებს აყალიბებენ, არსებობს სხვა საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სოციალური პასუხისმგებლობის დაცვას შრომითი ურთიერთობების სფეროში. ამ ორგანიზაციებს მიეკუთვნება კერძო შრომის ასოციაცია (Fair Labour Association, FLA – შეიქმნა ბილ ქლინტონის ინიციატივით). ორგანიზაციამ გამოუშვა სამუშაო ადგილზე ქცევის კოდექსი, რომელიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მუშათა უფლებების დაცვის (Joint Initiative on Corporate Accountability & Workers Rights) ერთობლივ ინიციატივას წარმოადგენს.

კორუფციასთან ბრძოლის სფეროში წესების დაცვაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ორგანიზაცია (Transparency International) და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პრინციპების ვოლფსბერგის ჯგუფი (Wolfsberg Group: Wolfsberg Anti-money Laundering Principles). სამწუხაროდ,

არ მოგვეპოვება ინფორმაცია ამ ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი პირველი, თბილისი, 2012.
2. ი. გოგორიშვილი. კომერციული და არაკომერციული საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ტენდენციები, ჟურნალი „ბიზნესინჟინერინგი“, №2, თბილისი, 2012.
3. Freeman, Edward; Moutchnik, Alexander. Stakeholder management and CSR: questions and answers. In: Umwelt-WirtschaftsForum, Springer Verlag, Bd. 21, Nr. 2013.
4. http://link.springer.com/article/10.1007/s00550-013-0266-3
5. Bulkeley, H. „Governing Climate Change: The Politics and Risk Society“. Transactions of the Institute of British Geographers, New Series, Vol.26, No.4, 2001.
6. Fialka. J .„Politics & Economics: Big Businesses Have New Take on Warming; Some Companies Move From Opposition to Offering Proposals on Limiting Emissions“. *Wall Street Journa,* 2006.
7. Grace, D; S. Cohen). Business Ethics: Australian Problems and Cases. OxfordUniversityPress. ISBN 0-19-550794-0, 2005.
8. Roux, M. „Climate conducive to corporate action: 1 All-round Country Edition“. The Australian. Canberra, A.C.T. online article, 2007.

1.2. ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ ტენდენციის გაძლიერება – საზოგადოებრივ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნის წინაპირობა

სოციალური პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში მიზნად ისახავს საზოგადოების ღარიბი წევრების ან ჯგუფებისათვის ნორმალური ცხოვრების პირობები შექმნას. ამასთან, თუ ცალკეული შედეგების რა მოცულობა აღიქმება სოციალურად სასურველად, დამოკიდებულია მრავალ წინაპირობაზე, როგორიცაა საზოგადოებრივ ჯგუფზე მიკუთვნება, ეკონომიკის განვითარების დონე, მისი ქმედითუნარიანობა, ისტორიული სიტუაცია, ინტერესთა ჯგუფების გავლენა.

ეკონომიკური წესრიგის ან საზოგადოებრივი ღირებულებების (ნორმების) ცვლილებათა შესაბამისად, განასხვავებენ შეხედულებებს სოციალური პოლიტიკის მოქმედების მოთხოვნის შესახებ. შეცვლილი ჩარჩოპირობების ფონზე და ახალი მოთხოვნების შესაბამისად (სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა), ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა უნდა გააქტიურდეს ისეთ ძირითად მიმართულებებზე, როგორიცაა 1) პირადი პასუხისმგებლობა და აქტიური სოციალური სახელმწიფო, 2) თაობების მიმართ სამართლიანობა, 3) სამართლიანობა სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის, 4) მოქნილობა და არჩევანის თავისუფლება, 5) სოციალური გამიჯვნის თავიდან აცილება და სოციალური მშვიდობისთვის ხელშეწყობა, 6) ევროპულ და საერთაშორისო კავშირებში ჩართვა.

სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბება, გამომდინარე კონკრეტული შინაარსიდან, ზოგიერთი ფუძემდებლური პრინციპით განისაზღვრება, რომელთა მიზანია კერძო საოჯახო მეურნეობების უზრუნველყოფა ცხოვრების კრიტიკულ სიტუაციაშიც. მისი ორგანიზება შეიძლება პირადი (ინდივიდუალური პრინციპის საფუძველზე) ან კოლექტიური (სოციალური პრინციპის საფუძველზე) ზრუნვით განხორციელდეს.

ინდივიდუალური პრინციპი „წმინდა“ წარმატებაზე ორიენტირებული საზოგადოების სოციალური პოლიტიკის კურსს შეესაბამება. ამ შემთხვევაში სამართლიანობა მიმართებაშია არა კონკრეტული განაწილების შედეგთან, არამედ არამატერიალური კეთილდღეობით (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება, შესაძლებლობები) თანაბრად აღჭურვის საყოველთაო მოქმედების წესებთან. ამის მიხედვით საზოგადოების თითოეული წევრი თვითონ ქმნის თავისი ცხოვრების პირობებს. ის, აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი პასუხისმგებლობით ზრუნვას (მაგალითად, ავადმყოფობა, უმუშევრობა, ინვალიდობა) და ცხოვრების ნორმალური ციკლის მოვლენებსაც (ოჯახი, ბავშვები, მოხუცები) მოიცავს, რაც შეიძლება დანაზოგების გზით ან სადაზღვევო ხელშეკრულებებით განხორციელდეს. მაგრამ დაბალი შემოსავლების მქონე სუბიექტთა დანაზოგი შესაბამისი დაცვისათვის საკმარისი არ იქნება. არადა, როგორც ვიცით, დაზღვევა რისკის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დაზღვევის პრინციპი, მაგალითად, კონიუნქტურით განპირობებული მასობრივი უმუშევრობის დროს და ომით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრე-

ლად, არ ამართლებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია კოლექტიური დაცვა.

ინდივიდუალური პრინციპის საპირისპიროა საზოგადოების სოციალური პოლიტიკის კურსი, რომელიც უპირატესობას სოციალური საბაზრო ეკონომიკის წესრიგის პოლიტიკის ჩარჩოს ანიჭებს. საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, როგორიცაა: კონკურენცია, კერძო საკუთრება ან საბაზრო ფასწარმოქმნა, აქ შენარჩუნებულია, მაგრამ ბაზრის შედეგები საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, საზოგადოება ინდივიდუალური ცხოვრების პირობების ფორმირებასა და წარმართვაზეა (სოციალური პრინციპი) პასუხისმგებელი. ამ პრინციპის შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემის (რომელსაც სახელმწიფოებრივი იძულებითი დაზღვევის სახე აქვს) დასაბუთება ხდება არა მხოლოდ არადაზღვევადი მოსალოდნელი რისკებით, არამედ, უფრო მეტად, ინდივიდუალური ზრუნვისათვის არასაკმარისი მზადყოფნით. ასე რომ, ბევრი ადამიანი თავის მომავალ მოთხოვნილებებს და მოსალოდნელ შემოსავლებს მცდარად აფასებს. არა მარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ მთელ საზოგადოებას აქვს ინტერესი, შეინარჩუნოს ადამიანური კაპიტალი (დადებითი გარე ეფექტების ზემოქმედება). სახელმწიფოებრივი სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის გამოიყენება 1) სოციალური დაზღვევის, 2) უზრუნველყოფის და 3) ზრუნვის პრინციპები. ისინი სოციალური პოლიტიკის პრაქტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

1. სოციალური დაზღვევის პრინციპის დროს, რომელიც ნაწილობრივ გადასახადებით ფინანსდება, ეკვივალენტის პრინციპის მოდიფიცირება ხდება. დახმარება, მიუხე-

დავად გადახდილი თანხის (შენატანების) ოდენობისა, სოლიდარობის პრინციპით ხორციელდება.

2. უზრუნველყოფის პრინციპი საზოგადოების ყველა წევრს „საერთო“ საჭიროების შესაბამისად, გადასახადებისა და მოსაკრებლების საფუძველზე, დახმარების მიღების გარანტიას აძლევს. რისკის დაფარვის ხარჯები მის გამომწვევს არ დაეკისრება. მაგალითად, გერმანიაში ეს პრინციპი ომის მსხვერპლთათვის (ომის მსხვერპლთა უზრუნველყოფა) და დევნილებისათვის იქნა შემოღებული. სხვა ქვეყნებში უზრუნველყოფის პრინციპი არის სოციალური დაცვის სისტემის საყოველთაო საფუძველი (ძირითადი პენსია, „მოქალაქის სახელმწიფო უზრუნველყოფა“). მიუხედავად ინდივიდუალური საჭიროებისა, უზრუნველყოფის შემთხვევაში (ავადმყოფობა, ინვალიდობა, მოხუცებულობა) მოქალაქეებს ერთნაირი დახმარება ეძლევათ.

3. ზრუნვის პრინციპის მიხედვით (სოციალური დახმარება), „სპეციალური საჭიროება“ დახმარების გაწევის წინაპირობაა. ამის მიხედვით, ნორმალური ადამიანის ღირსების შესაბამისი ცხოვრება იმათთვისაც უნდა იყოს შესაძლებელი, ვინც გაჭირვებაში თუნდაც საკუთარი მიზეზით იმყოფება. თუკი დადასტურდება დახმარების აუცილებლობა, ვალდებულება დახმარების მიმღებს არ დაეკისრება. სოციალური დახმარება გადასახადებიდან (სატრანსფერო გადასახდელები) ფინანსდება.

პრაქტიკულ სოციალურ პოლიტიკაში ეს პრინციპები სოციალური პოლიტიკის კურსთან დამოკიდებულებაში სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენება. გერმანიაში არსებობისათვის ზრუნვაში მნიშვნელოვანია აგრეთვე თვითმმართველობის პრინციპი. ამის მიხედვით სახელმწიფო შე-

მოიფარგლება მხოლოდ წმინდა სამართლებრივი მეთვალ-ყურეობით და სახელმწიფო ამოცანების განხორციელებას სოციალური დაზღვევის გამტარებლებს ანდობს. ამოცანე-ბის ამგვარი დაყოფა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც არა-პირდაპირი საპარლამენტო დემოკრატიის გამოხატულება და მოქალაქეთა თანამონაწილეობის უფლება.

სოციალურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს და გა-აძლიეროს ტენდენცია ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ. მცირე და საშუალო მეწარმეობის ფუნ-ქციები ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტე-მის შედეგია. საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის შესაბამისობა ზემოქმედებას ახდენს მეწარმეებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც „ერთი სისტემის“ თვალსაზრისით მოქ-მედებს, ამავე დროს „მეორე სისტემის“ მიზნებსაც ითვა-ლისწინებს. ორივე სისტემა საკუთრების იმ სტრუქტური-დან გამომდინარეობს, რომელიც უპირატესობას კერძო საკუთრებას ანიჭებს.

დღემდე, თითქმის ექსკლუზიურად, დამწყები მეწარ-მეების ყურადღება კონცენტრირებული იყო რესურსებზე. რა ოდენობის კაპიტალს განკარგავდა კომპანია? რა სა-წარმოო აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებს ფლობ-და იგი? და ა.შ. ეს სხვა არაფერია, თუ არა ფირმის რესურ-სებზე დაფუძნებული ხედვა. მაგრამ ბალანსმა გადაინაც-ვლა. დღესდღეობით შეგვიძლია ბიზნესი ტრადიციული რესურსების გარეშე დავიწყოთ. ახლა უფრო მნიშვნელო-ვანია იდეები და მათი რეალიზაცია. დღეს შეგვიძლია, გან-ვიხილოთ კომპანიები, როგორც იდეის პროდუქტი. ამის დასადასტურებლად ცნობილი მეცნიერი და მეწარმე, ლე-გენდარული Teekampagne-ის დამფუძნებელი გიუნტერ ფალტინი წარმოგვიდგენს კომპონენტების არსებობისა და

იქ შრომის დანაწილების პრინციპებს. მისი აზრით, გადამწყვეტია შემოქმედებითი იდეა და არა მაღალი ტექნოლოგიები. ასე რომ, სამეწარმეო საქმიანობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იდეის მოფიქრება და მისი დამუშავებაა, ვიდრე არ ჩამოყალიბდება სრულყოფილი კონცეფცია. შემდეგი საფეხური იმ უკვე არსებული პროფესიული კომპონენტების პოვნაა, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ თქვენი იდეის ხორცშესხმა ყველა მისი მხატვრული დეტალის გათვალისწინებით. გადამწყვეტი ფაქტორი იდეის ხარისხია [1, გვ. 14-17].

გ. ფალტინი გვირჩევს: „თუ გსურს, რაიმე საინტერესო და რევოლუციური შექმნა, ისწავლე შენი მომხმარებლის უგულებელყოფა, რადგან მათი უმრავლესობის ფუნქცია ძალიან ჰგავს იმ სარკეს, რომელიც უკვე განვლილ გზას აირეკლავს, თანაც, მეტად კონსერვატიული, მოსაწყენი და ფანტაზიას მოკლებულია. ხშირად წარმატებული მეწარმეები, – აღნიშნავს იგი, – არ იგონებენ რაიმე ახალს, არამედ უბრალოდ იღებენ უკვე არსებულს და სხვაგვარად აწყობენ მას, ანუ ისინი არსებული კომპონენტების აწყობით ქმნიან რაღაც ახალს“. ინოვაცია, მეტწილად, იქმნება იქ, სადაც რადიკალურად უპირისპირდებიან დაწესებულ პრაქტიკას [1, გვ. 98-99].

ამრიგად, გ. ფალტინის მიხედვით, არსებობს სამი საფეხური, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია, რადიკალურად შევცვალოთ სამეწარმეო ლანდშაფტი. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ მენტალური საფეხურებია, პრობლემის ახალი კუთხით დანახვაა, რაც საშუალებას გვაძლევს, ბიზნესის დაწყების საკითხს სრულიად სხვაგვარად მივუდგეთ. პირველი ნაბიჯია, ვაღიაროთ, რომ დღეს კარგი კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაპიტალი; მეორე – მეწარ-

მეობის სფეროში უფრო რადიკალურად გამოვიყენოთ შრომის დანაწილების პრინციპი; მესამე – დავაფუძნოთ კომპონენტებისაგან შემდგარი კომპანია. შრომის დანაწილება და სოციალიზაცია საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ კომპანია, რომელიც თითქმის მხოლოდ კომპონენტებისგან იქნება ფორმირებული. გ. ფალტინის ეს მოდელი, ჩვენი აზრით, ნამდვილად მოასწავებს „სამეწარმეო გაზაფხულის“ დადგომას დამწყები მეწარმეებისათვის.

ამ გზით დაფუძნებული კომპანიები დასაწყისიდანვე მაღალეფექტიანად ფუნქციონირებენ, მოითხოვენ ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალს, ამცირებენ რისკს, ნაკლებად მგრძნობიარენი არიან ტიპური კრიზისის მიმართ, რომელიც მოსალოდნელია კომპანიის ზრდასთან ერთად და წარმატებით ახორციელებენ თავიანთ საზოგადოებრივ, კონკურენციულ, სტრუქტურულ და დასაქმების ფუნქციებს, რითაც ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას [3, გვ. 10-13].

მცირე და საშუალო მეწარმეობის საზოგადოებრივი ფუნქცია ხშირად პოლიტიკოსების მიერ სახელმწიფო დახმარების მოთხოვნების დასასაბუთებლად გამოიყენება, ამიტომ სწორედ ამ სფეროშია მნიშვნელოვანი აღნიშნული სამეწარმეო პოლიტიკის განსაზღვრულ „საზომ“ სიდიდეებზე ორიენტირება. ასეთ ინდიკატორად გამოიყენება დამოუკიდებელთა რიცხვი ანდა მათი კვოტა. ამ თვალსაზრისით, სასურველია, რაც შეიძლება ბევრმა ინდივიდმა აღიქვას ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება და, ამგვარად, თავისი წვლილი შეიტანოს ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში [4, გვ. 10].

ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სისტემას ასეთი ადამიანები უნდა ქმნიდნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის „იმპორტირება“ გარედან, მაშინ, როცა მოსახლეობა თავისი ქვეყნის ან საკუთარი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას თვითონ უნდა გაუძღვეს და აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მასზე.

ბაზრის ყოველი სუბიექტის თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მეწარმეობა, დიდად არის დამოკიდებული ბაზარზე კონკურენციის ფუნქციონირებისუნარიანობაზე, რადგან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ხშირად დეგრადაციის ტენდენციებს (მაგალითად, მონოპოლიის შექმნა) ავლენს. არის თუ არა კონკურენცია ბაზარზე ფუნქციონირებისუნარიანი, იმ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეჯამდეს კონკურენციის სამი იერარქიულად მოწესრიგებული განზომილება: ბაზრის სტრუქტურა, მიმწოდებლების მოქმედება ბაზარზე და ბაზრის შედეგი. რადგან ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთმანეთს კონკურენციას უწევს არა ყველა საწარმო, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც მსგავს პროდუქციას აწარმოებენ, ან გასაცვლელად აწვდიან, ამიტომ კონკურენცია ბაზრის ცალკეულ ნაწილებზე შეიძლება შეფასდეს.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა. კერძოდ, სექტორულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებადი მოთხოვნებისა და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანას.

რეგიონულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ ეკონომიკური საქმიანობის გაწონასწორებული განაწილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს, ხოლო საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ, საწარმოების განსაზღვრული სიდიდეების სტიმულირებით, უნდა დააჩქაროს ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაცია [4, გვ. 12].

დიდი და მცირე საწარმოების „ჯანსაღი“ შერწყმით მცირე და საშუალო საწარმოებმა შესაძლებელი უნდა გახადონ საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურის სწრაფი შესაბამისობა ბაზრის ცვლილებებთან. ამასთან, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეს ცვლილებები მომხმარებლის მხრიდან მომდინარეობს, მაგალითად, მომსახურების უფრო გაძლიერებული დატვირთვით, თუ მიმწოდებლის მხრიდან, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. ადაპტაციისუნარიანობა შეიძლება შეეხებოდეს როგორც ცალკეულ საწარმოს, ასევე ბაზრის სტრუქტურას. დიდ საწარმოებთან შედარებით, მცირე საწარმოო ერთეულების უფრო მაღალი შესაბამისობისუნარიანი მოქნილობის კვლევა მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ინოვაციურ მოღვაწეობას. მართალია აშშ-ში, აგრეთვე გერმანიაში, მცირე და საშუალო საწარმოების მოქნილობის უპირატესობანი აღიარებულია, მაგრამ კრიტიკას ვერც ისინი გადაურჩნენ. ინოვაციური მოქმედების გვერდით მეწარმის პიროვნებაც განიხილება, როგორც განსაკუთრებული შესაბამისობის უნარის მქონე. მაგრამ ამ სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სწორედ ესაა მცირე და საშუალო საწარმოების არა მხოლოდ ერთ-ერთი განსაკუთრებული სიძლიერე, არამედ ერთ-ერთი უდიდესი სისუსტეც.

შესაბამისობის აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის მასშტაბით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცალკეული დარგების შიგნით. ეს ცვლილებები შეიძლება გაიზომოს მცირე და საშუალო საწარმოების წმინდა რაოდენობრივი განვითარების ან მათი დასაქმების ამსახველი ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით. შესაბამისობისუნარიანობის ინდიკატორად შეიძლება აღებულ იქნეს აგრეთვე საწარმოების ინოვაციისუნარიანობა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა მასშტაბით „შეეწყობიან“ საწარმოები ბაზრის ცვლილებებს.

დასაქმების საერთო ეკონომიკური სიტუაციისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ, მხედველობაში, პირველ რიგში, მათი მასტაბილიზებელი ზემოქმედება მიიღება (სამუშაო ადგილების შექმნა). დიდ საწარმოებთან შედარებით მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმების განსხვავებული პოლიტიკის ახსნის ცდები მეტად მრავალრიცხოვანია. დისკუსია ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოქნილობის ჰიპოთეზას და ტექნოლოგიის ჰიპოთეზას. პირველის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოები უფრო მოქნილი ორგანიზაციის საფუძველზე დროულად რეაგირებენ მოთხოვნის ცვლილებებზე და ბაზრის ნიშებს მომხმარებლებთან დიდი სიახლოვის გამო შედარებით სწრაფად გრძნობენ. ტექნოლოგიის ჰიპოთეზა იქიდან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნის სტრუქტურები ინდივიდუალურად და ხარისხობრივად დიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების სასარგებლოდ იცვლება და ამით ხდება მასობრივ წარმოებაზე უარის თქმა. ასეთმა „მოძრაობამ“ წარმოება კვლავ მცირე და საშუალო მეწარმეობის პირობებს უნდა მიუახლოოს.

ამ პრობლემატიკის უფრო ახლოს გაცნობის გარეშე შეუძლებელია საერთოდ დასაქმებისათვის მცირე და საშუალო საწარმოების პოზიტიური როლის შეფასება. მათ მასტაბილიზებელი ეფექტი აქვთ შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნიან, ვიდრე დიდი საწარმოები. ზოგ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ორ მესამედს ასაქმებს. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გადაიქცა ყოფილი სახელმწიფო საწარმოებიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მიმღებ რეზერვუარად.

თუ რამდენად აღწევს მცირე და საშუალო მეწარმეობა მიზანს, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები ტრანსფორმაციის პროცესში, ანუ დადებითად ზემოქმედებს თუ არა დასაქმების პოლიტიკაზე, და შესაბამისად, საზოგადოებრივ უთანასწორობაზე, პირველ რიგში, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობით შეიცნობა. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს აგრეთვე პროფესიული მომზადებისათვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობამ. ყოველივე ეს როგორც მომავალი დასაქმების, ასევე დარგების განვითარების გამოკვლევის საშუალებას იძლევა. დასაქმების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ინდიკატორია აგრეთვე საწარმოთა ინვესტიციები. მზარდი ინვესტიციური დანახარჯების საფუძველზე წარმოების გაფართოებას თან სდევს დასაქმების ზრდა [4, გვ. 14].

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ასევე ხაზი უნდა გავუსვათ უმუშევრობის შემცირების ან მისი აღმოფხვრის სამ სტრატეგიულ მიმართულებას. პირველი სახის სტრატეგია, უწინარეს ყოვლისა, სატარიფო ხელშეკრულების

პარტნიორებისკენ არის მიმართული, მეორე სახის სტრატეგია, რომელიც სამუშაო დროის შემცირებას გულისხმობს, პროფკავშირების მხრიდან ხორციელდება, ხოლო კეინზიანურად დასაბუთებული დასაქმების მაკროეკონომიკური პროგრამები – მესამე სახის სტრატეგიას წარმოადგენს [5, გვ. 286-289], [6, გვ. 42-43].

ამრიგად, ახლად დაფუძნებული ინოვაციური კომპანიების წარმატება იწყება ნათელი და პრეტენზიული მიზნით: იყო საუკეთესო ან 1. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი ორიენტირება, კვალიფიციური თანამშრომლები და რკინის ნებისყოფა. ბაზრები ვიწროდ უნდა განისაზღვროს, სამეწარმეო საქმიანობა კონცენტრირებული უნდა იყოს ერთ სიმძიმის ცენტრში – ძირითად კომპეტენციებზე.

საერთოდ, წარმატება მიიღწევა მხოლოდ გლობალური კომერციალიზაციით – ასე შეიძლება ბაზრის თვით უმცირესი ნიშებიც კი საკმაოდ დიდი გახდეს. ქვეყნების ცოდნა, აგრეთვე, ბაზრის პოზიციების რაც შეიძლება ადრე „დაპყრობა“ ქმნის გლობალური წარმატების საფუძველს [7, გვ. 11].

საუკეთესო მომსახურება მომხმარებლებთან სიახლოვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს არის მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი. მომხმარებელი ხომ ყველგან საჭიროებს სერვისს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. ხშირად საწარმოები ახალ საქონელს ქმნიან და შემდეგ ცდილობენ, ეს წინსვლა ინოვაციებით შეინარჩუნონ. ამასთან, სიახლეები ყოველთვის არა მხოლოდ ნაწარმს უნდა შეეხოს, არამედ მომხმარებელთა სფეროსაც, რადგან აქ ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ბაზრის წარმატებული მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენციის უპირატესობანი უფრო ხარისხობრივ გაუმჯობესებებს ემყარება, ვიდრე ფასის მიხედვით უპირატესობებს. მიუხედავად ამისა, ფირმები მუდმივ კონკურენციულ ბრძოლაში არიან ჩაბმული (ბაზარზე ახალი მასობრივი პროდუქციის მწარმოებელთა შეღწევის წინააღმდეგ) თავიანთი წამყვანი პოზიციის დასაცავად.

მცირე და საშუალო საწარმოები დიდ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე მეწარმეობის კულტურის მოთხოვნების გათვალისწინებას. არადა, ამ უკანასკნელს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ. იგი წინა პლანზე წამოწევს და ეყრდნობა ხანგრძლივი წარმატებების მომტან ფასეულობებს [8], [9, გვ. 62-63].

ბაზრის წამყვან სუბიექტებს, განსაკუთრებით მაღალი რანგის მსხვილ მეწარმეებს, როგორც ჩანს, მიდრეკილება აქვთ „თამაშის წესები“ დაადუღაბონ, რათა თავიანთი პოზიცია დაიცვან. ასეთი განწყობა განაპირობებს მოუქნელობას, თვითკმაყოფილებასა და საბოლოოდ მთავრდება წამყვანი პოზიციის დაკარგვით. ამ ფენომენს „ლიდერების წაგების“ სინდრომს უწოდებენ. წარმატებული მცირე და საშუალო საწარმოები ნაკლებად ეწირებიან ამ სინდრომს, ვიდრე დიდი საწარმოები. ბაზარზე მათი წამყვანი მდგომარეობის ხანგრძლივობა თვალნათლივ ადასტურებს, რომ ისინი მეტად მოქნილი და საკმაოდ ფრთხილი არიან, ამ როლში თავს არასოდეს არ გრძნობენ მყარად. სისტემატურად ახდენენ თავიანთი დარგის რეგულირების წესების განახლებასა და მათ მოდიფიცირებას.

დღეისათვის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სულ უფრო მეტად აძლიერებს ბიზნესმეწარმეობი-

დან სოციალური მეწარმეობისკენ გადასვლის ტენდენციას. სოციალური მეწარმეობის იდეა მსოფლიოს მასშტაბით მკვიდრდება. ეს, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ სოციალური პრობლემებისთვის მხარდაჭერის კონცეფცია დაკავშირებულია სამეწარმეო ინიციატივების იდეასთან, მიზანმიმართულ ორგანიზაციასა და კომპანიის სახელით ხარჯების მოწესრიგებულ მართვასთან. ასეთი კონცეფცია პასუხობს მოძრაობას, რომელიც აცნობიერებს, რომ სახელმწიფოები, ადმინისტრაციები და არსებული სოციალური ორგანიზაციები გარკვეული ტიპის პრობლემების გადაჭრისათვის ნაკლებად იბრძვიან; შეიძლება იმიტომ, რომ ისინი არაეფექტიანად ფუნქციონირებენ, უფრო ორგანიზაციის ადმინისტრირებით არიან დაკავებულნი, ვიდრე სოციალური საჭიროების დაკმაყოფილებით ან, უბრალოდ, ხისტი და მოძველებული არიან. ჩვენ გვჭირდება „სოციალური მეწარმეები“, რომლებიც ახალი კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ მიდგომებს გამოძებნიან და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ [10, გვ. 209].

„ეთიკა იხდის“ – თანდათან რეალური ხდება, რადგან არაკეთილსინდისიერი ბიზნესი, შესაძლოა, უფრო გართულდეს [10, გვ. 215]. მნიშვნელოვანია სიტუაციის უფრო ღრმა ანალიზი, მოტივის გააზრება და იმის გარკვევა, თუ როგორ შეგვიძლია ორივე მხარისათვის არაწამგებიანი ვითარების შექმნა. საჭიროა ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე თეზისი, რომლებიც ეხება იმ ადამიანების მოტივაციას, რომლებიც მხოლოდ ალტრუისტული პრინციპებით კი არ მოქმედებენ, არამედ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ისახავენ – საკუთარი თავის დაკმაყოფილების, საზოგადოებაში აღიარების მოპოვების, დიდად მნიშვნელოვანი სამუ-

შაოს მოძიების, რაღაც დადებითის გაკეთების ან წარმატებული მდგომარეობის მიღწევის – მიზანს. იქნებ ეს გზაა საჯარო აღიარებისაკენ თუ საქველმოქმედო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის პოზიციის დაკავებისაკენ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ, შესაძლოა, აღნიშნული ადამიანის მიერ სამუშაოს შენარჩუნების საკითხიც იდგეს დღის წესრიგში. ამგვარი მამოტივირებელი შეფასება უფრო რეალისტური და ზუსტია, ვიდრე მთლიანად ალტრუისტულ ასპექტებზე ფოკუსირება.

ბიზნესმეწარმეობა, მოგების მოტივაციიდან გამომდინარე, ხშირად განსხვავდება სოციალური მეწარმეობისგან. შესაძლებელია, ზოგადი წესის სახით ითქვას, რომ დღეს არის ტენდენციები, რაც უფრო და უფრო ართულებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წინააღმდეგობის გაწევას არაკეთილსინდისიერი ბიზნესპრაქტიკის შენარჩუნებისათვის. თუ ვივარაუდებთ, რომ ამორალურისაგან კარგს არ უნდა ველოდოთ, მაშინაც კი ბაზრის პირობები ქმნის „კარგი“ ქცევის ტენდენციას. ბაზარზე მონაწილეობა ფლობს ადამიანის მორალური მახასიათებლების გაუმჯობესების პოტენციალს [10, გვ. 214-215].

წარმატებული ბიზნესი საჭიროებს ადამიანებს, რომლებიც წარმოადგენენ უფრო მეტად შემოქმედებით ადამიანებს, ვიდრე უბრალოდ პირებს, რომელთაც შეუძლიათ მოგების გაზრდილი ოდენობით მიღება. ბუნებრივია, აღიარების, რაღაც სანახაობრივის, დამოუკიდებლობისა და წარმატების სურვილი ასევე დიდ როლს ასრულებს. ფული და დაგროვილი სიმდიდრე მხოლოდ წარმატების ნიშანია. დამფუძნებელთა თაობა ხშირად ეკონომიურად ცხოვრობს.

სოციალურ და ბიზნესმეწარმეთა შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ხალხი ფიქრობს. ფაქტობრივად, ჩვენ შეიძლება მოწმენი გავხდეთ კონვერგენციის: სოციალური მომსახურებისათვის საბიუჯეტო შემცირებები აიძულებს სოციალურ მეწარმეებს, უფრო ხშირად გამოიყენონ ეფექტიანობისა და ბაზრის ორიენტაციის მეთოდები, მაშინ, როდესაც ინფორმაციის გაზრდის, გამჭვირვალობის, კონკურენციისა და შედარების შესაძლებლობები აიძულებს ბიზნესმეწარმეებს, აწარმოონ კარგი პროდუქცია და კეთილსინდისიერად მოემსახურონ მომხმარებელს, თუ სურთ ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატება [1, გვ.142-154].

მენეჯმენტის სფეროში ცნობილი მრჩევლის, გარეტ მორგანის, მიხედვით, „სოციალურ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნა წარმატების წინაპირობაა“ [2]. მეწარმეობის იდეა დაკავშირებული უნდა იყოს სოციალურ ღირებულებებსა და პრობლემებთან, ამასთან, სოციალური პრობლემების მიმართ ინდიფერენტულობა აშინებს ხალხს, საფრთხეს უქმნის მათ ნდობას და თითქმის ყოველთვის უარყოფითი შედეგით სრულდება, სულ მცირე, გრძელვადიან პერსპექტივაში. დღევანდელ დღეს, მეწარმეებმა უნდა წარმოაჩინონ პასუხისმგებლობის ბევრად მაღალი ხარისხი, თუმცა ეს არ მოითხოვს თანაბარ მორალურ მოტივაციას – მხოლოდ გადარჩენისა და წარმატების სურვილს. შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ: ბიზნესმეწარმეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოძრაობენ სოციალური მეწარმეების მიმართულებით. კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები ქმნიან მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებენ კარგ ქცევას. ეს კი, ფუნქციონირებადი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი თვისებაა [1, გვ. 178].

რაც შეეხება სოციალური მეწარმეობის პერსპექტივებს, მეწარმეობის კონცეფციის გაფართოებამ სოციალურ არენაზე შესაძლოა გამოიწვიოს ის შედეგი, რომ ბიზნესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ხალხი გახდეს უფრო ღია მეწარმეობის, როგორც აქტივობის, მიმართ. ეს კი უფრო შემოქმედებითი და კონგენიალურია, ვიდრე მსხვილი, ანონიმური კომპანიების და მულტიმილიონერების ბიზნესი [1, გვ. 181-182].

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანიც – ქვეყანაში შექმნას შემოსავლებისა და ქონების სამართლიანი განაწილების სისტემა – ემსახურება ეკონომიკური განვითარების პროცესში გარკვეული პირების ან პირთა ჯგუფების დისკრიმინაციის თავიდან აცილებას.

თუ სოციალური და განაწილების პოლიტიკის მიზნად, უპირველეს ყოვლისა, სიღარიბის დაძლევას ან მის შემცირებას მივიჩნევთ, საჭიროა სიღარიბის საზომად განსაკუთრებული ინსტრუმენტების გამოყენება. ამასთან, უნდა განვასხვაოთ აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის ინდიკატორები. აბსოლუტური სიღარიბის გასაზომად, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვითარების პოლიტიკისათვის, მცდელობაა, განისაზღვროს შემოსავლების ოდენობა, რომელიც ცხოვრების საარსებო მინიმუმის სტანდარტისათვის უპირობოდ აუცილებელია. მსოფლიო ბანკმა 1990 წელს წარმოადგინა საარსებო მინიმუმის შესაბამისი საქონლის სამომხმარებლო კალათა და, აქედან გამომდინარე, დაადგინა, რომ აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს წარმოადგენს დღეში 1 ამერიკული დოლარის ან წელიწადში დაახლოებით 400 ამერიკული დოლარის ოდენობის შემოსავალი. შედარებითი სიღარიბის გაზომვი-

სას, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, საჭიროა სიღარიბის ზღვარის კონცეფციაზე დაყრდნობა, რომელიც ყოველთვის საშუალო შემოსავალთან შედარებით დგინდება. ხშირად სიღარიბის ზღვრად მიიჩნევა საშუალო შემოსავლების მესამედი ან ნახევარი. სიღარიბის კვოტა შემდგომ ზომავს შემოსავლების მიმღებ იმ პირთა წილს, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა [9, გვ. 280].

სახელმწიფოს ჩარევა ზრდისა და კონიუნქტურის პოლიტიკის ფარგლებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს უწყობს ხელს ან პირიქით. გარდა ამისა, ეკონომიკის მწარმოებლურობა და წარმატებული ფუნქციონირებისუნარიანობა სოციალური დაცვის სისტემის ფორმირების ფუძემდებლური წანამძღვარია. მაშასადამე, სოციალური პოლიტიკის საზღვრებზე გადამწყვეტ გავლენას ეკონომიკური ზრდა ახდენს, ანუ ეკონომიკური განვითარება სოციალური პოლიტიკის საზღვრებს აწესებს [11, გვ. 246], [12, გვ. 299-300]. სოციალურმა პოლიტიკამ კი, თავის მხრივ, თანდათანობით ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობის კონცეფციის გაფართოებას სოციალურ არენაზე და, აქედან გამომდინარე, სოციალურ მეწარმეობაზე გადასვლას, რათა მეწარმეობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი „დახმარების მიმღები“ სუბიექტები გახდნენ უფრო ღია მეწარმეობის, როგორც აქტივობის, მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Muenchen, 2008.
2. Morgan, Gareth, „Emerging Waves and Challenges: The Need For New Competencies and Mindsets“. In: Henry, J. (Hrsg.): Creative Management. Sage Publications, London/Newbury Park/New Delhi. 1991.
3. ჯ. ჰასიდი, ა.-ს. კომსელისი, ი. ფაფალიოუ, მ. ფსილაკი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი III, თბილისი, 2011.
4. რ. გველესიანი, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბილისი, 1999.
5. Walter A.S. Koch, Christian Czogalla, Grundlagen der Wirstcaftspolitik, 2. Auflage, Lucius & Lucius, Stuttgart, 2004.
6. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბილისი, 2012.
7. Hermann Simon, Die Heimlichen Gewinner (Hidden Champions), Die Erfolgsstrategien unbekannter Weltmarktfuehrer, Frankfurt/Main, New York, 1996.
8. Christian Scholz, Hofbauer, Wolfgang, Organisationsstruktur: Die vier erfolgsprinzipen, Wiesbaden: Gabler, 1990.
9. Rainer Klump, Wirtschaftspolitik, Instrumente, Ziele und Institutionen, 2. Auflage, Pearson Studium, Muenchen, 2011.
10. გ. ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს (თარგმანი ქართულ ენაზე), თბილისი, 2014.
11. რ. გველესიანი, საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების იერარქიაში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის გზები, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი *თსუ მეცნიერება*, ივლისი, 2012.
12. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი, 2012.

თ ა ვ ი II

სოციალური მეწარმეობის განვითარების თავისებურებები ვიშეგრადის ქვეყნებში

2.1. სოციალური მეწარმეობის ევროპული გამოცდილება

დღეს სოციალური მეწარმეობა ბევრი ქვეყნისა და რეგიონის საზოგადოებრივი განვითარების ძირეული საკითხი და ცხარე სოციალური დისკუსიის მთავარი თემაა. ამასთან, იგი საზოგადოების სოციალური პრობლემების დაძლევის მთავარ გზად განიხილება. თუმცა, სოციალური ეკონომიკის და სოციალური მეწარმეობის განვითარების თეორიული დამუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების დონეები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირში მიმდინარე ტენდენციების მეცნიერული კვლევა და შეფასება, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესის ობიექტურ განჭვრეტას, შესაძლებლობებით სარგებლობას და საფრთხეების შემცირებას. ამ თვალსაზრისით სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის საკითხის კვლევით დაინტერესება აქტუალური და დროულია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწარმეობის

საკითხებზე კვლევები ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის და სოციალური მეწარმეობის ალიანსის ფარგლებში, სოციალური სამეწარმეო საქმიანობის გაფართოება და განვითარება საუნივერსიტეტო წრეებში საკვლევი პრობლემის აქტუალიზაციას მოითხოვს. აღნიშნულის დადასტურებაა ის, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე დამუშავდა საგრანტო პროექტი თემაზე – სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში. წინამდებარე კვლევა აღნიშნული პროექტის ნაწილია და ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების თანამედროვე გამოწვევების შესწავლას ისახავს მიზნად. აღნიშნული მიზნით შევისწავლეთ სოციალური მეწარმეობის ევროპული გამოცდილება, მისი განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი – სტრასბურგის დეკლარაციის სახით; გავაანალიზეთ კონკრეტულად ვიშეგრადის ქვეყნებში (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი) სოციალური მეწარმეობის აქტუალური საკითხები და ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები საქართველოში სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

აღსანიშნავია, რომ სოციალური მეწარმეობის შესახებ ზემოთ მოყვანილი კვლევითი ცენტრების კვლევებში არ არის წარმოდგენილი ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების პრობლემატიკა. ამასთან, არ არის გამოკვლეული ევროკავშირის ზოგადი მიდგომა სოციალური მეწარმეობის განვითარების საკითხთან მიმართებაში და კვლევები ძირითადად 2010 წლამდე პერიოდს

მოიცავს. შესაბამისად, ვეცადეთ, კვლევა წარგვემართა აღნიშნული მიმართულებით. სოციალური საწარმოების ბიზნესგარემოს ხარისხი განისაზღვრება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მარეგულირებელი ფუნქციების დამატებით, პრეფერენციების მინიჭებით, რაც აძლიერებს სოციალურ ეკონომიკას და სოციალური საწარმოების განვითარებას. გარემოს ხარისხის ფორმირება დამოკიდებულია საჯარო ინსტიტუციების ფუნქციონირებაზე, რომელიც სისტემის გარანტორის როლს ასრულებს, ასევე, განსხვავებებია სოციალური მეწარმეობის რეგულირების, მათ მიერ დამატებული ღირებულების ზრდის და მიღებული მოგების განაწილების საკითხებში.

სოციალური მეწარმეობის განმარტება განსხვავებულია ქვეყნების, რეგიონების მიხედვით. საზოგადოდ, იგი სოციალური მიზნების მიღწევას ემსახურება, ხოლო სოციალური საწარმოები დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეულების სახით წარმოგვიდგება. განსხვავებაა სოციალური საწარმოების რეგულირებაში (სპეციალური სამართლებრივი ფორმები ტრადიციული მომგებიანი ან არამომგებიანი სამართლებრივი ფორმების საპირისპიროდ), მოგების განაწილებაში (მოგების განაწილების არარსებობა მოგების განაწილების ან კომპანიის სამომავლო საქმიანობის ინვესტირების საპირისპიროდ).

სოციალური ეკონომიკა კოოპერატიული საზოგადოებების, ერთობლივი გაერთიანებების, ასოციაციების, ფონდების და სოციალური საწარმოების ერთობლიობაა. მისი მნიშვნელობა ევროპის ეკონომიკისათვის დღეისათვის ძალიან იზრდება როგორც წევრი სახელმწიფოების ეროვნულ, ასევე ევროკავშირის დონეებზე. სოციალური საწარ-

მოები არა მარტო მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოთამაშეებად გვევლინება, არამედ მთავარ როლს ასრულებს მათი წევრებისა და ევროპელი მოქალაქეების საზოგადოებაში უფრო სრული ჩართულობისათვის. სოციალური ეკონომიკის საწარმოები ცვალებადი ევროპის მოთხოვნებს პასუხობს. ისინი მეწარმეობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და სამუშაო ადგილებს ქმნიან ისეთ სივრცეში, სადაც ტრადიციული „ინვესტორ-მამოძრავებელი“ საწარმოო სტრუქტურები ყოველთვის შეიძლება არ იყოს „ინვესტიციების შემომტანი“. ევროკავშირის ინტეგრაციის კონტექსტით საინტერესოა გავაანალიზოთ სოციალური ეკონომიკის მდგომარეობა ვიშეგრადის ქვეყნებში.

კვლევა სამ ძირითად საკითხს მოიცავს: 1. სოციალური მეწარმეობის ევროპული გამოცდილება; 2. სოციალური მეწარმეობის გამოწვევები ვიშეგრადის ქვეყნებში და 3. სოციალური საწარმოს პოტენციალის რეალიზების განაცხადი (სტრასბურგის დეკლარაცია).

სოციალური საწარმოები წარმოგვიდგება მზარდი სექტორის სახით არა მარტო განვითარებად ქვეყნებში, არამედ ევროკავშირშიც. სოციალური პრობლემების გაღრმავებამ, რომელიც უკავშირდება უმაღლესი განათლების მქონე პირების, ორმოცდაათ წელს გადაცილებულების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უმუშევრობის მაღალ დონეს შრომის ბაზარზე, იმპულსი მისცა სხვადასხვა მოთამაშის გაერთიანებას სოციალურ საწარმოებში. სოციალური ბიზნესის სხვადასხვა სფეროში, გლობალური მეწარმეობის მონიტორინგის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, დასაქმებულია ევროკავშირის სამუშაო ძალის 7.5%. სოციალური მისია და სოციალური საწარმოები დაკავშირებულია

მდგრად ან ინკლუზიურ განვითარებასთან და მიზნად ისახავს ევროკავშირის საზოგადოებაში სოციალური გამოწვევების დაძლევას: ეს ნიშნავს, რომ სოციალურ საწარმოებში ინვესტირებას სასურველია ჰქონდეს უფრო დიდი პოზიტიური სოციალური ზეგავლენა, ვიდრე ზოგადად ინვესტირებას მცირე და საშუალო მეწარმეობაში [4, გვ. 94].

მეწარმეობა არასამთავრობო ორგანიზაციებში ეკონომიკური აქტივობებში ჩართვის პროცესია, ისევე როგორც სამეწარმეო პოზიციის ქონა, რომელიც აქტიურად მიმართულია არამომგებიანი საქმიანობისკენ. სოციალური მეწარმეობა არის პროცესი, მიმართული სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება შემდეგი თავისებურება: მომგებიანი ორგანიზაცია ფინანსურად მხარს უჭერს არამომგებიან ორგანიზაციას. სოციალური საწარმო არის სოციალური მეწარმეობის შედეგი. სოციალური სამეწარმეო აქტივობა, სოციალური საწარმოს ჩამოყალიბების ფორმით, შეიძლება ჩაითვალოს როგორც წარმოებლურობის საზომი, რადგანაც ის არის არამომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაციის განვითარების შემდგომი საფეხური.

მეწარმეობა არის საწარმოო პროცესის დაწყება შესაძლებლობის ან საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე. მეწარმეობისთვის დამახასიათებელია ახალი ბაზრების შექმნის პროცესი, რესურსებისა და შესაძლებლობების, ინოვაციის შემოქმედებითი გამოყენების, ახალი ტექნოლოგიების, ახალი ინდუსტრიებისა და ახალი პროდუქტების წარდგენის, დასაქმების უზრუნველყოფის სახით. პროგრესის საფუძველია ძლიერი სამეწარმეო კულტურა, როგორც ეკონომიკური განვითარების რეალური ძრავა [2, გვ. 77].

სამეწარმეო აქტივობები უფრო მეტად თავს იჩენს ტრადიციულად მომგებიან სექტორში და მცირე და საშუალო საწარმოების შექმნისას.

სოციალური მეწარმეობის შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ მეწარმოების განვითარების გამოცდილება არასამთავრობო სექტორში. მეწარმეობის იდეა არასამთავრობო ორგანიზაციებში მარტივად შეიძლება ამოვიცნოთ ამ ორგანიზაციების აქტივობებში, რომლის მიზანია სოციალური მისიის შესრულება.

არამომგებიან ორგანიზაციებში სამეწარმეო თვისებები ვლინდება, უპირველესად, კერძო ინდივიდუალური ან კოლექტიური ინიციატივის სახით. მისი მისია, ხედვა და მიზანია განსაზღვრული საჭიროების, შესაძლებლობების, უკეთესი საზოგადოების მიღწევა. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაციის დაარსების საწყის ეტაპზე ან მომავალში ორგანიზაცია ჩამოაყალიბებს სტრატეგიას და დროში განსაზღვრავს მისიის განხორციელების ბიზნესგეგმას. იმისათვის, რომ ეფექტიანობა გაიზარდოს, აქტივობა საჭიროებს კოორდინაციას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, კარგ ლიდერობას, ფინანსურ მენეჯმენტს და ეკონომიკური აქტივობების განვითარებას.

არამომგებიანი ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტებს და პროგრამებს, რომლებიც საჭიროებს მართვას. სწორედ პროექტების მიხედვით ყალიბდება დროებითი ორგანიზაციები არაამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებიც ნაწილობრივ დამოუკიდებელი არიან და პროექტის მენეჯერების მხრიდან იმართებიან. არასამთავრობო ორგანიზაციები რესურსებს მიმართავენ მიზნობრივად, აღნიშნული დროებითი სტრუქტურების ჩამოსაყალიბებ-

ლად ძირითადი ორგანიზაციების შიგნით. პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება მოითხოვს პროექტის მენეჯმენტის გუნდისგან სამეწარმეო უნარებს, იმიტომ რომ სოციალური მოთხოვნილებების გამოსავლენად ორგანიზაციის მხრიდან ჩნდება შემოქმედებითი მიდგომის საჭიროება, ისევე როგორც კლასიკური მეწარმე მართავს თავის ბიზნესს.

ფედერაცია არის სტრუქტურების ერთობლიობა, რომელიც ორ და მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას მოიცავს. ფედერაცია უფრო დიდი ზეგავლენის მოსახდენად ყალიბდება. არასამთავრობოების გაერთიანება აყალიბებს ახალ სტრუქტურას და ახალ ინიციატივას, რომელიც სამეწარმეო პრინციპით უნდა იმართოს. სოციალური საწარმო ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის კომბინაციაა, რომელიც მათ საუკეთესო მახასიათებლებს აერთიანებს. სოციალური საწარმო ჰიბრიდული ორგანიზმია, რომელიც ბიზნესისა და არასამთავრობოს საფუძველზე ყალიბდება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მდგრადობა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

ევროკავშირის განმარტებით, „სოციალური საწარმოები სოციალური ეკონომიკის სექტორის ნაწილია. ისინი მოიცავენ იმ ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლებიც არსებობენ ტრადიციული – კერძო და საჯარო სექტორების გადაკვეთაზე, რადგანაც არ არსებობს საყოველთაო და აღიარებული განმარტება სოციალური საწარმოს შემთხვევაში, მისი ამოსავალ მახასიათებლად მიიჩნევა სოციალური მიზნების კომბინაცია კერძო სექტორის სამეწარმეო სულთან“ [2, გვ. 78].

ძალიან საინტერესოა, რომ უამრავ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც სოციალურ მომსახურებას ახორციელებს, არ აქვს არანაირი დახმარება საჯარო სექტორიდან. სოციალური საწარმოს განმარტება არ მოიცავს საჯარო ადმინისტრირების, როგორც მხარის, თანამონაწილეობას ამ ტიპის საქმიანობაში. სოციალური მეწარმეობა მოიცავს აქტივობებს, რომელიც ქმნის მოგებას. ასეთი ორგანიზაციებია განვითარების ორგანიზაციების გაერთიანებული ბანკი, რომელიც ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის სპეციფიკურ ელემენტებს აერთიანებს. სოციალური მეწარმე სოციალურ ღირებულებებს აყალიბებს ინოვაციის განგრძობითი პროცესის და ახალი შესაძლებლობებისთვის ხელშეწყობის გზით, მაგრამ ყოველთვის ორიენტირებულია სოციალურ მოგებაზე პერსონალური მოგების მიღებამდე ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორივეზე.

სოციალური საწარმოს სამი ძირითადი ტიპი არსებობს განსაზღვრული მისიისა და სოციალური პროგრამების ბიზნესაქტივობაში ჩართვის დონის მიხედვით:

1. **მისიაზე ორიენტირებული სოციალური საწარმო,** რომელიც სოციალური მისიის მისაღწევად ყალიბდება და თვითდაფინანსების სქემით სარგებლობს. ამ ტიპის ორგანიზაციებია უნარშეზღუდულთა დასაქმების ცენტრი ან უპირატესობების არმქონეთათვის მიკროსაფინანსო ინსტიტუცია;

2. **მისიაზე დამოკიდებული სოციალური საწარმო,** რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის მისიასთან ან სოციალურ მომსახურებასთან ასოცირდება. ამ ტიპის ორგანიზაცია ემყარება სინერგიულ ეფექტს, რომელიც აყალიბებს სოციალურ ღირებულებებს პროგრამებისთვის და

სოციალური პროგრამების მდგრადი ფინანსური უზრუნ-ველყოფისთვის ეკონომიკური ღირებულებების გენერირე-ბას ახდენს;

3. მისიასთან კავშირის არმქონე სოციალური საწარ-მო, როდესაც სოიალური საწარმო არ არის დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციის მისიასთან და ფუნქციონი-რებს ისეთ ინდუსტრიაში, სადაც არასამთავრობო ორგანი-ზაცია არ ოპერირებს. პოტენციური მოგება არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსების ერთადერთი მიზეზია, იმისათვის, რომ დაიფაროს ამ უკანასკნელის დანახარჯები შემოწირუ-ლობის ან სპონსორობის გზით. ამ შემთხვევაში ორი ტიპის სოციალური საწარმო არსებობს: **1. როდესაც არასამთავ-რობო ორგანიზაცია ფლობს საწარმოს აქციების 50%-ზე მეტს; 2. როდესაც ფლობს აქციების 50%-ზე ნაკლებს** [2, გვ. 80].

2.2. სოციალური მეწარმეობის გამოწვევები ვიშეგრადის ქვეყნებში

ევროკომისიის განმარტებით, სოციალური საწარმო არის ნებისმიერი საწარმო მისი სამართლებრივი სტატუ-სის მიუხედავად, რომელიც უზრუნველყოფს გაზომვად პოზიტიურ სოციალურ ზეგავლენას ისეთი საქონლისა და მომსახურების წარმოების გზით, რომელიც გამიზნულია მოწყვლადი, მარგინალიზებული, უნარშეზღუდული და უპირატესობის არმქონე პირებისთვის და ამისთვის იყე-ნებს წარმოების ისეთ მეთოდს, რომელიც მათი სოციალუ-

რი მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს. ევროკომისიამ ევროკავშირისთვის სოციალური ბიზნესინიციატივა (ევროპარლამენტი 2012, 20 ნოემბერი) ჩამოაყალიბა, რომლის საფუძველზეც სოციალური საწარმოების დაფინანსების სისტემა შეიქმნა. სხვა საფინანსო ინსტრუმენტი, მიმართული სოციალური საწარმოებისათვის კაპიტალის წვდომაზე, არის მიკროსაკრედიტო ინიციატივა სოციალური საწარმოებისთვის, რომელიც სოციალური ცვლილებებისა და ინოვაციების პროგრამის ნაწილია. ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება 2014 წლიდან დაიწყო. ეს პროგრამა მოიცავს სოციალური საწარმოების სტარტაფების დაფინანსების ინსტრუმენტს მათი შემდგომი განვითარებისა და გაფართოებისთვის. მისი მიზანია დაახლოებით 450 მილიონი ევროს ღირებულების მიკროსესხებით უზრუნველყოფა, რომელთაგან 100 მილიონი უშუალოდ სოციალური საწარმოების განვითარებას მოხმარდება. ევროპის ახალი სოციალური მეწარმეობის ფონდების მიზანია, დაეხმაროს სოციალურ საწარმოებს ფინანსურ ბაზრებზე ფინანსებთან წვდომაში საინვესტიციო ფონდების წესების ჰარმონიზაციის გზით. სათანადო საფინანსო ჩარჩოს ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია სოციალური საწარმოებისთვის არსებული საინვესტიციო ინსტრუმენტების სპეციფიკური განვითარება და ადაპტირება. აღნიშნული მოიცავს სოციალურ საინვესტიციო ფონდებს, კოოპერციულ ბანკებს, ეთიკურ და სოციალურ ბანკებს, კომერციულ ბანკებს სოციალური პროგრამებით, ინოვაციურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ბრიტანული „სოციალური გავლენის ობლიგაციები“ და სხვა. ასეთი ინსტრუმენტები შესაძლებელია გამოყენებული იყოს ჰიბრიდულ კაპიტალზე წვდომის ფორ-

მის სახით, რომელიც სოციალური საწარმოების დაფინანსების ყველაზე მისაღებ მოდელად წარმოგვიდგება.

ევროკავშირში სოციალური მეწარმეობის წინაშე არსებული გამოწვევები განვიხილოთ ვიშეგრადის ქვეყნებზე დაყრდნობით:

ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური ეკონომიკის განვითარება სამ ეტაპს მოიცავს: ტრადიციული სოციალური ეკონომიკა, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში არსებობდა. იგი მოიცავდა კოოპერატივებს, კოოპერატიულ ბანკებს, დამხმარე ორგანიზაციებს, სასესხო და საგარანტიო ფონდებს, ერთობლივი დაზღვევის ფონდებს და ა.შ., რომლებიც არ იყვნენ ორიენტირებული შემოსავლების მიღებაზე. 1947-1989 წლებში ძველი სოციალური ეკონომიკა სოციალისტური სახელმწიფოს მონოპოლისტურ კონცეფციას ემყარებოდა, სადაც სახელმწიფო განსაზღვრავდა ადმინისტრაციულ და საფინანსო საჭიროებებს, ხოლო სოციალური ეკონომიკის ოპერატორების როლი უმნიშვნელო იყო. 1989 წლიდან, სოციალური პრობლემების გამწვავებასთან ერთად და ზოგადი ევროპული მიდგომის გავლენის საფუძველზე, ვიშეგრადის ქვეყნებში დაიწყო აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება. გაიზარდა ინტერესი სოციალური ეკონომიკის მიმართ და ახალი რეგულაციების და ევროკავშირიდან წამოსული ფინანსების დახმარებით, ახალი სოციალური ეკონომიკის ინსტიტუციებმა ჩამოყალიბება დაიწყეს.

ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების თავისებურებების შესწავლამდე მნიშვნელოვანია ამ ქვეყნებში დემოგრაფიული ზოგადი სტრუქტურის განხილვა.

ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების მოსახლეობის 1/5-ს ახალგაზრდობა (15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) შეად-

გენს, მაგრამ მოსახლეობის დაბერება განაპირობებს მომავალში ახალგაზრდების კონტინგენტის შემცირებას. სკოლის ასაკის მოსახლეობის წილი ძალიან მაღალია და 18 წლამდე ახალგაზრდობა ძირითადად სასკოლო ფორმალური განათლების მიღებით არიან დაკავებული, თუმცა იზრდება მათი რაოდენობაც, ვინც უმაღლეს განათლებას იღებს. ახალგაზრდებს შორის სიღარიბე ვიშეგრადის ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია (20-40%-ში მერყეობს), მაგრამ მთავარი მიზეზი ეკონომიკური კრიზისია, რაც განაპირობებს ახალგაზრდებში სიღარიბის დაძლევის შეჩერებას [7, გვ. 2].

ვიშეგრადის ოთხ ქვეყანას შორის პოლონეთი უდიდესია – 38.5 მილიონი მოსახლეობით. უნგრეთს და ჩეხეთს თითქმის თანაბარი რაოდენობის მოსახლეობა ჰყავთ – 10 მილიონის ფარგლებში, ხოლო სლოვაკეთს, ყველაზე ნაკლები – 5.5 მილიონი. ვიშეგრადის ოთხივე ქვეყნის დემოგრაფიული სტრუქტურა მსგავსია, რაც მიუთითებს ომის შემდგომ ბუმსა და ამ ბუმის გამოძახილზე 70-80-იან წლებში. ახალგაზრდა მოსახლეობა ამ ქვეყნებში მაღალი წილით არის წარმოდგენილი: მოსახლეობის 22%-ია პოლონეთსა და სლოვაკეთში, ხოლო 19 % ჩეხეთსა და უნგრეთში [7, გვ. 3].

ახალგაზრდობის დასაქმება ვიშეგრადის ქვეყნებში მაღალი რყევებით ხასიათდება. პოლონეთსა და სლოვაკეთში 2000 წლების დასაწყისში ძალიან მაღალი უმუშევრობის დონე დაფიქსირდა. ამ ორ ქვეყანაში უმუშევრობის მკაფიო და უეცარი ვარდნა განპირობებული იყო ევროკავშირის ქვეყნებში ახალგაზრდა მუშაკთა ნაკადების გაფართოებით, თუმცა ამან შექმნა პოზიტიური ეკონომიკური კლიმატი მოცემული პერიოდისთვის. უმუშევრობის ზრდა გამოკვლეულ იქნა 2008 წლის კრიზისი შემდგომ, ეკონომი-

კური და საფინანსო კრიზისის ეფექტის სახით. მსგავსი ტენდენციები ჩანს ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაგრამ უმუშევრობის საერთო დონე შედარებით დაბალია. უნგრეთში უმუშევრობის დონე ბოლო ათ წლის განმავლობაში ყველაზე მაღალია, რასაც ხელი შეუწყო უნგრეთიდან ემიგრანტთა ნაკადების ზრდამ.

2011 წლისთვის ვიშეგრადის ოთხეულში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ზოგადად დაბალია სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან და ირლანდიასთან შედარებით. უმუშევრობის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის მიგრაციულ ტალღებთან ერთად არის ლოკალურად სამუშაო ადგილების არქონა, დაბალი ხელფასები. პრობლემაა სამუშაო ადგილის მოძიებაც, რადგანაც განათლების მიღების ეტაპიდან შრომის ბაზარზე გასვლის ეტაპზე ახალგაზრდებს ახასიათებთ პასიურობა, აქვთ კარგი ცოდნა და უნარები, მაგრამ არ აქვთ სამუშაო გამოცდილება.

ვიშეგრადის ქვეყნების ახალგაზრდებისთვის საერთო მახასიათებელია მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის დაბალი დონე ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ვიშეგრადის ქვეყნებში ამ დამოკიდებულებას ხელი შეუწყო მიდგომამ, რომელიც უკავშირდება მოხალისეობრივი საქმიანობის არაღიარებას. თაობათა ცვლის პირობებში აუცილებელია ახალი მიდგომის/განწყობის, დამოკიდებულების ფორმირება მოხალისეობრივი საქმიანობის საკითხზე. ამასთან, აუცილებელია კორპორაციული ინიციატივებისა და ბიზნესის ჩართულობა მოხალისეობრივ აქტივობებში. დღეს, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პირობებში, მარტივია ინფორმაციის გავრცელება მოხალისეთა აქტივობების, ღონისძიებების, სასკოლო

პროგრამების შესახებ. ეს ყველაფერი დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკურ ინტერესთან და ჩართულობასთან. ახალგაზრდა კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მოხალისეობრივი აქტივობიდან დიდი გამოცდილება მიიღო [7, გვ. 7].

ევროპელ მოხალისეთა მომსახურება ყველაზე ცნობილი პროგრამაა, რომელიც ახალგაზრდას შესაძლებლობას აძლევს, ხანგრძლივად გაწიოს მოხალისეობრივი საქმიანობა საზღვარგარეთ.

ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების (მათ შორის ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნების) ახალგაზრდები 2007 წელს თვლიდნენ, რომ მათთვის ნაკლებად მისაღებია აქტიურ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობა, რადგანაც იმავე შედეგის მომტანია პოლიტიკურ პარტიაში, არასამთავრობო ორგანიზაციაში საქმიანობა ან პროფესიული კავშირის წევრობა. მათთვის უფრო მისაღებია პეტიციის ხელმოწერის ინსტრუმენტის გამოყენება. ამასთან, უფრო მიმზიდველია ახალი ფორმების გამოყენება, როგორიცაა ფლეშმობი, თეატრალური დადგმები და ა.შ.

ახალგაზრდების მონაწილეობა სამოქალაქო ორგანიზაციებში მათ აქტიურ ჩართულობას გულისხმობს არაფორმალური სწავლების პროცესში. ვიშეგრადის ქვეყნების ახალგაზდობის 40%-ზე მეტი მონაწილეობს საორგანიზაციო აქტივობებში. ძალიან პოპულარულია სპორტული კლუბების წევრობა, დასვენებისა და კულტურის ორგანიზაციებსა და კლუბებში მონაწილეობა.

ასევე, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების აღიარების საკითხი, მათი სერტიფიკაცია, რომელიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამსახურის ძიებისას.

ვიშეგრადის ქვეყნებში, განსაკუთრებით სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა არაფორმალური განათლების აღიარების საკითხზეც, რომელიც ხორციელდება ევროპის სოციალური ფონდის მხარდაჭერით.

ამრიგად, ვიშეგრადის ქვეყნებში ახალგაზრდების დასაქმების მთავარი პრობლემებია: დასაქმება, პრაქტიკის უზრუნველყოფა, სამეწარმეო აქტივობა, სტარტაფინიციატივების წახალისება, ფორმალური და არაფორმალური განათლება, მოხალისეობრივი ჩართულობა, არაფორმალური განათლების აღიარება, ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარებაში ინვესტირება.

კონკრეტულად ვიშეგრადის ქვეყნების მიხედვით მდგომარეობა შემდეგი სახისაა:

ჩეხეთის რესპუბლიკა

სოციალური საწარმოების ჩეხური კონცეფცია განსაზღვრავს ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს (ბიზნეს- და სოციალურ მისიებს), რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს. ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებული სოციალური საწარმოების უმეტესობა ფოკუსირებულია უპირატესობების არმქონე ადამიანების დასაქმებაზე (ე.წ. სოციალური საწარმოების ინტეგრაცია). ბევრი მათგანის საქმიანობა კი მოიცავს უნარშეზღუდული ადამიანების დასაქმებას, ზემოთ აღნიშნული სოციალური საწარმოების ინტეგრაციას. ჩეხეთის რესპუბლიკაში არის სოციალური საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ საქველმოქმედო მომსახურებას სოციალური ჩართულობის მიმართულებით, ასევე, აქტივობების წარმართვას გარემოს დაცვაზე ორიენტირებუ-

ლი საწარმოების ხელშესაწყობად და მათ მიერ გამოშვებული პროდუქტის გასაყიდად. სოციალური საწარმოების უმეტესობაში ჩართული არიან უნარშეზღუდული პირები, რომლებიც სარგებლობენ მკაფიოდ განსაზღვრული სუბსიდიებით და შესაბამისი სტატუსით, მაგრამ მათ შორის არიან ადამიანები, რომელთაც არ აქვთ სახლ-კარი, არიან ნარკოდამოკიდებულნი, მაწანწალები და ა.შ. ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალურ საწარმოებს აქვთ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა, რაც განპირობებულია მომსახურებისა და პროდუქტის წარმოების სპეციფიკური პირობებით, ასევე, ფონდებთან წვდომის სპეციფიკით [3, გვ. 44].

ჩეხეთის კანონმდებლობით, სოციალური საწარმოების სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ არის ისეთი ფაქტობრივი და ტექნიკური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო სტარტაფის ან განვითარების ფაზაზე გრანტების მისაღებად ევროპის სოციალური ფონდიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდიდან (მაგალითად, დასაქმებულთა სულ მცირე 40% უნდა იყოს უნარშეზღუდული, მოგების 51%-ზე მეტი უნდა იყოს რეინვესტირებული, განმსაზღვრელი უნდა იყოს ადგილობრივი განვითარება, დასაქმების ზრდა) [3, გვ. 44]. განმცხადებელი შეიძლება იყოს საწარმო ან თვით დასაქმებული პირი. ხოლო ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები: შპს, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პარტნიორობა, კოოპერატივი, საჯარო კომპანია და სხვა. განმცხადებლები შეიძლება იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალური საწარმოები ჯერ ისევ სუსტია და სოციალური ეკონომიკის სექტორიც განუვითარებელი. საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ იზიარებს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, შესაბამისად, სოციალური ეკონომიკის კონცეფცია არ არის მხარდაჭერილი პოლიტიკის შემმუშავებლების მხრიდან ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. სუბსიდიები, როგორც დასაქმების პოლიტიკის ნაწილი, მიმართულია მხოლოდ უნარშეზღუდულ დასაქმებულებზე. ფინანსური სექტორი სესხებს გასცემს სოციალურ საწარმოებზე ძალიან მცირე მასშტაბით საპილოტე ინიციატივების სახით. სოციალურ მეწარმეობაში არასამთავროების საქმიანობაც სუსტია და საპილოტე ხასიათს ატარებს.

პოლონეთი

პოლონეთში, 2003 წლის 13 ივნისს მიღებული სოციალური დასაქმების აქტის საფუძველზე, დაიწყო სოციალური ინტეგრაციის ცენტრებისა და კლუბების ფორმირება სოციალური დასაქმების უზრუნველყოფისთვის. 2012 წელს 70 ასეთ ცენტრი ჩამოყალიბდა, რომელთა ინიციატორებიც ადგილობრივი მთავრობები/თემები და არასამთავრობოები იყვნენ. მათი შემოსავალი 2010 წლისთვის 56 102,00 პოლონური ზლოტი იყო. ამ ტიპის კლუბებისა და ცენტრების აქტივობებში შედიოდა: პროფესიული ტრენინგები, პრაქტიკა და პროფესიული პრობაცია/საცდელი დასაქმება, რომელიც ასევე სთავაზობდა დახმარებას სამსახურის მოძიებაში, საკუთარი ბიზნესის ან სოციალური კოოპერატივის საქმიანობის წარმართვაში, თერაპიულ და ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ რჩევებს, საგანმანათლებლო დახმარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას [5, გვ. 4].

მნიშვნელოვანია ასევე სოციალური კოოპერატივების საკითხი, რომელშიც შესაძლებელია გაერთიანებული იყვნენ ფიზიკური შრომით დაკავებული მუშაკები და მათი რიცხვი არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები და 50-ზე მეტი. ფიზიკური მომუშავენი, რომლებიც აყალიბებენ სოციალურ კოოპერატივებს, შეიძლება იყვნენ უმუშევრები, წამალზე დამოკიდებული პირები, უსახლკაროები, ყოფილი პატიმრები, რომელთაც გარემოსთან ინტეგრაციის პრობლემები აქვთ, აგრეთვე გონებრივად ავადმყოფი პირები, ლტოლვილები და ა.შ. ამ ტიპის მუშაკთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 50%-ს [5, გვ. 4].

პირველად სოციალური კოოპერატივები გაჩნდა 2005 წელს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების საფუძველზე, სოციალური ეკონომიკის რეგიონული ფონდების დაფინანსებით. 2013 წელს რეგისტრირებული იყო 809 ასეთი კოოპერატივი, რომელთაგან მხოლოდ 430 ოპერირებდა.

სოციალური ეკონომიკის მეორე ევროპული კონფერენციის საფუძველზე პოლონეთში დაიწყო მოძრაობა სხვადასხვა სახის სოციალური ეკონომიკის ოპერატორების ჩამოსაყალიბებლად. დასაწყისში დაფუძნდა პოლონეთში სოციალური ეკონომიკის მუდმივი კონფერენცია, სადაც მიმდინარეობს შეხვედრები, დისკუსია და შეთანხმება საკვანძო საკითხებზე. ამასთან, მნიშვნელოვანი ინსტიტუციებია: საგარეო საქმეთა ინსტიტუტის ფონდი, რომელიც საჯარო სივრცის საკითხების სწავლებისა და ანალიზის დამოუკიდებელ ცენტრს წარმოადგენს, ასევე, კრაკოვის ეკონომიკური უნივერსიტეტის მალოპოლსკას საჯარო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც ხელს უწყობს პო-

ლონეთში საჯარო მოხელეების კადრების გამოშვებას. აღნიშნული სკოლის განათლების სტრატეგიული მიმართულებებია: სოციალური ეკონომიკა, ინოვაციები და ტექნოლოგიების სტრანსფერი, მენეჯმენტის სისტემა საჯარო ადმინისტრირებაში, საჯარო პოლიტიკის დიზაინი და შეფასება. აქ გამოიცემა მრავალი პუბლიკაცია და კვლევა სოციალური ეკონომიკის საკითხებზე. ასევე, მნიშვნელოვანია პრემიერ მინისტრის კაბინეტთან არსებული სოციალური ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც ინტერსექტორულ და ინტერდეპარტამენტულ საქმიანობას ახორციელებს.

პოლონეთში სოციალური მეწარმეობის საკითხთა კვლევით ბოლო პერიოდში დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ საკლასიფიკაციო კრიტერიუმების არცერთი ნიშნის მიხედვით არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები. ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული შერჩეული ასპექტების, ცალკეული რეგიონის მიხედვით, ასევე, მაგალითების და და პროგრამების ანგარიშების სახით.

პოლონეთში სოციალური მეწარმეობის გავრცელებული ფორმებია: ანაზღაურებით დასაქმება ასოციაციებში და ფონდებში, ასევე, უნარშეზღუდულების კოოპერატივები. 2012 წელს 12 000 ფონდი და 71 000 ასოციაცია იქნა რეგისტრირებული პოლონეთში. 12% სთავაზობდა ანაზღაურებად აქტივობას და 5% რეგისტრირებულ ბიზნესოპერაციებს. ამრიგად, სოციალურ სამეწარმეო სექტორში აღიქმებოდა 10 000 ასოციაცია და ფონდი. 13 000 კოოპერატივი მოიცავდა 410 კეთილდღეობის კოოპერატივს და ისინიც განიხილებიან სოციალურ საწარმოებად. სოციალური ინტეგრაციის ცენტრები და კლუბები პოლონეთში ასევე მიე-

კუთვნება სოციალურ ეკონომიკას. დაახლოებით 89 ერთეული ასეთი საწარმოა პოლონეთში, მაგრამ მათი რიცხვი სწრაფად იზრდება. სოციალური საწარმოების უმეტესობა უნარშეზღუდულთა სოციალურ ინტეგრაციას ისახავს მიზნად [4, გვ.96], ამასთან, მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა განათლება, სპორტი და დასვენება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის მომსახურების გაწევა, კულტურა და ეკოლოგია. საწარმოები უპირატესად სთავაზობენ ინდივიდუალურ მომსახურებას ან კერძო ბიზნესის მომსახურებას. მოქმედი ორგანიზაციები ფინანსდება ან მათივე ამონაგებიდან, ან საჯარო (ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობის) ფონდებიდან და სუბსიდიებიდან, თუმცა დიდი ნაწილი საკუთარი დაფინანსების წყაროს ეყრდნობა.

პოლონეთში სოციალური საწარმოები ახორციელებენ ისეთ ბიზნესს, რომელიც სოციალურ მიზნებზეა ფოკუსირებული (მოგებას ხარჯავენ სოციალური მიზნებისთვის). ასეთებია, სოციალური კოოპერატივები, პენსიონერთა სახლები, ერთობლივი სადაზღვევო კომპანიები, საჯარო მომგებიანი ორგანიზაციები, არამომგებიანი ორგანიზაციები, კომპანიები, რომლებიც ეკუთვნის არასამთავრობო ორგანიზაციებს, მშრომელთა კოოპერატივები, ერთობლივი საგარანტიო და საკრედიტო ფონდები (რომლებიც მოიცავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს) და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან. მათი მიზანია სოციალური სარგებლის მაქსიმიზაცია, როგორიცაა მაღალი ხარისხის საჯარო მომსახურების უზრუნველყოფა, ლოკალურ დონეზე განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანე-

ბისათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველ-ყოფა, მათთვის დაკარგული ღირსების აღდგენა.

ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების შემაფერხებე-ლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოებაა კულ-ტურული ფაქტორი, რაც საზოგადოების მხრიდან სოცია-ლური საქმიანობის ხასიათის აღქმაში ვლინდება. პოლო-ნური ორგანიზაციების უმეტესობისთვის (ისევე როგორც პოლონელების უმრავლესობისთვის) საზოგადოებრივი საქმიანობა აღიქმება საბაზრო საქმიანობის საპირწონე აქ-ტივობად. მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სოციალური აქტივობების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ უსასყიდ-ლოდ.

უფრო მეტიც, სოციალურ საქმიანობაში საფასურის მოთხოვნა ყოვლად მიუღებელი ფაქტია. პოლონური საზო-გადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი „ანტიეკო-ნომიკური“ თვითიდენტიფიკაცია რეალურად სერიოზული ფაქტორია სოციალური წარმოების განვითარების შეფერ-ხების თვალსაზრისით [11, გვ. 73-74].

პოლონეთში სოციალური საწარმოების სწრაფი ზრდა მიმდინარეობს. ეს ბუნებრივი განვითარება პასუხობს პო-ლონეთის საზოგადოების სოციალური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან გამოწვევებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდის მხრიდან მცირე და საშუალო სა-წარმოების დაფუძნებისა და განვითარების მასობრივი მხარდაჭერის მიღმა (რომელიც სოციალურ ფირმებსაც ეხე-ბა) ტარდება იმგვარი ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ ფოკუსირებულია სოციალურ საწარმოებზე. ისინი თანადა-ფინანსებას იღებენ ევროპის სოციალური ფონდიდან. ხაზ-გასმა კეთდება სოციალური საწარმოების გაძლიერებაზე.

ამასთან, ახალი საფინანსო მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალის ზრდის შესაძლებლობას, მიკროკრედიტის ფორმის სახით მიეწოდება სოციალურ მეწარმეებს სტარტაფის ეტაპზე [5, გვ. 45].

ამასთან, 2016 წლიდან პოლონეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფოკუსირება მოეხდინა სოციალური ეკონომიკის განვითარების ყველაზე დიდ ბარიერზე – ფინანსების ხელმისაწვდომობაზე.

უნგრეთი

უნგრეთში კრიზისის გავლენით საზოგადოებისთვის არსებითი პრობლემები წარმოიშვა: სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა, მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდების უმუშევრობა, მაწანწალების, ბოშების და უსახლკაროების (10 684 ადამიანი 2012 წლისთვის, რომელთაგან 1/3 ცხოვრობს ბუდაპეშტში) დისკრიმინაცია. ეს პრობლემები დღემდე იჩენს თავს. სოციალურ გამოწვევებზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: უნგრეთის მოსახლეობის 32.4% სიღარიბის ზღვარზეა; ახალგაზრდობის უმუშევრობის დონე დისპროპორციულად იზრდება და ეს მაჩვენებელი 30.5 %-ს შეადგენს [9, გვ. 5].

უნგრეთში სოციალური საწარმოს სამართლებრივი განმარტება არ არსებობს. შეფასებებით დადგენილია, რომ უნგრეთში 300-400 სოციალური საწარმოა. ამ საწარმოების საშუალო ასაკი 15.9 წელია და ამ ორგანიზაციების ნახევარზე მეტი 13 წლამდე ასაკისაა. სოციალური საწარმოების ნახევარზე მეტი მცირე ორგანიზაციაა (1-10 დასაქმებულით), მხოლოდ 12 %-ს აქვს 1 მლნ. ევროზე მეტი ბრუნვა [9, გვ. 8].

უკანასკნელ პერიოდში სოციალური საწარმოების კონცეფცია უნგრეთში საკმაოდ პოპულარული ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებში, სტარტაფსაზოგადოებებში, აკადემიურ წრეებსა და სტუდენტებში.

სოციალურმა დანახარჯებმა 2013 წელს მშპ-ს 21,6 % შეადგინა. ამ პერიოდისთვის 65 300 სამოქალაქო ორგანიზაცია იყო, რომელთა აქტივობაც მოიცავს დასვენებას და ჰობს, განათლებას, კულტურას, სპორტს, ჯანდაცვას და ა.შ. აქ დასაქმებულია 144 000 ადამიანი (მთლიანი დასაქმების 4%) და 504 000 მოხალისე [9, გვ. 12].

უნგრეთში სოციალური საწარმოების აქტივობების მარეგულირებელი და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებია: პარლამენტი, მთავრობა, ეროვნული საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია, სახელმწიფო აუდიტის ოფისი, სახელმწიფო შესყიდვები, სასამართლო, ეროვნული დასაქმების არამომგებიანი შპს, სოციალური მეწარმოების კლუბი, სოციალური მეწარმეობის დღის ყოველწლიური ღონისძიება (სოციალური საწარმოების გამოფენა), ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი (სადაც იკითხება სოციალური მეწარმოების კურსი).

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით ვიშეგრადის ქვეყნებიდან უნგრეთში უნარშეზღუდულ პირთა რამდენიმე ყველაზე პროგრესული არასამთავრობო ორგანიზაციაა, თუმცა, უნარშეზღუდულ პირთა უფლებების დაცვის საკითხში მათ დღემდე ვერ მოიპოვეს მოწინავე პოზიცია. უნგრეთი პირველი იყო ვიშეგრადის ქვეყნებს შორის, რომელმაც ხელი მოაწერა გაეროს უფლებათა კონვენციას და, ასევე, შეზღუდუ-

ლი შესაძლებლობების პირთა შესახებ დამატებით საერთაშორისო შეთანხმებას. ამრიგად, უნგრეთს წამყვანი როლი აკისრია ვიშეგრადის ქვეყნებს შორის უნარშეზღუდულ ადამიანთა უფლებების ხელშეწყობის საკითხში. უნგრეთს აშკარა პრობლემა აქვს, რადგან უნარშეზღუდულ ადამიანთა ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა თავმოყრილია დედაქალაქ ბუდაპეშტში, როდესაც ვიშეგრადის სხვა ქვეყნებში უნარშეზღუდულ ადამიანთა ორგანიზაციების მცირე გეოგრაფიული კონცენტრაციაა.

უნგრეთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და წარმატებული ორგანიზაცია, რომელიც უნარშეზღუდულ ადამიანებს ემსახურება, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაცვის ცენტრია ბუდაპეშტში – ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ძირითად აქცენტს პოსტკომუნისტურ რეგიონებზე აკეთებს. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაცვის ცენტრი ყურადღებას ამახვილებს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების უფლებების საკითხზე პოსტკომუნისტურ რეგიონში. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია პოსტკომუნისტურ ევროპაში და ცენტრალურ აზიაში იყენებს სამართლისა და ადვოკატურის წესებს, რათა გააფართოოს იმ ადამიანთა უფლებათა არეალი, რომელთაც აქვთ რეალური, აღქმადი ფსიქიკური აშლილობა. ორგანიზაცია მუშაობს ინდივიდუალურ ადამიანებთან ერთად ლოკალურ დონეზე. იგი სამთავრობო დონეზეც მუშაობს. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაცვის ცენტრმა წამოიწყო მეურვეობის პროექტი პოსტკომუნისტურ რეგიონში. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესს, რო-

მელთა ფარგლებშიც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს ეკისრებათ ნაკლები კომპეტენცია და, შესაბამისად, ენიშნებათ მეურვეობა.

ორგანიზაციამ დახმარება მიიღო ევროპის საბჭოს, სოროსის ფონდის და სხვა სამთავრობო თუ საფინანსო ფონდებიდან. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა უფლებებზე უფრო მეტად, ვიდრე მომსახურების უზრუნველყოფაზე. შედეგად, აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია გავლენიანია და ამიტომ ყურადღების ცენტრშია. ეს გამოწვეულია იმით, რომ პოსტკომუნისტური რეგიონის ქვეყნებში ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა დასახმარებლად მიმართული ღონისძიებები უცხო ხილს წარმოადგენს. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა დასახმარებლად მიმართული ღონისძიებებზე ფოკუსირებამ გამოიწვია ორგანიზაციის საერთაშორისო დაფინანსების შესაძლებლობა ისეთი ორგანიზაციის მიერ, როგორიცაა, მაგალითად, Sigrid Rausing Trust გაერთიანებულ სამეფოში; ასევე შესაძლებლობა მისცა ორგანიზაციას, მიეღო ადგილობრივი სამთავრობო გრანტები.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაცვის ცენტრს აქვს მოწინავე პოზიციები არა მარტო ვიშეგრადის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც და მისი ძალისხმევის შედეგია უნარშეზღუდული საზოგადოების წევრებს შორის ამ ორგანიზაციის ცნობადობის ზრდა [12].

სლოვაკეთი

სლოვაკეთშიც ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსი ტენდენციები მიმდინარეობს სოციალური მეწარმეობის განვითარებაში. არსებული ინსტრუმენტების გვერდით სოციალური მეწარმეობის მრავალფეროვანი ახალი ინსტრუმენტები მოქმედებს. ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტია – მეწარმეობის მიკროდაფინანსება და სიღარიბის შემცირება, ალტერნატიული ვალუტის შემოღება ან ლოკალური სავაჭრო სისტემის შექმნა საქონლისა და მომსახურების გასაყიდად, დროითი ბანკების შექმნა სოციალური კაპიტალის სტრუქტურაში, გლობალური სოციალური მოძრაობა „პატიოსანი ვაჭრობა“ პატიოსანი ვაჭრობის ხელშეწყობისთვის და ა.შ. სოციალური ეკონომიკის მრავალი ალტერნატიული ინიციატივის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცხოვრება, წარმოება და მოხმარება მიმართული უნდა იყოს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის ერთობლივი ძალებით შემცირებისაკენ.

სოციალური ეკონომიკის აქტივობები ძირითადად ემყარება ჰუმანიზმის, ეთიკურობის, სოციალური სამართლიანობის და სოციალური სოლიდარობის პრინციპებს.

სოციალური მეწარმეობის პოტენციალის უტილიზაციის მიზნით გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მხარდასაჭერად სასურველია სოციალური ეკონომიკის განათლებისა და ტრენინგების განვითარება და იმით თვით სოციალური ეკონომიკის მშენებლობისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა.

სოციალური მეწარმეობის სისტემაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალი და მისი განვითარება, როგორც სოციალური საწარმოს პრიორიტეტუ-

ლი მიზანი. სოციალური მეწარმეობა დღემდე დაუფასებელი მიმართულებაა ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში და მისი ინტეგრაცია საბაზისო და განათლების მომდევნო ეტაპებზე მისი გაძლიერების წინაპირობაა.

ბრატისლავაში ეკონომიკურ უნივერსიტეტში დაინერგა ახალი საგანი, სოციალური ეკონომიკა, რომელიც შემუშავებულ იქნა სოციალური ეკონომიკის კონცეფციის მიხედვით ძირითადი კომპტენციების განვითარების მიზნით. კურსდამთავრებულებს უნდა გააჩნდეთ სოციალური მეწარმეობის უნარები, რათა შეძლონ ეფექტიანი და ხარისხიანი გადაწყვეტილებების შემუშავება და გატარება მრავალფეროვანი აქტივობის გზით. აღნიშნული სასწავლო კურსი კურიკულუმში დაინერგა 2011-2012 სასწავლო წელს სოციალური განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის პროგრამაში [6, გვ. 418].

სასწავლო კურსი გრძელდება 13 კვირა. კურსის მიზანია სამოქალაქო სექტორთან მიმართებაში სოციალური ეკონომიკის, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური სამეწარმეო პასუხისმგებლობის როლისა და მნიშვნელობის ახსნა. სასწავლო კურსი ითვალისწინებს იმ ძირითადი ბარიერებისა და მასტიმულირებელი ფაქტორების ახსნას, რომლებიც სოციალური ეკონომიკის განვითარების გარემო პირობებს აყალიბებენ სლოვაკეთის რესპუბლიკაში. კურსის მსვლელობისას განიხილება სოციალური ეკონომიკიდან მიღებული სარგებელი, ასევე ის ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებასთან და მის განვითარებასთან. სასწავლო კურსის საგანთან მიმართებაში განიხილება სლოვაკეთში სოციალური საწარმოს დაფინანსების შესაძლებლობები, ევროკავშირსა და სლოვა-

კეთის ტერიტორიაზე სოციალური ეკონომიკის ინდივიდუალური მიდგომები.

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

- სოციალური ეკონომიკის შესავალი;
- სოციალური ეკონომიკა, მისი არსი და მიზნები;
- სოციალური ეკონომიკის ალტერნატიული მოდელები;
- მესამე სექტორის მნიშვნელობა და ადგილი;
- არასამთავრობო სექტორი და სოციალური პოლიტიკა;
- მოხალისეობა და მოხალისეთა ეკონომიკა/ენთუზიაზმი;
- სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმოები;
- სოციალური საწარმო როგორც სოციალური პრობლემების დაძლევის ფორმა;
- სოციალური მეწარმეობის ტრენდები ევროკავშირში;
- სოციალური მეწარმეობის მენეჯმენტი და მარკეტინგი;
- სოციალური მეწარმეობის აქტუალური საკითხები;
- მეწარმოების სოციალური პასუხისმგებლობა;
- სოციალური პარტნიორობა და სოციალური კაპიტალის ფორმირება.

რადგანაც მოცემული სასწავლო კურსი შეისწავლება სოციალურ მეცნიერებებში, ამიტომ სწავლება იწყება ისეთი საბაზისო ტერმინების გაცნობით, როგორიცაა სოციალური ეკონომიკა, სოციალური მეწარმეობა, სოციალური

საწარმო, ბიზნესი სოციალურ სფეროში, მეწარმეობის სოციალური პასუხისმგებლობა და კორპორაციული სოციალური პოლიტიკა. სოციალური აზროვნების განვითარების მიზნით, ყურადღება ექცევა სოციალური ეკონომიკის ისტორიული კონტექსტის შესწავლას.

რაც შეეხება უნარშეზღუდული ადამიანების დასახმარებლად მიმართულ ღონისძიებებს, რეგიონული სამთავრობო სააგენტოების მცირე ჯგუფების ძალისხმევით სლოვაკეთმა შეძლო ინოვაციური, მაღალეფექტური სისტემის შექმნა, რითაც ხელი შეუწყო დეინსტიტუციონალიზაციას და ადამიანთა დამოუკიდებელი ცხოვრების წარმართვას. მრავალი სარისკო გამოწვევის მიუხედავად, ეს ძალისხმევა იყო წარმატებული მრავალი ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის. შედეგად, უნარშეზღუდულ ადამიანთა არასამთავრობო ორგანიზაციისა და რეგიონული სამთავრობო სააგენტოს პარტნიორული შეთანხმების ფარგლებში ინოვაციური პროექტი განხორციელდა. შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა სლოვაკეთის ყველაზე პროგრესული სოციალური დახმარების სახლები უნარშეზღუდული ადამიანებისათვის. ეს მაგალითი მიუთითებს იმ ძალისხმევაზე, რომელსაც სლოვაკეთი ახორციელებს უნარშეზღუდულ ადამიანთა სადაზღვევო სისტემის რეფორმირებისა და სერვისების სრულყოფისთვის.

სლოვაკეთში სოციალური მეწარმეობის წარმატების მაგალითია **უნარშეზღუდულ პირთა ალიანსი და Kompa – სოციალური დახმარების სახლი.** უნარშეზღუდულ პირთა ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური არასამთავრობო ორგანიზაცია სლოვაკეთში უნარშეზღუდულ პირთა ალიანსია, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც სხვადასხვა ინ-

სტიტუციისგან შემდგარი ორგანიზაცია. ჯამში, იგი ემსახურება დაახლოებით 35 ადგილობრივ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომლებიც მიმოფანტულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ალიანსის წყალობით, მასში შემავალი ჯგუფების საერთო ინტერესების ოპტიმიზაცია ხდება და იზრდება მათი გავლენა უფრო დიდი კოლექტიური მასშტაბის წყალობით. ალიანსის წევრი ორგანიზაციების უმეტესობა სლოვაკეთში მდებარეობს და ისინი ფოკუსირებას ახდენენ დაზღვევისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით ლობისტურ საქმიანობაზე. უნარშეზღუდულ პირთა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციაა სლოვაკეთში, ისევე როგორც პოსტკომუნისტურ ევროპაში, რომლებიც კვლავ აგრძელებენ ფოკუსირებას მომსახურების მიწოდებაზე და ნაკლებად აქტიურობენ დაზღვევის მიმართულებით. მომსახურების უზრუნველყოფა აუცილებელია, მაგრამ იგი ხშირად უგულებელყოფს სოციალური დაზღვევის განვითარების შესაძლებლობებს. ალიანსი მუშაობდა, რათა ეს სიცარიელე ამოევსო. ალიანსის წარდგინებით შემუშავდა პროგრამა, რომელიც გულისხმობდა განსაკუთრებით ნიჭიერი უნარშეზღუდული ადამიანების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვას. მათ მიეცათ შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები, რომელთათვისაც პრიორიტეტული იქნებოდა უნარშეზღუდული ადამიანების საკითხი უფრო მეტად, ვიდრე რიგითი პარლამენტარებისათვის.

Kompa – სოციალური დახმარების სახლი. სლოვაკეთში სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფის თვალსაჩინო მაგალითია Kompa-ს სოციალური დაცვის სახლი ბანსკა ბისტრიცაში. Kompa რეგიონალური სოცია-

ლური კეთილდღეობის სააგენტოს და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის პარტნიორული ორგანიზაციაა ბანსკა ბისტრიცაში. იგი დაფუძნდა რეგიონული მთავრობის მიერ, ასე რომ, იგი საჯარო დაწესებულებაა, მაგრამ რეგიონული სააგენტოს დირექტორატი პარტნიორობაში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციით. Kompa არის საცხოვრებელი სახლებისგან შემდგარი პროგრამა ბავშვებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები. ბავშვების უმეტესობა სოციალურ სახლში ცხოვრობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. დღის განმავლობაში ბავშვები მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამაში, რჩებიან საერთო საცხოვრებელში, შაბათ-კვირას ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში. ნაწილობრივი ცხოვრების შეთანხმების არსებობის მიზეზი არის ის, რომ ბავშვებისათვის, რომელთაც აქვთ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობები, სერვისები მიუწვდომელია სლოვაკეთის მრავალი რეგიონის სოფლისთვის. ასე რომ, ცენტრალიზებული, ნაწილობრივი საცხოვრებელი სერვისების მოდელი აგრძელებს ფუნქციონირებას. თუმცა, მრავალი სოციალური დახმარების სახლისგან განსხვავებით, Kompa-ს სახლი არ არის „უხილავი“, იგი არ მდებარეობს მოშორებულ, იზოლირებულ ადგილზე. პირიქით – იგი ქალაქის ცენტრალურ მოედანზეა. ბავშვები საზოგადოებაში არიან ინტეგრირებული. ვიდრე სლოვაკეთში სერვისების დეცენტრალიზაცია მოხდება, საზოგადოებრივი პროგრამები და სკოლები ქვეყანაში ხელმისაწვდომია, ისეთი ორგანიზაციები კი, როგორიცაა Kompa, პრობლემასთან გამკლავების შუალედური გამოსავალია [12].

2.3. სოციალური საწარმოს პოტენციალის სტრასბურგის დეკლარაცია

2014 წლის 16-17 იანვარს სტრასბურგში შედგა 2000 სოციალური მეწარმის და სოციალური საწარმოს მხარდამჭერთა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ევროპაში სოციალური ეკონომიკის მრავალფეროვანი გამოცდილება და სადაც დამტკიცდა ხედვა, რომ სოციალურმა საწარმოებმა უდიდესი როლი უნდა შეასრულონ ევროპის სამომავლო განვითარებაში; გამოიკვეთა ახალი იდეები და აქტივობები გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის პოტენციალის გახსნისათვის [1].

ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ მოდელს ესაჭიროება საკუთარი თავის გადახალისება. ევროპას სჭირდება ზრდა, რომელიც არის ზომიერი, მწვანე და დაკავშირებულია ლოკალურ თემებთან, მოდელი, რომლის სოციალური ერთსულოვნების ფასეულობები კოლექტიური კეთილდღეობის ჭეშმარიტი წყაროა.

სოციალური საწარმოები აღიარებულია სოციალური და ეკონომიკური ერთობის/ერთსულოვნების, კავშირის მამოძრავებელ ძალად მთელი ევროპის მასშტაბით, რადგანაც იგი გვეხმარება პლურალისტური და მოქნილი სოციალური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში. ხანგრძლივი სოციალური ეკონომიკის ტრადიციებზე დაფუძნებული ძლიერი მხარეები და სოციალური მეწარმეობა, წარმოადგენენ ცვლილებების მამოძრავებელ ძალებს, აყალიბებენ რა ინოვაციურ გადაწყვეტილებებს თანამედროვე ურთულესი გამოწვევების დასაძლევად. ზოგადი თვალსაზრისით, ისინი სამუშაო ადგილებს ქმნიან, ინოვაციურ პროდუქტებს და

მომსახურებას აწარმოებენ და უფრო მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ისინი სოლიდარობის და უფლებამოსილების ფასეულობებს ემყარებიან, ავითარებენ შესაძლებლობებს და ქმნიან მომავლის იმედს.

სოციალური საწარმოები მრავალი სახით, სიდიდით და განსხვავებული ფორმით გვხვდება მთელი ევროპის მასშტაბით. როგორც სოციალური ბიზნესინიციატივის კომისიაზე (Commissions's Social Business Initiatives – CSBI) აღინიშნა, მათი საერთო მახასიათებლებია: შემოსავლების გამომუშავება ვაჭრობის გზით; საერთო სიკეთის მისაღებად სოციალური ან საზოგადოებრივი მიზანი, რომელიც მათი ეკონომიკური აქტივობის მიზეზია და რომელიც ხშირად მაღალი დონის სოციალური ინოვაციის ფორმით ვლინდება; მოგება, რომელიც ძირითადად რეინვესტირდება, რათა მიღწეულ იქნეს აღნიშნული სოციალური მიზანი; ორგანიზაციის ან მესაკუთრეობის სისტემის მეთოდი, რომელიც აისახება მათ მისიაში, ან ემყარება დემოკრატიული მმართველობის ზოგად პრინციპებს, ან ფოკუსირებულია სოციალურ სამართლიანობაზე.

მთავრობებმა და საჯარო პირებმა დაიწყეს სოციალური მეწარმეობის ძალაუფლების აღიარება. წევრი ქვეყნების და რეგიონების ფარგლებში გადაიდგა ნაბიჯები სოციალური საწარმოების ზრდის ხელშეწყობისთვის. ევროკავშირის დონეზე სოციალური ბიზნესის ინიციატივამ პოზიტიური გავლენა იქონია ეკოსისტემების ჩამოყალიბების პროცესზე სოციალური საწარმოებისთვის, თუმცა უფრო მეტია გასაკეთებელი. კერძოდ:

1. ევროკავშირი სოციალური ბიზნესის ინიციატივის ყველა აქტივობას უნდა მიჰყვეს. მან უნდა განავითაროს

სოციალური ბიზნესინიციატივის მეორე ფაზა, რომლითაც მისი კომპეტენცია გაფართოვდება, გაღრმავდება მისი პარტნიორობა წევრ სახელმწიფოებთან, რეგიონურ და ლოკალურ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ეკოსისტემის ძირითად მოთამაშეებთან.

2. ევროპის ეკონომიკურმა და სოციალურმა კომიტეტმა და შემდეგ ევროკომისიამ, ევროპარლამენტთან ერთად, სრული საკუთრების უფლებით უნდა განახორციელოს მოქმედებები სტრასბურგში შემუშავებული წინადადებების შესასრულებლად.

3. უნდა იყოს ძლიერი ჩართულობა სოციალურ სამეწარმეო საზოგადოებასთან ევროკავშირის, ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე, რათა ერთობლივად შემუშავდეს სოციალური საწარმოების მხარდაჭერის ახალი პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოთხოვნილებების ლოკალური კონტექსტი.

4. კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ძალისხმევა, რომელიც ხმარდება სოციალური საწარმოს ეკოსისტემის ჩამოყალიბებას, ძირითად ხაზად არის ასახული მის პოლიტიკაში.

5. სოციალური მეწარმეობის სექტორთან პარტნიორობით წევრმა სახელმწიფოებმა, რეგიონულმა და ლოკალურმა ხელისუფლებამ სოციალური საწარმოების ზრდის სრული მხარდაჭერა უნდა გამოხატოს და დაეხმაროს მათ სიმძლავრეების განვითარებაში. მაგალითად, სამართლებრივი ჩარჩოს მეშვეობით ფინანსებზე წვდომა, ბიზნესის დაფუძნება და განვითარების მხარდაჭერა, ტრენინგი და განათლება, აგრეთვე საჯარო შესყიდვები.

6. ევროპულმა ინსტიტუციებმა და წევრმა სახელმწიფოებმა სოციალური საწარმოების როლი უნდა გააძლიერონ არსებული კრიზისის დასაძლევად გატარებულ სტრუქტურულ რეფორმებში, იქ, სადაც სოციალური ეკონომიკა ნაკლებად განვითარებულია.

7. კომისიამ, წევრმა სახელმწიფოებმა და რეგიონებმა უნდა დააჩქარონ/სწრაფად გააფართოონ თანამშრომლობა სოციალურ საწარმოებს შორის საზღვრებს მიღმა, რათა მათ გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება. ანალოგიურად, ყველა საჯარო ხელისუფალმა ერთმანეთთან უკეთ უნდა ითანამშრომლოს, რათა გააუმჯობესონ თავიანთი დახმარება სოციალური საწარმოების ზრდის საქმეში.

8. საჯარო და კერძო მოთამაშეებმა უნდა განავითარონ მისაღები ფინანსური ინსტრუმენტებისა და შუამავლების სრული ჩამონათვალი, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების განვითარებას სასიცოცხლო ციკლის მანძილზე.

9. სოციალური საწარმო ისევ საჭიროებს შემდგომ კვლევას და ეროვნული სტატისტიკის თავმოყრას იმისათვის, რომ უკეთ იქნეს გაგებული, აღქმული და დანახული სექტორში მიმდინარე ტენდენცია, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებლებისა და, ზოგადად, საზოგადოებისთვის.

10. ამ ახალ ევროპაში ყველა მოთამაშემ ზრდას და ფასეულობების შექმნას ფართო პერსპექტივის ჭრილში უნდა შეხედოს, რომელიც მოიცავს სოციალურ ინდიკატორებს და გვიჩვენებს პოზიტიურ სოციალურ გავლენას სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ანგარიშგებისას.

ევროკავშირის მასშტაბით სოციალური სამეწარმეო აქტივობების კოორდინირებისთვის შეიქმნა სოციალური

ეკონომიკის ქსელი (SEN), რომლის მემკვიდრეც 2016 წელს გახდა სოციალური ეკონომიკის თემატური ქსელი.

სოციალური ეკონომიკის თემატური ქსელი აერთიანებს ევროპის სოციალური ფონდის მმართველ ხელისუფლებას და სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებს ევროკავშირის ქვეყნებიდან. მისი შექმნის მიზანია ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების გამოყენების გზების გაუმჯობესება და სოციალური ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა. ქსელის წევრები წელიწადში 2-ჯერ იკრიბებიან, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და მათ მიერ არჩეული მეთოდის პერსპექტივებს, რომლებიც შემუშავებულია სოციალური ეკონომიკის გასავითარებლად. ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას აქვს განსხვავებული კეთილდღეობის დონე, კანონთა სისტემა, ქველმოქმედების მაჩვენებელი და სოციალური ეკონომიკის გაცნობიერების დონე – ამიტომ ეს კომბინაცია ქმნის უნიკალურ გარემოს, სადაც სოციალური ეკონომიკის სექტორის დაფინანსების ყველა გადაწყვეტილება ერთნაირად ვერ იმუშავებს. თუმცა, თემატური ქსელის ფარგლებში შესაძლებელია საუკეთესო, წარმატებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მოწინავე ქვეყნებში სოციალური ეკონომიკის და მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ერთიან მიდგომას უნდა აყალიბებდეს ყველა ქვეყნისთვის, ვიშეგრადის ქვეყნების მაგალითი აჩვენებს, რომ კერძო სექტორი დაინტერესებულია მხოლოდ სარგებლის მიღებით. სოციალურ საწარმოებს უწევთ სხვა ორგანიზაციების დაჯაბნა, თუ მათ სურთ დაფინანსების მიღება და მრავალ შემთხვევაში ამის მიღწევა შეუძლებელია საჯარო სექტორის დახმარების გარეშე.

ინოვაციურია სოციალური საწარმოების დაფინანსების Bank Gospodarstwa Krajowego-ს ექსპერიმენტული პროექტი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციების სესხების შესახებ. სესხების გაცემის პროცესში შუამავალი კომპანია იყო TISE, პოლონური ფინანსური კომპანია, გამოცდილი ბიზნესპროექტების ანალიზში და სოციალურად ღირებული სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციების შერჩევაში, რომელთაც შეუძლიათ დაფარონ სესხი მოსალოდნელი მოგების ზრდით და მათი ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფით. აღნიშნული პროექტის წარმატებაზე მეტყველებს ის, რომ ვალების მხოლოდ 2.9% იქნა ვადაგადაცილებული 2015 წლის ბოლოს და სესხების საფუძველზე შეიქმნა 436 ახალი საწარმოო სივრცე (ადგილი, სადაც ადამიანები დასაქმდებიან) მაშინ, როდესაც საწყისი მიზანი იყო 50 ასეთი სოციალური საწარმოს შექმნა [12].

ამრიგად, სოციალური საწარმოები 21-ე საუკუნის ბიზნესის მოდელს გვთავაზობს, რომელშიც დაბალანსებულია ფინანსური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი საჭიროებები. სოციალური მეწარმეები, როგორც ინდივიდები, ასევე ჯგუფები, ცვლილებებზე ორიენტირებული აგენტები არიან, რომლებიც ხალხისა და საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით მოქმედებენ.

სოციალური საწარმოები ეფექტიანად მუშაობენ. ევროპაში არ არის ადგილი, სადაც სოციალურ მეწარმეობას სარგებლის მოტანა არ შეუძლია. ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, მოსახლეობის დაბერების, ახალგაზრდების უმუშევრობის, კლიმატის ცვლილებების და უთანასწორობის ზრდის გამოწვევების პირობებში, ევროპას სჭირდება მეტი სოციალური საწარმო, რაც აისახება ევროკავშირის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში.

სოციალური მეწარმეობის ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების კვლევის შედეგად მიღებულმა რეკომენდაციებმა ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნული მიმართულებით მეწარმეობის განვითარებას, კერძოდ:

- სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებით უნდა შეიქმნას გარემო ამ მიმართულების განვითარების ხელშეწყობის, დაფინანსების გამარტივების და სწორი ადმინისტრირების უზრუნველყოფისთვის;
- მიზანშეწონილია, მკაფიოდ განისაზღვროს სოციალური საწარმოს მისიის იდენტიფიცირების, აგრეთვე მისი შეფასების კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს სოციალური მეწარმეობის იდენტიფიკაციას;
- სასურველია მისიაზე, შესაძლებლობებსა და შედეგებზე მორგებული სოციალური საწარმოს იურიდიული ფორმებისა და ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება, რომელიც განსაზღვრული იქნება კანონმდებლობით;
- ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, გამარტივებას და მხარდაჭერას მოითხოვს სოციალური მეწარმეობის დაფინანსების სქემების გამარტივება ეროვნული ვალუტის კურსის რისკების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Strasburg Declaration, 2014 Jan., http://ec.europa.eu/internal_ market/social_business/index_en.htm, 04.07.2016.
2. Bibu Nicolae, Orhi Loredana, Social Entrepreneurship in the Context of Romania's European Integration, http://ec.europa. eu/enterprise/ entre-preneurship/coop/index.htm, 04.07.2016. pp. 77-82.
3. Marek Jetmar, Social Entrepreneurship: Challenge not only for Developing Countries but for The EU, CBU International Conference on Integration and Innovation in Science and Education, April, 7-14, 2013, Prague, Czech Republic, pp. 41-49, www.cbuni.cz, OJS. JOURNALS.CZ.
4. Rafal Kusa, Social Entrepreneurship in Poland. A Preliminary Comparisons of Research Approaches, Advance Research in Scientific Areas, 2012, December, 3.-7. 2012, http://www.arsa-conf.com. pp. 94-97.
5. Ucieklak-Jez Paulina, Kulesza Marek, The Development of the Social Entrepreneurship in Poland.
6. Eva Pongracz, Education as a Key Factor for the Development of Social Entrepreneurship. 15 September, 2014, 13th International Academic Conference, Antibes,ISBN 978-80-87927-0502,IISES, pp. 415- 421.
7. Visegrad Youth, Comparative Review of the situation of Young People in the V4 Counties, The research was funded by the partnership between the European Commission and Council of Europe in the field of youth.
8. Promotion of Women Innovators and Entrepreneurship , Final Repot, GHK, Technopolis, pp. 65-79.
9. The State of Social Entrepreneurship in Hungary, SEFORIS Country Report, Nicole Etchart, Anna Horvath, Andreja Rosandic and Andrea Spitalszky, April, 2014.
10. **NESsT**. 2013. „Country Profile: Hungary". http://www.nesst. org/ wpco ntent/uploads/2013/08/2013-Country-Profile-Hungary-EN. pdf (accessed March 23, 2014).

11. სოციალური მეწარმეობა. საერთაშორისო გამოცდილება 10 ქვეყნის მაგალითზე. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი. 2010.
12. მაგალითი მომზადებულია თსუ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის მოდულის მაგისტრანტების, ნინო ხომასურიძის, სალომე კობახიძის, მალხაზ წულაიას, დავით ბურდულის და ამირან მაღლაკელიძის, მიერ.

თ ა ვ ი III

სოციალური მეწარმეობის განვითარების რეალური შესაძლებლობები და მათი განხორციელების გზები საქართველოში

სოციალური მეწარმეობა ისეთივე მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც მეწარმეობა ეკონომიკის განვითარებისათვის.

როჯერ მარტინი/სალი ოსბურგი

3.1. სოციალური მეწარმეობის მდგომარეობა საქართველოში

სოციალური მეწარმეობა სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ეს ალბათ იმითაა განპირობებული, რომ სოციალური პრობლემებისათვის მხარდაჭერის კონცეფცია დაკავშირებულია სამეწარმეო ინიციატივების იდეასთან, მიზანმიმართულ ორგანიზაციასა და კომპანიის სახელით ხარჯების მოწესრიგებულ მართვასთან. საზოგადოებას სჭირდება „სოციალური მეწარმეები“, რომლებიც ახალი კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ მიდგომებს გამოძებნიან და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ [5, გვ. 209].

აშშ-ში სოციალური საწარმო ჩამოყალიბდა როგორც მომგებიანი ბიზნესი, რომელსაც გარკვეული სოციალური მიზნები აქვს. მისი გამომწვევი მიზეზი იყო სოციალური დაცვის სახელმწიფო მოდელში არსებული სოციალური ტიპის პრობლემები. თუმცა არის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაა კონკრეტული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

ევროპაში სოციალური მეწარმეობის უფრო გვიანი განვითარების მიზეზი იყო შედარებით მოწესრიგებული სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უფრო დაბალი დონე. ევროპაში პირველი სოციალური საწარმო იტალიის კოოპერატიული მოძრაობიდან იღებს სათავეს. 1991 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც შემოიტანა კოოპერატივების ახალი, სპეციალური ფორმა „სოციალური კოოპერატივი". სოციალურ მეწარმეობას ევროპაში დღესაც დიდი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლების მხრიდან. სოციალური საწარმოები მრავლადაა ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში.

ტერმინი „სოციალური მეწარმეობა" ახალია (სათავეს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს), თუმცა არა თავად კონცეფცია. სოციალური მეწარმეები ყოველთვის იყვნენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გერმანიაში (ბეთჰელში) ფრიდრიხ ფონ ბოდელშვინგმა შექმნა ორგანიზაცია – მსოფლიოში ცნობილი სოციალური საწარმო, რომელიც ფუნქციონირებდა ეკონომიკური პრინციპების შესაბამისად და ამუშავებდა საკუთარ სახელოსნოს, ელექტრო- და წყალმომარაგებას, საკუთარ სკოლებსა და ტრენინგცენტრებს.

საქართველოში, ისტორიულად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საკმაოდ სტაბილური და კარგი

ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. ამის მაგალითია უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებების ეკონომიკური განვითარების ისტორია საბჭოთა წლებში [7, გვ. 489].

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება დაარსდა XX საუკუნის 20-იან წლებში უსინათლოთა ერთი ჯგუფის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საბჭოთა საქართველოს მთავრობის მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ არსებობდა, საზოგადოების შემოწირულობების შედეგად საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა, რამაც შესაძლებელი გახადა, თბილისში გახსნილიყო ჯაგრისების საამქრო. 1929 წლისთვის ამ საამქროში 20 უსინათლო მუშაობდა. თანდათანობით საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა. 60-იანი წლებისათვის მარტო თბილისში სამი დიდი კომბინატი ფუნქციონირებდა, სადაც ძირითადად უსინათლოები იყვნენ დასაქმებული. შეიქმნა საწარმოები ყველა მსხვილ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. ძირითადი საქმიანობა და პროფილური მიმართულება იყო ელექტროტექნიკური ინვენტარის, პოლიეთილენის საქონლისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის წარმოება. XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის უსინათლოთა საწარმოებში 2500-მდე უსინათლო იყო დასაქმებული, ხოლო უძრავი ქონების სახით ორგანიზაცია მრავალმილიონიან კაპიტალს ფლობდა. ეკონომიკური აღმავლობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ უსინათლოთა სახსრებით აიგო საცხოვრებელი კორპუსები, სამკურნალო კლინიკები, შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დასასვენებელი ქსელი.

ერთ-ერთი წარმატებული საწარმო იყო ზესტაფონის „უსინათლოთა საზოგადოება“, სადაც ძირითადად დასაქმებული რაიონში მცხოვრები უსინათლო პირები იყვნენ. საწარმოში მზადდებოდა პოლიეთილენის საცობები და პარკები. პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა, 1980-1985 წლებში შრომის ნაყოფიერება 29 %-ით, ფონდუკუგება 15%-ით, მოგება კი 3-ჯერ გაიზარდა. საწარმოს პროდუქცია იყიდებოდა როგორც ზესტაფონის რაიონში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რაიონში. საწარმოში დასაქმებული იყვნენ უსინათლო ადამიანები, რაც ხელს უწყობდა აღნიშნული პირების ინტეგრაციას რაიონის სამრეწველო ცხოვრებაში. საწარმოში მუშაობდა დაახლოებით 80 კაცი, რაც შეადგენდა რაიონის შრომისუნარიანი მოქალაქეების 0.25 % -ს, საშუალო ხელფასი შეადგენდა 300 მანეთს (იმდროინდელ 510 აშშ დოლარს).

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში უსინათლოთა საზოგადოება კრიზისში აღმოჩნდა. შეჩერდა საწარმოთა უმრავლესობა, ზოგიერთი მათგანი გასხვისდა და დღეისთვის, ერთ დროს ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც თავად ახერხებდა სამუშაო ადგილების შექმნას, მწვავე უმუშევრობის წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის მონაცემებით, დღეისთვის აღრიცხვაზე იმყოფება 3500-მდე უსინათლო და მცირე მხედველი პირი. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში პრაქტიკულად დაუბრკოლებლად შეიძლება.

საინტერესოა ასევე საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ისტორია. ეს ორგანიზაციაც XX საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა. ამ დროისთვის საბჭოთა მთავრო-

ბას შექმნილი ჰქონდა გარკვეულ შეღავათთა სისტემა, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც უსინათლოები, ასევე ყრუ-მუნჯები. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრები ძირითადად დასაქმებული იყვნენ საზოგადოების ბაზაზე შექმნილ საკმაოდ შემოსავლიან საწარმოებში.

წარსულში მარტო თბილისში მუშაობდა სამი საწარმო, მათ შორის საავიაციო ქარხანა, რომლებშიც ყრუ-მუნჯები იყვნენ დასაქმებული. სისტემა იმდენად კარგად იყო დაგეგმილი, რომ შესაბამისი სწავლა-განათლების, ადაპტაციისა და უნარების შეძენის შემდეგ ყრუ-მუნჯები იოლად საქმდებოდნენ. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ არა მხოლოდ სამუშაოთი, არამედ საცხოვრებელი ბინებითაც.

ამჟამად უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მფლობელობაში არსებული საწარმოები გაჩერებულია და ბევრ მათგანთან დაკავშირებით ქონებრივი დავები მიმდინარეობს. არადა ეს საზოგადოება ახლაც კი ფლობს ისეთი რაოდენობის უძრავ ქონებას, რომ მისი ამოქმედების შემთხვევაში წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებს დასაქმებას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალურ მეწარმეობას მდიდარი ისტორიული საფუძველი აქვს.

სოციალური მეწარმეობის აქტიური განვითარება მსოფლიოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, ხოლო საქართველოში XXI საუკუნის დასაწყისიდან. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ სოციალური დაცვის მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ 1990 წელს დაფუძნდა „სოციალური თერაპიის სახლი“ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებდნენ. იგი ხელს

უწყობდა განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ინდივიდუალურ განვითარებასა და სოციალურ ინტეგრაციას მათი ჩართვით შრომით, მხატვრულ და კულტურულ აქტივობებში. აღნიშნული საწარმო მომხმარებელს სთავაზობს სანთლის, ხის, თექის და ქაღალდის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ დეკორატიულ ნივთებს, ტექსტის აკრეფა-დიზაინ-დაკაბადონებას, ფლაერებისა და კატალოგების ბეჭდვას.

ბოლო პერიოდში სოციალური მეწარმეობა – ბიზნესი სოციალური მისიით – საქართველოშიც სულ უფრო პოპულარული ხდება. სულ უფრო მეტმა ორგანიზაციამ დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა (შშპ) და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. სოციალური მეწარმეობის განვითარება გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით.

საქართველოში სოციალურ საწარმოებში დასაქმებული არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებულები, პრობაციონერები და ასევე სოციალურად დაუცველები. ისინი აწარმოებენ პროდუქციას ან მომსახურებას და შესაბამისად იღებენ შემოსავალს. სოციალური მეწარმეები ინოვაციური მიდგომებით და ბიზნესსტრატეგიებით აგვარებენ საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს.

ამგვარად, საქართველოში სოციალური მეწარმეობის მიზნები შეიძლება ასე გამოიკვეთოს:

- შშპ და სოციალურად დაუცველებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების მიღება;

- პროდუქტებისა და სერვისის მიწოდება მოსახლეობის ძალიან ღარიბი ფენებისათვის;
- მარგინალური (დაბალი სოციალური სტატუსის) ჯგუფის მიერ წარმოებული პროდუქტის/სერვისის გაყიდვა;
- სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ბიზნესი [8].

სოციალური მეწარმეობის ძირითადი რგოლია სოციალური საწარმო. მას აქვს გამოკვეთილი სოციალური მიზანი და თავისი საქმიანობით მიღებულ შემოსავალს იყენებს საკუთარი მისიისა და სოციალური მიზნების რეალიზაციისათვის.

სოციალური საწარმოს ერთიანი განმარტება არ არსებობს, ძირითადად გამოიყენება დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ შემოღებული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და რომელიც ახდენს რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში სოციალური მიზნების მისაღწევად. ბიზნესისაგან განსხვავებით, მისი მამოძრავებელი არ არის მოგების გაზრდა მეწილეებისთვის და მფლობელებისთვის“ [10].

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოების ინვესტორი კომპანია არ იღებს მოგებას, მოგების მიღების შემთხვევაში კი ხდება მისი საწარმოში რეინვესტირება. თუმცა, ამავე დროს, სოციალური საწარმო არ გამორიცხავს მოგების მცირე ნაწილის გადანაწილებასაც, რომელიც არ გულისხმობს პირადი მოგების ზრდისკენ სწრაფვას.

სოციალური საწარმო ზომის მიხედვით შეიძლება იყოს მცირე, საშუალო და მსხვილი. სოციალური მეწარმე

ჩვეულებრივი მეწარმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სამეწარმეო რისკს იღებს მისი ორგანიზაციის ბენეფიციარების სასარგებლოდ, მაშინ როდესაც მეწარმეები რისკს იღებენ საკუთარი ან ბიზნესის მფლობელების სასარგებლოდ [3, გვ. 13].

გერმანელი მეცნიერი, ავტორი წიგნისა „გონება ამარცხებს კაპიტალს“, გიუნტერ ფალტინი, მეწარმეებს ჰყოფს სოციალურ და ბიზნესმეწარმეებად. თუმცა, მისი აზრით, მათ შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ხალხი ფიქრობს. სოციალური მომსახურებისათვის საბიუჯეტო შემცირებები აიძულებს სოციალურ მეწარმეებს, უფრო ხშირად გამოიყენონ ეფექტიანობისა და ბაზრის ორიენტაციის მეთოდები მაშინ, როდესაც ინფორმაციის გაზრდის, გამჭვირვალობის, კონკურენციისა და შედარების შესაძლებლობები აიძულებს ბიზნესმეწარმეებს, აწარმოონ კარგი პროდუქცია და კეთილსინდისიერად მოემსახურონ მომხმარებელს, თუ სურთ ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატება [4, გვ. 15].

განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ მეწარმეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სოციალური საწარმოები ძირითადად კოოპერატივის (საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი) სახით ყალიბდება. საქართველოში მათ განსაკუთრებული იურიდიული ფორმა არ გააჩნიათ. სოციალური მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა იურიდიული ფორმით. საქართველოს კანონმდებლობით, „სოციალური მეწარმეობა“, როგორც ტერმინი, განმარტებული არ არის, შესაბამისად, იურიდიული საკითხების განხილვისას გამოიყენება ტერმინი მეწარმეობა.

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით, 2009 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა სოციალური მეწარმეობის ცენტრი, რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობის ცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა საქართველოში. აღნიშნული ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს, დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს პერიოდულ კონსულტაციებს. სოციალური მეწარმეობის ცენტრის მისიაა სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებს [8].

სოციალური საწარმო შეიძლება დაფუძნდეს ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმით. ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული ფორმა იქნება სოციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 700 000 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია. ერთი ფერმის საშუალო ფართობია 2.3 ჰა. ასეთი მცირე მასშტაბები მნიშვნელოვნად აძვირებს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ართულებს ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას ბაზარზე. სწორედ ამიტომ ეკონომიკური ექსპერტების და ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაც საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარებაა. ამ მიზანს ემსახურება 2013 წლის 12 ივლისს მიღებუ-

ლი კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც კოოპერატივების შექმნის წესსა და მისთვის დაწესებულ შეღავათებს ითვალისწინებს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ინტენსიური პროცესი უკვე დაიწყო. დღეისათვის 1600 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი. ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული, ამ სფეროს მოდერნიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე სოციალური საწარმოს დაფუძნებას გარკვეული უპირატესობები ექნება, კერძოდ, ასეთი საწარმო სარგებლობს უპირატესობით მიიღოს გრანტი; განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლა-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები; იგი ითვლება კრედიტუნარიანად და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია; არ იბეგრება ქონების გადასახადით; მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს; ისინი სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართ მოქმედებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისათვის მაღალმთიან რეგიონში წევრთა რაოდენობა 3-ზე, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს [9]. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქ-

მიანობის სფეროებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება, დაფასოება, შეფუთვა და რეალიზაცია. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს: მარცვლეული კულტურების წარმოების, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, რძის გადამუშავების, სოკოს წარმოების, თხილის კულტურის მოშენების, პროდუქციის შესანახი სასაწყობე მეურნეობების მოწყობის, რეალიზაციისათვის საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტების სადისტრიბუციო ქსელის შექმნის კოოპერატივები. უცხოური გამოცდილების მიხედვით, თუ ასეთ კოოპერატივში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 30% იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სოციალურად დაუცველი, ის შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად.

კვლევამ გვიჩვენა, რომ 2016 წლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 60 სოციალური საწარმო.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, სოციალური საწარმოების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2015-2016 წლებში, კერძოდ, 2015 წელს გაიხსნა 15, ხოლო 2016 წელს – 16 სოციალური საწარმო.

სოციალური საწარმოების ნახევარზე მეტი (41) თბილისშია; ქუთაისში –3; გორში, მცხეთაში (წეროვანი), დუშეთში, სიღნაღში –2-2; კასპში, ბორჯომში, ონში, ოზურგეთში, ყაზბეგში, ლაგოდეხში, თელავში, თეთრიწყაროში – 1-1.

სოციალური საწარმოების რაოდენობა 1990-2016 წლებში



სოციალური საწარმოების საქმიანობის სფეროები მრავალგვარია და მათი სოციალური მისია სხვადასხვა სფეროს მოიცავს. მაგრამ სოციალური საწარმოების უმთავრესი ფუნქცია მაინც შრომით ბაზარზე განსაკუთრებით არაკონკურენტუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაა.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა 30%-ზე მეტი ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოებაზე, კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა, სხვადასხვა სახეობის ბიოპროდუქტების წარმოება, სვანური მარილი „ზესხო“, ჩაი სახელწოდებით „სამეფო“, ნატურალური თაფლი, ჩურჩხელები, მურაბები, ვაშლის წვენი, ვაშლის ძმარი, ნამცხვრები, სალათები, ჯანსაღი კვების პროდუქტები (ლანჩმენიუ, ტკბილეული, სასმელი და სხვ.) და სხვ.

სოციალურ საწარმოთა 15%-ში მზადდება: უვნებელი, ანტიალერგიული, ეკოლოგიურად სუფთა საღებავებითა და ზეთებით დამუშავებული და შეფერილი ხის სხვადასხვა ტიპის სათამაშო, ნატურალური ხის პროდუქცია, ხალხური რეწვის ნიმუშები, მინანქრის სამკაულები, სამუზეუმო ექ-

სპონატების მოტივებსა და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამკაულების მოტივებზე შექმნილი აქსესუარები, თექის, ტექსტილის, კერამიკის ნაწარმი.

საქართველოში სოციალური საწარმოთა 36% სხვადასხვა ტიპის მომსახურებასაც ეწევა, კერძოდ, ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი, სოციალური ტაქსი, რომელიც ეტლით მოსარგებლე და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების პირებს ემსახურება, სატრენინგო მომსახურება, ხანდაზმულთა უზრუნველყოფა საბაზისო საცხოვრებელი პირობებით და სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, უსინათლოთათვის ინფორმაციასა და სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა (აუდიოწიგნი, CD და DVD დისკების სახით) და სხვ.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა ნაწილი ეწევა როგორც პროდუქციის წარმოებას, ისე მომსახურებას.

სოციალური მეწარმეობის ცენტრის მონაცემებით, წარმატებული სოციალური საწარმოებია: ავტოსერვისცენტრი „ავტოლაიფი“ (ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი), „არბო“ (ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო სათამაშოების წარმოება), სათემო ორგანიზაცია „ლელი“ (ნატურალური თაფლის წარმოება), „იკორთა“ (ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება), „რეას ციყვები“ (ჯანსაღი კვების პროდუქტების წარმოება). ეს საწარმოები ახერხებენ დაფარონ საკუთარი ხარჯები და მიიღონ მოგება [8].

2016 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისა და ASB საქართველოს ერთობლივი ორგანიზებით, „ევროკავშირისა“ და „პური მსოფლიოსთვის“ ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა სოციალური მეწარმეობის ფორუმი – 2016.

ფორუმის მიზანი ქართველ სოციალურ მეწარმეებსა და ამ თემით დაინტერესებულ პირებს შორის კავშირურ-თიერთობის გაღრმავებაა, ფორუმი ყოველწლიურ ხასიათს ატარებს და ის 2012 წლიდან იმართება.

2016 წლის ფორუმზე პირველად გამოვლინდნენ გა-მარჯვებულები ნომინაციებში „წლის სოციალური საწარ-მო“ და „წლის START UP სოციალური საწარმო“. აღნიშნულ ნომინაციებში გამარჯვებულები გახდნენ სოციალური საწარმო „ჰერა“ და „არაბული Art-house“. ნო-მინირებული სოციალური საწარმოებიდან „ფოთის პორტის“ რჩეული გახდა ეტლების საწარმო.

სოციალური საწარმო, „ხმის ჩამწერი სტუდია „ჰერა“, ჩამოყალიბებულ იქნა 2011 წლის ნოემბერში აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირ „ჰერას“ მიერ ევ-რაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერ-თაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) სახსრებით. საწარმოს სოციალური მიზანია შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირთა დასაქმება და უსინათლო, მცირე-მხედველი, ყრუ და სმენადაქვეითებული ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობა ლიტერატურასა და ინფორ-მაციაზე, ხოლო ეკონომიკურ მისიას წარმოადგენს რეალი-ზებული პროდუქციის მოგების ნაწილის რეინვესტირება ამ საწარმოში. სოციალურმა საწარმომ ეკონომიკური საქ-მიანობა დაიწყო 2012 წლის მარტში. მის მიერ გამოშვე-ბული აუდიო- და მულტიწიგნები იყიდება საქართველოში არსებულ წიგნის მაღაზიათა ქსელებში (შპს „ბიბლუსი“, შპს „პარნასი“, შპს „ლატერნა“, შპს „ლიბრა“, შპს „სანტა ესპერანსა“, შპს „ბუქსითი“, შპს „წიგნის სამყარო“, შპს „წიგნის სახლი ბახტრიონზე“ და სხვა). ამჟამად აუდიო-

მულტისტუდია „ჰერაში“ დასაქმებულია 15-მდე ბენეფიციარი, აქედან 8 – დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, დანარჩენები ომის ვეტერანები და ომის ინვალიდებია.

სოციალურ საწარმოს დღეისათვის გამოშვებული აქვს 213-მდე სხვადასხვა ჟანრის აუდიოწიგნები და ვიდეოკომიქსები (მულტიწიგნები) ქართულ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე, რომლებსაც ახმოვანებენ ცნობილი და პოპულარული მსახიობები. აუდიოწიგნების გარკვეული ნაწილი უსასყიდლოდ გადაეცა ქ. თბილისის №202 საჯარო სკოლას (უსინათლოთა სკოლა-პანსიონი), ხოლო მოხალისეების დახმარებით მოხერხდა ჩატანა დე ფაქტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

სოციალური საწარმო „არაბული Art-house“ ხევსურეთში, სოფელ კორშაში 2016 წლის 3 ივლისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით გაიხსნა. ეს საწარმო ერთდროულად აერთიანებს კულტურის ცენტრს, ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნოსა და სასწავლო ცენტრს. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ახალგაზრდები სწავლობენ ტრადიციულ ხევსურულ ხელსაქმეს – ფარდაგის ქსოვას, ქარგვას, ხევსურული ტალავრის წარმოებას, ტილოს ქსოვის აღდგენას. მალე დაიწყება ძველი ორნამენტით თანამედროვე ტანსაცმლის წარმოება და ახალი ტანსაცმლის ხაზის შექმნა, ხის ნაკეთობების წარმოება, მჭედლობა და ა.შ.

საწარმოს მთავარი ფუნქციაა ხევსურეთში არსებული ეთნო-, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, შესწავლა, შენახვა, განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და იქ ჩასული სტუმრების

თუ ფართო საზოგადოებისთვის ხევსურეთის, როგორც გამორჩეული კუთხის, დამახასიათებელი კულტურის სათანადოდ გაცნობა. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან ადგილობრივი ახალგაზრდები, რომლებიც საწარმოშივე დასაქმდებიან. სამომავლოდ დაიგეგმება შემოქმედებითი ღონისძიებები/ფესტივალები და ა.შ.

სამიზნე ჯგუფებისათვის განკუთვნილი ინვალიდების ეტლების დამამზადებელი ერთადერთი სოციალური საწარმო აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით შეიქმნა. საწარმო თვეში 80 ეტლს აწარმოებს. მასში 5 ადამიანია დასაქმებული და ხუთივე ეტლის მომხმარებელია. აღსანიშნავია, რომ ეტლები საქართველოში არასოდეს იწარმოებოდა. იგი ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა და დიდი რიგები იყო მასზე. ამჟამად ეტლების წარმოება ყოველწლიურად იზრდება და, შესაბამისად, საწარმოს შემოსავალიც იზრდება. 2009-2012 წლებში დამზადდა 1500-ზე მეტი აქტიური ტიპის ეტლი, 20-ზე მეტი მობილური პანდუსი, ეტლში სწორად ჯდომისათვის 180-მდე სხვადასხვა ტიპის საკორექციო საშუალება.

მსუბუქი ელექტროეტლი სიახლეა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. ამერიკაში ანალოგიური ეტლის ღირებულება 12 ათასი დოლარია. საქართველოში აწყობილი ეტლის ღირებულება 4 ათასი ლარია და თავის ანალოგთან შედარებით 3-ჯერ უფრო მსუბუქია. ამასთან თანხაში შედის მომსახურების სრული პაკეტი, რაც გულისხმობს ეტლის ინდივიდუალურ მორგებას.

წარმატებული სოციალური საწარმოების დაჯილდოება სოციალური მეწარმეობის ფორუმზე 2016 წელს პირვე-

ლად განხორციელდა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს სოციალურ საწარმოთა მოტივაციის გაძლიერებას.

სოციალურ საწარმოთა 2016 წლის ფორუმზე დაფუძნდა ა(ა)იპ „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“, რომლის მისიაა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოქმედი სოციალური საწარმოების მდგრადობას და ახალი სოციალური საწარმოების ინიცირებას. ალიანსი წარმოადგენს სოციალურ საწარმოთა ერთიან პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს წევრების ერთობლივი ინტერესების დაცვას, საზოგადოებაში სექტორის ცნობადობის ზრდას, გამოცდილების გაზიარების და სექტორებს შორის თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების განვითარებას [8].

სოციალურ საწარმოთა ალიანსის მიზნებია:

- სოციალური მეწარმოების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა (მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება და ლობირება);
- სოციალურ საწარმოთა მდგრადობის და ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა (მათ შორის გაყიდვების და პროდუქციის განვითარების);
- წევრ სოციალურ საწარმოთა წარდგენა მესამე პირებთან (მათ შორის სამინისტროებთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან);
- სოციალურ მეწარმეებსა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის ეფექტური დიალოგის ხელშეწყობა;
- სოციალურ საწარმოებს შორის ურთიერთდახმარების ჰორიზონტალური სქემის განვითარება;

- სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების ახალი მექანიზმების ამოქმედება;
- უცხოეთში მოქმედ სოციალურ საწარმოებთან და მათ გაერთიანებებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობა;
- საქველმოქმედო საქმიანობა.

ალიანსის წევრები იყოფიან სრულუფლებიან, ასოცირებულ და საპატიო წევრებად.

სრულუფლებიანი წევრი – ორგანიზაცია / საწარმო (იურიდიული პირი), რომელსაც აქვს სოციალური მეწარმეობის სფეროში პროექტების განხორციელების ან სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის, მინიმუმ, ორწლიანი გამოცდილება;

ასოცირებული წევრი – ორგანიზაცია / საწარმო (იურიდიული პირი), რომელსაც აქვს სოციალური მეწარმეობის სფეროში პროექტების განხორციელების ან სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის, სულ მცირე, 3-თვიანი გამოცდილება;

საპატიო წევრი – ნებისმიერი ორგანიზაცია / საწარმო (იურიდიული პირი), რომელიც თავისი საქმიანობით მხარს უჭერს საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებას.

ორგანიზაციის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ (მართვის) ორგანოს წარმოადგენს 7 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლის შემადგენლობაც განახლდება 3 წელიწადში ერთხელ.

სოციალურ საწარმოთა ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში სოციალური საწარმო ისარგებლებს შემდეგი შეთავაზებებით:

პოპულარიზაცია

- ალიანსის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსდება და სისტემატურად გავრცელდება ინფორმაცია წევრი სოციალური საწარმოების პროდუქციისა და საქმიანობის შესახებ;
- ალიანსი ხელს შეუწყობს სატელევიზიო, რადიოგადაცემებისა და ბეჭდური მედიასაშუალებების გამოყენებით წევრთა საქმიანობის გაშუქებას;
- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ალიანსის მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვებში და სხვადასხვა ღონისძიებებში.

ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ალიანსის ვებგვერდის, ფეისბუქის და ელფოსტის მეშვეობით. ყოველწლიურ გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა შესაძლებელი იქნება, გამოფენის თემატიკიდან გამომდინარე, წინასწარი შერჩევის საფუძველზე;

- ალიანსი ხელს შეუწყობს მისი წევრების მიერ განხორციელებული ღონისძიებების პოპულარიზაციას ვებგვერდის და სოციალური ქსელების საშუალებით, რისთვისაც წევრმა ალიანსს წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია;
- ალიანსის წევრებს საშუალება ექნებათ, თავიანთ ვებგვერდებზე და სოციალურ ქსელებში განათავსონ სპეციალურად შექმნილი ალიანსის ლოგო, რომელიც იქნება დამატებითი ინდიკატორი დაინტერესებული პირებისთვის;
- წევრებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ალიანსის მიერ ორგანიზებულ საპოპულარიზაციო

ღონისძიებებსა და კონკურსებში. ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებგვერდის, ფეისბუქის და ელფოსტის მეშვეობით.

განათლება და საკონსულტაციო მომსახურება

- ალიანსის ორგანიზებით, წევრებს საშუალება ექნებათ, დაესწრონ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს, სემინარებს და მასტერკლასებს, რომლებსაც ჩაატარებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებგვერდის, ფეისბუქის და ელფოსტის მეშვეობით;

- ალიანსი კავშირებს დაამყარებს სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრებთან დაინტერესებული წევრების სასწავლო კურსებში უფასოდ ან შეღავათიან ფასად ჩართვის მიზნით;
- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, გახდნენ სოციალური მეწარმეობის თემაზე ალიანსის ან პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული სასწავლო ვიზიტების მონაწილეები;
- წევრებისთვის ხელმისაწვდომი იქნება საკონსულტაციო მომსახურების მიღება ინდივიდუალური პროექტის განაცხადის წერისას. კომუნიკაციაში დახმარება შესაძლებელი იქნება წინასწარ შეთანხმებული გეგმით (დრო და სიხშირე);
- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, საკონსულტაციო მომსახურება მიიღონ სოციალური საწარმოს რესურსების მობილიზების გეგმის და სტრატეგიების შემუშავებაში. საკონსულტაციო მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება წინასწარ შეთანხმებული გეგმით (დრო და სიხშირე);

- ალიანსი დაეხმარება წევრებს პოტენციური დონორების მოძიებაში.

ადვოკატირება და კვლევითი საქმიანობა

- ალიანსი პერიოდულად ჩაატარებს სოციალური მეწარმეობის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზს და შეიმუშავებს სამომავლო განვითარების სტრატეგიას. კვლევის შედეგად გამოვლენილი სტატისტიკა და შედეგები გამოყენებული იქნება სახელმწიფო სტრუქტურებთან სოციალური მეწარმეების ინტერესების ადვოკატირებისთვის;
- სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ალიანსის მიერ განხორციელდება შესაბამისი ნორმატიული აქტების ლობირება სახელისუფლებო უწყებებთან;

სექტორებს შორის თანამშრომლობა და პარტნიორობა

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დასამყარებლად ალიანსი საკუთარ წევრებს დაეხმარება კონტაქტების მოძიებასა და კომუნიკაციის დამყარებაში;
- ყოველწლიურად, ალიანსი ორგანიზებას გაუწევს სოციალურ მეწარმეთა ფორუმს, რომელიც იქნება კიდევ ერთი პლატფორმა სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობის და ინფორმაციის გაზიარებისთვის და დაეხმარება მათ, დაამყარონ კავშირები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან. ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ალიანსის ვებგვერდის, ფეისბუქის და ელფოსტის მეშვეობით;

• წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ როგორც ალიანსის, აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებს. ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ალიანსის ვებგვერდის, ფეისბუქის და ელფოსტის მეშვეობით.

სოციალურ საწარმოთა ალიანსი ხელს შეუწყობს სოციალურ საწარმოთა მუშაობის გააქტიურებას და მათ შემდგომ განვითარებას.

3.2. სოციალური მეწარმეობის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები საქართველოში

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლება და ადამიანებისთვის ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობის მიცემაა. ღირსეული ცხოვრება კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა, ისწავლოს, იმუშაოს, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე და მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას.

თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება ამ და ნებისმიერ სხვა სფეროში უნდა ეფუძნებოდეს სწორ და ყოვლისმომცველ მონაცემთა ბაზის არსებობას. როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, შშმ პირთა მონაცემებთან დაკავშირებით სერიოზული ხარვეზებია. როგორც კვლევამ აჩვენა, შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები არ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას მთელი საქართველოს მასშტაბით. სახელმწიფო შშმ პირთა ოდენობას აღრიცხავს სოციალური პაკეტის პირთა რაოდენობის მიხედვით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ შშმ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასახავს.

ამ მონაცემების მიხედვით, 2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი (საქართველოს მოსახლეობის 3%). სოციალური პაკეტის ბენეფიციარობა ნიშნავს, რომ მის მიმღებს არ გააჩნია არსებობის სხვა წყარო და აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს მისი დაბალი სოციალური მდგომარეობის შეფასების დროს.

შემწეობის რაოდენობა, რომელიც გაიცემა, თვიურად 100 ლარს შეადგენს, რაც წლიურად დაახლოებით 140 მლნ ლარს უტოლდება. თავის მხრივ, ერთ ადამიანზე გათვლილი ეს შემწეობა ძალიან ცოტაა და მას არ შეუძლია მოთხოვნის სტიმულირება შედარებით ხარისხიან და შრომატევად საქონელზე, რომელიც ადგილობრივ წარმოებას წაახალისებდა, მეორე მხრივ, მთლიანი მაჩვენებელი იმდენად დიდია (მშპ-ს 1.5%), რომ აუცილებლად უნდა დადგეს მისი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების საკითხი.

სამწუხაროდ, ასეთ კვლევას ხელს უშლის სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა. IDFI-ის მიერ გამოთხოვი-

ლი იყო ინფორმაცია შშმ პირთა შეზღუდული შესაძლებ-ლობების კატეგორიების შესახებ, რომელიც ვერ იქნა მი-ღებული ვერც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ვერც სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურის მხრიდან.

ამგვარად, სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და გარკვეულ ეკონომიკურ მოლოდინებ-ზე საუბარი სრული სტატისტიკური მონაცემების გარეშე წარმოუდგენელია. თანმიმდევრული სახელმწიფო პოლი-ტიკის ჩამოყალიბებისთვის კი, რომლის საბოლოო მიზანი შშმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაცია და მათთვის ცხოვ-რების ღირსეული პირობების შესაძლებლობების მიცემა იქნებოდა, აუცილებელია პასუხი გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა შშმ პირთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, შე-საძლებლობების მიხედვით მათი დახასიათება, დემოგრა-ფიული მონაცემები, დასაქმება, განათლებისა და კვალი-ფიკაციის დონე და ა.შ.

მხოლოდ ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, გადავიდეთ არსებული პოლიტიკის შეფასების ეტაპზე და შევქმნათ საბიუჯეტო ხარჯის ალ-ტერნატიული მოდელები, რომლებშიც სოციალური დახმა-რებები მიიღებდა საინვესტიციო ხასიათს და მოახდენდა მომავალი შედეგების პროგნოზირებას.

შშმ პირთა ყველაზე დიდი დამსაქმებელი საქართვე-ლოში სახელმწიფო სექტორია. კერძო სექტორი ამ პროცეს-ში თითქმის არ მონაწილეობს. სახელმწიფო დაწესებულე-ბებში 2014 წლისთვის დასაქმებული იყო დაახლოებით 50 პირი, საიდანაც 35 პირი იუსტიციის სამინისტროსა და მის ქვემდებარე იუსტიციის სახლებში მუშაობდა. საჯარო სექ-

ტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (დაახ. 100000 კაცი) შშმ პირთა წილი 0.05%-ია (შეადარეთ სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ-თა 3%-ს).

ამჟამად საქართველოში დასრულდა ევროკავშირის მიერ დასრულებული ტემპუსის პროექტი ASPIRE, რომელიც მიმართული იყო სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოსა და მათთვის სწავლა-განათლების ხელმისაწვდომი პირობების შექმნისკენ. უნდა ითქვას, რომ შშმ პირები გაცილებით უფრო დიდი თვითორგანიზებულობითა და დისციპლინით გამოირჩევიან, ვიდრე ჩვეულებრივი შესაძლებლობების მქონე პირები, რაც მათ სამომავლო დასაქმებას, შრომის ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო პერსპექტივას უქმნის. ასეთი საგანმანათლებლო პროექტების მიზანი, რა თქმა უნდა, არის ცხოვრების სამომავლო გამოწვევებისთვის შშმ პირების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისი უნარების მიცემა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ხარჯი, რომელიც ამ პროექტის განხორციელებაში ჩაიდო, საინვესტიციო ხასიათისაა, ვინაიდან იგი მომავალში მიზნად ისახავს გარკვეული სარგებლის მიღებას დასაქმებული შშმ პირების მხრიდან. მეორე მხრივ, სახელმწიფოში არსებული სოციალური პაკეტების ხარჯი სრულიად არაინვესტიციურია და ითვალისწინებს მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასეთ პოლიტიკაში არანაირი ადგილი არ ჩანს ტემპუსის პროექტის შედეგად კვალიფიკაციაამაღლებული შშმ პირების დასასაქმებლად. ბუნებრივია, რომ ასეთი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. არ შეიძლება, ერთი

მხრივ, ფული დაიხარჯოს განათლებაში და, მეორე მხრივ, არ შეიქმნას ამ განათლების გამოყენების არავითარი პირობა.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არაა განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, თუ რატომ არ არის სოციალური მეწარმეობა უფრო ფართოდ ფეხმოკიდებული საქართველოში. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, საწყისი კაპიტალის არარსებობაა. მეწარმეები, რომლებიც საკმარის კაპიტალს ფლობენ, არ ცდილობენ სოციალური მეწარმეობის წახალისებას, შესაბამისად, ეს დარგი მხოლოდ მცირე კაპიტალის მფლობელთა იმედად რჩება.

სოციალური მეწარმეობის მთავარი მასტიმულირებელი ასეთ პირობებში ისევ სახელმწიფო უნდა გახდეს. ამისთვის არსებობს ორი მიზეზი: პირველი ის, რომ სახელმწიფომ თითოეულ ადამიანს უნდა შეუქმნას შესაძლებლობა, იცხოვროს ღირსეულად, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისწავლოს, იმუშაოს, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე და მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას.

მეორე მიზეზი არის ის, რომ პოლიტიკის საბოლოო მიზნად ამგვარი შედეგის დასახვა განსაკუთრებული სიმწვავით ჩანს სახელმწიფოს სოციალური პაკეტების შემთხვევაში. საკმარისია თვალი გადავავლოთ უახლესი წლების სახელმწიფო ბიუჯეტს და სოციალური დახმარებების რაოდენობას, რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ბიუჯეტი დატვირთულია ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც მხოლოდ ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებაზეა გათვლილი და საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის იმ მთავარ მიზანს, რომე-

ლიც დასაწყისში აღვნიშნეთ. ასეთ ვალდებულებებად შეიძლება განხილულ იქნეს შშმ პირებზე გაცემული სოციალური დახმარებებიც.

საქართველოში ერთ სულზე დარიგებული შემწეობები ისედაც მცირეა, ეს ხარჯი არაა გათვლილი მოკლე ან ხანგრძლივვადიან შედეგზე. საბიუჯეტო სოციალურ დახმარებებს არა აქვთ საინვესტიციო ხასიათი, რომელიც, საბოლოო ჯამში, მთლიანად საზოგადოებას და მათ შორის შშმ პირებს ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

დღეისათვის საუბარი იმაზე, რომ აუცილებელია შშმ პირთა დასაქმება, რათა მათ ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა, მთავრდება მარტივი და გულგრილი პასუხით, რომ ქვეყანაში სადაც უმუშევრობის დონე ქმედუნარიან მოსახლეობაში ისედაც დაბალია, ზედმეტია საუბარი შშპ-თა დასაქმებაზე. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს არის ადამიანების ყოვლად დაუშვებელი დაყოფა მათი შესაძლებლობების მიხედვით, ფაქტი ისაა, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად 140 მლნ-ს ხარჯავს შშმ პირთა სოციალურ დახმარებებზე და ამდენად კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა ამ რესურსის გახარჯვის ალტერნატიული და უფრო ეფექტური გზა, ეკონომიკურად გამყარებულია და აუცილებლად შესაბამისი კვლევა სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით, 2016 წელს ევროკავშირმა დააფინანსა სამწლიანი პროექტი „სოციალური მეწარმეობა – ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის“. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომლის მიზანია აღნიშნული სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საზოგა-

დოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა და მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერება. პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სფეროში დაფინანსდება 14 ახალი სოციალური საწარმო (თითო საწარმო, მაქსიმუმ, 8 ათასი ევროთი).

არსებული სოციალური საწარმოების გამართულად ფუნქციონირების, დამწყებთა მოტივირებისა და, ზოგადად, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თანამშრომლობის გაღრმავება სახელმწიფო სტრუქტურებთან სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობის მექანიზმების განვითარებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების თაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამშრომლობას ბიზნესსექტორთან, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სოციალური საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი და მდგრადი დაფინანსება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები:

- უცხოეთში და საქართველოში არსებული სოციალური საწარმოების მუშაობის, მათი როლისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- სოციალური საწარმოების განვითარების ხელშემწყობი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის და სამართლებრივი სტატუსის არარსებობა;
- ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების დასაქმებაზე ორიენტირება, რაც შედეგად კომპანიის პროდუქციის ხარისხზეც აისახება;
- სოციალური საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების ნაკლებობა;

- სოციალური საწარმოების ამოქმედებისა და განვითარებისათვის ფინანსური წყაროების ნაკლებობა;
- სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები;
- ეკონომიკური საქმიანობისათვის გრანტების გაცემის დაბეგვრის საკითხი [1, გვ. 264].

სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის აუცილებელია:

- პირველ რიგში, სოციალური მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება;
- სოციალური საწარმოს სტატუსის გამოკვეთა, მაგალითად, სოციალური კოოპერატივი, სოციალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.
- სოციალური მეწარმეობის წარმატებული უცხოური გამოცდილების ანალიზი და მათი შესწავლის თვალსაზრისით ტრენინგების ჩატარება;
- სოციალური მეწარმეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ინსტრუმენტების განსაზღვრა;
- სოციალური მეწარმეობის კუთხით იდეების განხორციელების მოტივაციის ამაღლება, რაშიც თავისი წვლილი სახელმწიფომ უნდა შეიტანოს საკანონმდებლო ბაზის არსებობით;
- საგადასახადო შეღავათების დაწესება (საგადასახადო განაკვეთის შემცირება და საგადასახადო კრედიტი ანუ გადასახადის თანხის შემცირება);
- სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ინოვაციების წახალისება;

- წარმატებული სოციალური მეწარმეების დაჯილდოება;
- სოციალური მეწარმეობის ინიციატივებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- კარგი იქნება, თუ სახელმწიფო უწყებები და სხვა ორგანიზაციებიც დაინტერესდებიან და სოციალურ საწარმოთა შემკვეთები გახდებიან, საერთაშორისო ორგანიზაციები ამის კარგ მაგალითს იძლევიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო გამოწვევების წინაშე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2016.
2. გ. ერქომაიშვილი, ნ. ფარესაშვილი, სოციალური მეწარმეობა საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2016.
3. შ. მურღულია, ზ. მოდებაძე, ე. დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი, 2013
4. სოციალური მეწარმეობა – საერთაშორისო გამოცდილება ათი ქვეყნის მაგალითზე. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი, 2010.
5. გ. ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015
6. ლ. ხურცია, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2016.
7. ლ. ხურცია, სოციალური მეწარმეობის მაგალითები და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პერსპექტივები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2016.
8. www. csrdg.ge – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
9. ENPARD – სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა, 2016.
10. www. UnreasonableInstitute.org – Social Entrepreneur Definition.

Social Enterprise Development Trends In Georgia

S u m m a r y

The freedom of each individual in the market, deciding to start independent entrepreneurship, highly depends on functioning ability of market competition, because the free market economy often reveals the degradation trends (for example, creating a monopoly). Has market competition the functioning ability, is it carried out according to the criteria that allow summarize hierarchically organized three dimensions of competition: the structure of the market, suppliers behavior of the market and the results of the market.

In social market economy the unity of living standards is achieved by active structural politics. In particular, sector structural policy should support compliance of changing requirements and production conditions in various sectors; Regional structural policy should act through the balanced distribution of economic activities, and enterprise size-based structural policy, in accordance with the stimulating defined enterprise sizes, should accelerate the adaptation process with the changing market conditions.

For the overall economic situation of employment in terms of small and medium-sized enterprises, first of all their stabilizing effect is taken into consideration (job creation). Whether small and medium-sized enterprises implement the goal of job creation in the process of transformation, or whether it has a positive impact on employment policy, and consequently, on social inequality, primarily is cleared up by the number of employed people in small and medium-sized enterprises.

Nowadays, the existing social inequality makes stronger the trend from business entrepreneurship to social entrepreneurship. We can say that business entrepreneurs, for their own interests,

move in the direction of social entrepreneurship. Efficiently functioning markets create mechanisms that determine good behavior. This are the most important qualities of the functioning society. As for the prospects of social entrepreneurship, social enterprise concept extension may cause the result in the social arena that skeptical people toward the business could lead to that business people become more open (public) - toward the entrepreneurship as the activity. This is a way that promotes equitable distribution of wealth by the opportunity of a broader participation in an entrepreneurial activity. Today „Entrepreneurship for everyone " is still a dream, but it is a dream, which is achievable.

ავტორები

რევაზ გველესიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი და ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის (GDI) დირექტორი.

მას გამოქვეყნებული აქვს 130 სამეცნიერო ნაშრომი საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების იერარქიაში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის, სახელმწიფოს მიერ რაციონალური და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების და მეწარმეობის ახალი კულტურის ფორმირებისა და განვითარების შესახებ ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე (საქართველოში, გერმანიაში, იაპონიაში, იტალიასა და ესპანეთში), მათ შორის 2 სახელმძღვანელო (პირველი ქართული სახელმძღვანელო „ეკონომიკურ პოლიტიკაში“ – თანაავტორობით) და 6 მონოგრაფია, რომელთაგან ერთმა 2000 წელს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), ხოლო მეორემ 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა.

რევაზ გველესიანს მოპოვებული აქვს 18 საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდია და გრანტი (DFG-1, DAAD-8, Friedrich-Ebert-Stiftung-1, Daimler-Benz-Stiftung-1, Volkswagen-Stiftung-1, Feilmeier&Junker GmbH - 4, University of Piraeus – „Hellenic Aid~ – 1, International Visegrad Fund's – 1). ის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა ბერლინის, ტიუბინგენის, მიუნხენის, ბონის, ფრაიბურგის, ბრანდენბურგის, ზაარლანდის და პოტსდამის უნივერსიტეტებში, ბერლინის მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანულ ინსტიტუტში (SWP) და ეკონომიკური კვლევების გერმანულ ინსტიტუტში (DIW). გერმანიის უნივერსიტეტების გარდა, რევაზ გველესიანი მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში რომის, მილანის, პარმას, ტრენტოს, ალგეროს (სარდინია) და მადრიდის უნივერსიტეტებში. ამასთან, 2015 წლის ივნისში რომში ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე თსუ-ს მეცნიერთა, მათ შორის რევაზ გველესიანის, კვლევებმა ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიენიჭა.

რევაზ გველესიანის ინიციატივით თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს ბერლინის (ტექნიკურ და თავისუფალ), პოტსდამის და ცუკუბას უნივერსიტეტებთან, რამაც აღნიშნული უნივერსიტეტების პროფესორების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

რევაზ გველესიანი ხელმძღვანელობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოდულს „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია“. მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა 15 დოქტორანტმა, ხოლო 10 აგრძელებს მუშაობას თავიანთ საკვალიფიკაციო ნაშრომებზე. მაგისტრატურაში მას მიჰყავს შემდეგი სალექციო კურსები: „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია“; „განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“; „მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა“; „ეკონომიკური დიპლომატია“.

რევაზ გველესიანი ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ვაშინგტონის მეცნიერების პროგრესის ასოციაციის, იტალიის გამოყენებითი ეკონომიკის ასოციაციის, ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრია. ამჟამად ის არის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, სადისერტაციო საბჭოს წევრი და ეკონომიკური პროფილის რამდენიმე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2017 წელს იგი არჩეულ იქნა ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) ვიცე-პრეზიდენტად.

რევაზ გველესიანი 2006-2014 წლებში იყო თსუ აკადემიური საბჭოს წევრი. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

გულნაზ ერქომაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (აშშ-ის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში) ექსპერტი.

მას გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო, 2 დამხმარე სახელმძღვანელო, 1 ბროშურა. ერთმა მათგანმა („ბიზნესი – ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები“, თბილისი, 2007) დაიმსახურა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ პრემია. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია: საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა, ტურიზმის პოლიტიკა საქართველოში (ველნეს (WELLNESS) ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები და სტრატეგია საქართველოში).

გულნაზ ერქომაიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული 32 საერთაშორისო კონფერენციასა და პროექტში, მათ შორისაა ბრუნელის (ლონდონი) უნივერსიტეტი, დუბლი-

ნის (ირლანდია) უნივერსიტეტის ტრინიტი კოლეჯი, ბერლინის ტექნიკური და თავისუფალი უნივერსიტეტები, პარიზი, რომი, მადრიდი, ბარსელონა, დუბაი (მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემია), კიევო-მოგილიანის აკადემია (უკრაინა), მელიტოპოლის უნივერსიტეტი (უკრაინა), ტრაპზონის (თურქეთი) შავი ზღვის უნივერსიტეტი და სხვ.

მას გავლილი აქვს სხვადასხვა რანგის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები. მათ შორის: ENPARD: A European Union Programme supporting Agriculture and Rural Development. ToT Program in 4 Basic Modules: 1. Agricultural Cooperatives Fundamentals, 2. Organizational Development Tool-Kit (ODT) for Agricultural Cooperatives and 3. Agricultural cooperatives Organizational Capacity Assessment tool (OCAT) 4.Business Planning.Capacity building to the Agriculture Cooperatives Development Agency (ACDA)

EuropeAid/136454/DH/SER/GE Funded by the European Union through the ENPARD Programme, 2016; Methods of Productivity and Ebbiciency Analysis by using STATA, ETH Zurich – Tbilisi, 2014; G STEP workshops, on the following themes: First Day of Class, Teaching, Philosophy, Motivation and Engagement, Effective Presentation, Student Learning Outcomes (SLOs), Teaching Large and Small Classes, 2014; International Seminar „Methods in Economic Research“, ETH Zurich, Tbilisi State University (TSU) and Centre for Economic Education and Development (CEED). 30th March-4th April, 2009; „Active Teaching and Innovative Research Methods on Public Economic Policy Courses“ , HESP, Open Society Institute, Tbilisi, Georgia, 14-15/10/2005;

მიღებული აქვს გრანტები: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი გრანტის „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ მკვლევარი და პროექტის კოორდინატორი, 2016; თსუ გრანტი წიგნის (Economic Policy (Theory and Practice), Anges Benassy-Querre, Benoit Coeure, Pierre Jacquet, Jean Pisani-Ferry. Oxsford University Press, 2010. 709 pp.) თარგმანის რედაქტირებაში (VI და VII თავები), 2016; ევროკავშირის უწყვეტი განათლების პროგრამა ჟან მონეს პროგრამა, ასოციაცია ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის „ევროპული საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია“ (Association European Studies for Innovative Development of Georgia). Tbilisi, 2010;USAID/ CAUCASUS-ის granti Workforce Education Initiative for Shida Kartli (1-2008-001-400-72) სახელმძღვანელოსთვის „მეწარმეობის საფუძვლები“. თბილისი, 2009; ამერიკის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს (NCEE) გრანტი ეკონომიკაში I-II-III-IV-V-VI მოსწავლეთა ოლიმპიადის ჩასატარებლად (ორგანიზებული საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის მიერ. თბილისი, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010 წწ. და სხვ.).

გულნაზ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა ერთმა დოქტორანტმა, 4 აგრძელებს საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობას. იგი იყო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე არაერთი სტუდენტისა და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის ერთმა მაგისტრანტმა მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო ოთხმა სტუდენტმა მეორე-მესამე ადგილები, რისთვისაც

მიღებული აქვს მადლობის სიგელი. იგი აქტიურად მონაწილეობს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის პროექტში.

გულნაზ ერქომაიშვილი არის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი, ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის ჟურნალ „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის (World Academy of Science, Engineering and Technology) სარედაქციო-საგამომცემლო კომიტეტის წევრი საქართველოდან.

ირინა გოგორიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 32 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია.

ირინა გოგორიშვილმა გაიარა სტაჟირება: 1996 წელს აშშ-ში, EDI of the World Bank in collaboration with the IMF Institute. Winter School-96Advenced Course on the Economics of Transition; 2003 წელს საფრანგეთში ქ. პარიზში უნივერსიტეტი პარიზი-8, საერთაშორისო ეკონომიკის სახელმძღვანელოზე მუშაობის მიზნით; 2004 წელს გაერთიანებულ სამეფოში, ლონდონის ვილიამსის კოლეჯში საერთაშორისო ეკონომიკის სწავლების მეთოდურ საკითხებზე. 2007 წელს უკრაინის ქ. დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა. 2011-13 წწ. იყო გერმანიის ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „Managing International Enterprises“ ლექტორი. 2016 წელს DAAD-ის ფონდის სტიპენდიით იმყოფებოდა გერმანიის ქ. ბრემენის უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის მიზნით.

ირინა გოგორიშვილი, როგორც მეცნიერ-მკვლევარი, მონაწილეობდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. თბილისი, 2016.

მიღებული აქვს თსუ გრანტი წიგნის (Economic Policy (Theory and Practice), Anges Benassy-Querre, Benoit Coeure, Pierre Jacquet, Jean Pisani-Ferry. Oxsford University Press, 2010. 709 pp.) თარგმანის რედაქტირებაში (IV და V თავები), 2016.

ირინა გოგორიშვილი 2002 წელს სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოებულია ჯ. სოროსის ფონდის ფულადი პრემიით. იგი არის სენპოლიების კოლექციონერი და ხელოვნებითა და ცხოველებით გატაცებული.

ეკა ლეკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მას გამოქვეყნებული აქვს 95 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 წიგნი, 6 სალექციო კურსი, 8 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. მისი კვლევის სფეროებია: ეკონომიკური პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის, მეწარმეობისა და ტურიზმის პრობლემები. არის მრავალი საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციის, წარმატებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის (Economic Integration of Countries of South Caucasus: Brief History and Current Trends, Training Program „Regional Economic Integration, Local Decentralization, and Conflict Prevention: perspectives for Democratic Progress and Stability in the Caucasus Region"; Art of economic decision making; Eenrepreneurship courses at TSU; Cooperation and Exchanging Best Practices in the Field of Innovation and E-learning in the Higher Education of Estonia and Georgia; Project and Quality Management; Developing Links with Industry და ა.შ. დაფინანსებული HESP, EOMMEX S.A, TEMPUS, EPPM, CSS, KOK, International Visegrad Fund, DAAD, East East: Partnership Beyond border Programm მიერ) მონაწილე და კოორდინატორი.

ეკა ლეკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში რომის საპიენზას, ტრენტოს და ალგეროს (სარდინია) უნივერსიტეტებში.

აკადემიურ საქმიანობასთან ერთად უნივერსიტეტში იგი ეწეოდა ადმინისტრაციულ მუშაობას. იყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. 2005-2013 წლებში აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტში განხორციელებულ საგანმანათლებლო რეფორმებში და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის პერიოდში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედმა ყველა საგანმანთლებლო პროგრამამ წარმატებით გაიარა ეროვნული აკრედიტაცია. 2013–2016 წლებში იყო ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილე, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ პასუხისმგებელი მდივანი. იმავდროულად, იგი ხელს უწყობდა ახალი სასწავლო კურსების შემუშავებას და დანერგვას საერთაშორისო ეკონომიკის, ევროკავშირის ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების, მეწარმეობის, ტურიზმის მიმართულებით. მისი ინიციატივისა და ძალისხმევის საფუძველზე დაინერგა პროგრამული პროფესიული და მოდულური პროგრამები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

იგი იყო ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოდულის „ევროკავშირის ეკონომიკა“ ხელმძღვანელი, ხოლო ამჟამად არის სამაგისტრო პროგრამის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ და მოდულური პროფესიული

პროგრამის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი“ ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა სტუდენტმა მოიპოვა მაგისტრის ხარისხი. ამჟამად ხელმძღვანელობს 6 დოქტორანტს.

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი არის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ამავე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, ტურიზმის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური კვლევებისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრის დამფუძნებელი. მისი აქტიური მონაწილეობით განხორციელდა ინსტიტუტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები „ეკონომიკური ფორუმი – თბილისის ბალკონი“, პროფესორ გიუნტერ ფალტინის წიგნის ქართული გამოცემა და პრეზენტაცია, DAAD-ის საინფორმაციო შეხვედრები და სხვა ღონისძიებები.

აღნიშნულ პერიოდში მან მოიპოვა ორგანიზაციების HESP, UNIDO, ERASMUS + დაფინანსება და სასწავლო-კვლევითი სტიპენდიები.

ნინო ფარესაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

მას გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 1 მონოგრაფია, 2 სალექციო კურსი, 7 ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო. მისი კვლევის სფეროებია მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულება, კერძოდ: ზოგადი მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა, პროექტების მენეჯმენტი, კროსკულტურული მენეჯმენტი და სხვა.

ნინო ფარესაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საგრანტო პროექტებში: თსუ-ის მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი: „უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევა“, 2016 წ.; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია „უმუშევართა პროფესიული სწავლების ხელშეწყობა და მათი რეაბილიტაცია“, 2013 წ. და სხვა.

მას გავლილი აქვს სხვადასხვა რანგის 18 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი და ტრენინგები: Basics of Economic Policy, 2016; ეფექტური კომუნიკაცია პროფესორსა და სტუდენტს შორის, 2014; Methods of Productivity and Efficiency Analysis, 2014; Birmingham Gollege, UK Academic, Social, Cultural Visit, Seminar Topics (Marketing, Human Re-

source Management), 2013; ფინანსური აღრიცხვისა და ბუ-ღალტერთა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძი-რითადი პრინციპები, 2013; EC/FAO Programme on Internation Systems to Improve Food Security Decision-Making in the European Neghbourhood Policy(ENP) East Area, 2013; ფერმერული მეურნეობის მართვა და ორგანიზაცია, 2012; A Grikultural Biotechnologies and Biosafety – Basic Principles and Concepts, 2011; International centre for social research and policy analysis, Knowledge Management, 2009 და სხვ.

ნინო ფარესაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საერ-თაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებ-ში. მათ შორის: რომის მე-19 საერთაშორისო კონფერენცია ბიზნესი, ეკონომიკა, მარკეტინგსა და მენეჯმენტში (2017), ბრნოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და მენეჯმენტი“ (2016), კაუნასის (ლიტვა) ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და მენეჯმენტი“ (2015), რიგა (ლატვია) საერთაშორისო სამეც-ნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და მენეჯმენტი“ (2014), 2ND Internattional Scientific-Practical Conference „BUSINESS ADMINISTRATION AND CORPORATE SOCIAL RES“ ONSI-BILITY“, Azerbaijan State Economic University (2014), Международная научно-практическая конференция „Инновационная составляющая современного экономического развития“, Уманскйи государственный педагогическйи университет имени Павла Тычины (2013) და სხვა.

ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი არის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევ-რი, ამავე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ლალი ხურცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორი, World Academy of Science, Engineering and Technology საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტისა და სარედაქციო საბჭოს წევრი.

ლალი ხურციას გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 დამხმარე სახელმძღვანელო. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია: საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვის ეკონომიკა და სხვა.

ლალი ხურცია მონაწილეობდა 6 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. მათ შორის: 2016 - სოციალური მეწარმეობის მაგალითები და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პერსპექტივები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. 2016 - Cultural and historical roots of Plagiarism in Georgia, ICDIT 2016: 18th International Conference on Designing Instructions and Teaching, Paris. 2015, July 29-30, Drugs, Silk Road, Bitcoins, 17th International conference on business and economics, Istanbul. 2015, სექტემბერი

29-30, შშმ პირების ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექ-ტივები საქართველოში. ბათუმის საერთაშორისო კონფე-რენცია ASPIRE TEMPUS ფარგლებში.

2012-2015 წლებში მას გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები ევროპის უნივერ-სიტეტებში: ოლდენბურგი, გერმანია, Carl von Ossietzky, the University of Oldenburg, alikante, ესპანეთი, University of Ali-cante, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, Prague Charles Uni-versity.

ლალი ხურციას მონაწილეობა აქვს მიღებული თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივ სა-მეცნიერო-კვლევით პროექტში „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. პროექტის მკვლევარი. თბილისი, 2016.

ლალი ხურცია არის არაერთი სტუდენტისა და მაგის-ტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

გამომცემლობის რედაქტორები:
ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე
მარინა ჭყონია

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი
ნინო ებრალიძე

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge